# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 7 თებერვალი 1998 №17 (552) ფასი 50 თეთრი



კობა ინასარიძე
ლა ვალეტადან

გუშინ ვლადიმერ გუცაევმა პირველად უთავკაცა საქართველოს ნაკრებს. ეს წელს ეროვნული გუნდის პირველი მატჩი გახლდათ.

გუშინ საქართველო — ლატვიის მატჩით მალტის ტურნირი გაიხსნა. ჩვენმა ნაკრებმა ძოძუაშვილისა 2:1 დაამარცხა.

## საქართველო 2:1 ლატვია

## გუცაევმა ქვისლს აჯობინა

### ნაკრებმა მოგებით დაიწყო ჯამარაულმა დუბლით

აქაურებისას ვერაფერს გაიგებ. საღამოს ექვსი საათის შემდეგ ქალაქი, უფრო სწორად, ქალაქები კვდება. მაღაზიები იკეტება, ძაღლებით მოსეირნე ხალხი შინ მიიჩქარის. აღარც ტრანსპორტი მოძრაობს. ლუდხანებს ხალხი აკლდება. მოკლედ, ჩვენთვის უჩვეულო ცხოვრების წესი აქვთ.

მალტაში გუშინწინ ჩამოვფრინდით „დინამოს", „ბათუმის", „ალანიას" და „სკონტოს" ფეხბურთელები მწვრთნელებთან და ფედერაციის მუშაკებთან ერთად. საბაჟო კონტროლი ხეირიანად არც გაგვივლია, ჩვენს ზურგსუკან შოთა-აჩიმ ამოჰყვეს თავი. რასა იქმთ, რა აკეთებთო, ჩვეულებრივი მოკითხვა. შემდეგ ავტობუსისკენ და სასტუმრო „კოსტლაინისკენ". აქამდე მსმენოდა, ორი ნაბიჯით მთელ მალტას შემოივლიო, თქვენც არ მომიკვდეთ. ნაკრები „ტა ქალის" სტადიონის მახლობლად დაბინავდა, მე კი გაგონილს ვენდე და ქალაქის ცენტრის სიახლოვეს ცხოვრება ვირჩიე. აქედან სტადიონამდე, შესაბამისად კი „კოსტლაინამდე", არ გადავაჭარბებ, ავტობუსით 45 წუთის გზაა. აქ ავტობუსებიც უჩვეულოდ მიმოდიან — თბილისური მარშრუტკებივით. მგზავრი ზარს აწკაპუნებს და მძღოლი შეაჩერებს. ყოველივე ჩვენებურისთვის უცხო გახლდათ, ამიტომაც კინაღამ ხმელთაშუა ზღვაში გავაგრძელე გზა. ბედად, მძღოლმა თავად გააჩერა, ეტყობა, იგუმანა ჩემი უცხოელობა.

ჩვენებმა ვარჯიში 6 საათზე დაგეგმეს „ტა ქალის" მეორე მინდორზე. ვარჯიშიც გერმანული პუნქტუალობით დაიწყეს. ჩვენი ჩამოსვლიდან რამდენიმე საათში ნაკრებს ყველა ლეგიონერი შეუერთდა, ხალისიანადაც გაივარჯიშეს ერთი საათი. არ იყო მხოლოდ გიორგი ქინქლაძე. მისი ამბავი შელიას ვკითხე. ყბა გაუჭრეს, კბილი ამოუღეს და ექიმება დროებით ფრენა აუკრძალესო, მითხრა.

ვლადიმერ გუცაევი კარგ ხასიათზე გახლდათ, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ქინქლაძის ჩამოუსვლელობამ...

ბიჭებმა 45 წუთი ფიზიკურ დატვირთვას დაუთმეს. იური სტადუხინმა ტყავი გააძრო, ლეგიონერებსაც კი გაუკვირდათ ასეთი ვარჯიში. შემდეგ კვადრატი და მორჩა, ლატვიელებთან შეხვედრამდე დასვენება იყო საჭირო. ძოძუაშვილის გუნდიც ჩვენების სასტუმროშია, მათ ცოტა ადრე უვარჯიშიათ. სამწუხაროდ, მათი წვრთნის სანახავად მისვლა დამაგვიანდა, ხომ ვითხარით, ორი ნაბიჯი ავტობუსის 45 წუთი ყოფილა. ქართველების მერე მინდორი ალბანელებმა დაიკავეს, ჩვენი ძველი მეტოქეობა გაიხსენეს და თბილისაც მოგვიკითხეს, ბედი გქონიათ, ახლა ჯგუფის ფავორიტი საქართველოაო, ამბობდნენ.

მალტელებმა რომ გაიგეს, ქართველი ფეხბურთელები გვესტუმრნენო, ვარჯიშზეც ბლომად მოვიდნენ და ჩვენებისთვის თვალი არ მოუშორებიათ. პატარა ბიჭებს ადვილად შეატყობდით, რომ ქეცბაიას, არველაძეების, ჯამარაულის, ნემსაძისა და სხვათა გულშემატკივრები იყვნენ. თითსაც იშვერდნენ მათკენ და, ნახე, ნახე, როგორ დაარტყა, როგორ მოძრაობენო. ეს ვარჯიშზე იყო, თამაში კი აქაური დროით ექვსის ნახევარზე დაიწყო. ისე, მაპატიეთ, მაგრამ „ტა ქალის" სტადიონი რომელ ქალაქშია, ვერ გავარკვიე. სწორედაც რომ



გოჩა ჯამარაული

ასეა, მალტაში ქალაქები ისეა ერთმანეთზე მიჯრილი, როგორც თბილისის უბნები. უცხო ვერც გაიგებს, სად იწყება ქალაქი და სად მთავრდება. ოფიციალურად „ტა ქალის" სტადიონის გასწვრივ ოქმებში ვალეტა იწერება, თუმცა აქაურები გაიძახიან, ვალეტადან „ტა ქალამდე" სამი-ოთხი ქალაქიაო. მოდი ახლა და არკვიე, რომელი ქალაქია. ჩვენ ვალეტა დავარქვათ, რა გვენაღვლება, არა მგონია, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. მთავარი ჯორჯიას თამაშია, იმ ჯორჯიისა, რომელიც ბევრ მალტელს ამერიკად წარმოუდგენია და ახალი მწვრთნელის ხელში პირველ მატჩებს მართავს. ჯორჯიაზე კი გეტყვით, რომ ჩვენი მშველელი „აიაქსია". აქაურმა გულშემატკივრებმა კარგად იციან ჰოლანდიური კლუბის ამბები, მათ ფეხბურთელებზეც აქვთ ინფორმაცია. ისიც იციან, რომელი აიაქსელი ვისი გორისაა. ამას რომ შეიტყობენ, იცოცხლეთ, მერე ადრინდელ ამხანაგურ ფრესაც მოიგონებენ.

მაყურებელმა „ტა ქალი" სანახევროდაც ვერ შეავსო, ყველაზე იაფი ბილეთი ორნახევარი დოლარი ღირდა, უფრო ძვირი კი ათი დოლარიც. იქნებ, მასპინძლებს უცხოთა თამაში არ აინტერესებდათ და მიზეზიც ეს გახლდათ. სტადიონი კი ჩინებულია, ხასხასა მინდორი, კოპწია ტრიბუნები, განათება... ყველაფერია საიმისოდ, კარგი ფეხბურთი რომ ითამაშო.

ჩვენები შავი სამკლაურებით გამოვიდნენ, ორიოდ წუთის შემდეგ მოედნის ცენტრშიც გამწკრივდნენ ლატვიელებთან ერთად და გამოცხადებულზე ყველამ თავი დახარა. წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ნოდარ ახალკაცის ხსოვნასო. იქვე სამახსოვრო სურათებიც და დაიწყო...

იხილეთ მეოთხე გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მალტა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლატვია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

## დღეს ნაგანოში ზამთრის XVIII ოლიმპიადა იხსნება

## ზამთარია, სიცხე გვიტევს



ელგუჯა ბერიშვილი
ნაგანოდან

ჩვენ ყველანი უკვე ნაგანოში ვართ — საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია სრული შემადგენლობით. პირველი ჯგუფი 4 თებერვალს ჩამოვიდა, დანარჩენები — ორი დღის მერე. სეოკის ხელმძღვანელები და სპორტული ჟურნალისტები ქალაქის სასტუმროებში დაბინავდნენ, სპორტსმენები და მწვრთნელები — ოლიმპიურ სოფელში. აქ უკვე ფრიალებს საქართველოს დროშა.

— დროშის აღმართვის ცერემონიალი ექვს თებერვალს ორის ნახევარზე შედგა — ამბობს საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი გოგი თოფაძე — ცერემონიალს ესწრებოდნენ ოლიმპიადის ორგანიზატორები, ოფიციალური პირები, ეროვნული სამოსში გამოწყობილმა იაპონელმა ბავშვებმა შეასრულეს საქართველოს ჰიმნი. პარალელურად აღიმართა აგრეთვე საბერძნეთის, ნორვეგიის, ისრაელისა და სომხეთის დროშები.

ბატონი გოგი დასკვნით შეკრებაზე რამდენიმე დღე ავსტრიაში ახლდა ჩვენს ოლიმპიელებს და მათთან ერთად ვენიდან ჩამოფრინდა იაპონიაში. მან მადლიერებით მოიხსენია საქართველოს საელჩო ავსტრიაში, ელჩი ლევან მიქელაძე, რომელსაც მზრუნველობა არ დაუკლია ჩვენი სპორტსმენებისთვის და აეროპორტშიც გამოუცილებია.

სამწუხაროდ, სწორედ ავსტრიაში გაცივდა სამთომოთხილამურე ზურაბ ჯიჯიშვილი, რომელსაც აქ ნაგანოში სიცხემ ორმოცამდე აუწია და, ბუნებრივია, პირველ საწვრთნელ-საკონტროლო ვარჯიშზე არ გასულა. ეს იმას ნიშნავს, რომ ზურაბი 8 თებერვალს სწრაფდაშვებას გამოტოვებს. არადა, ქართველთაგან პირველს სწორედ მას უნდა აელო სტარტი, თუმცა ზურაბი მაინც პირველი იქნება — 9 თებერვალს კომბინაციაში გამოვა, შემდეგ — სლალომ-გიგანტში.

საქართველოს მოთხილამურეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი გერა აბრამიშვილი შეფიქრიანებული დაგვხვდა: „ცხადია, ჯიჯიშვილის ავადმყოფობამ საგრძნობლად შეცვალა ჩვენი გეგმები. ყველაფერი კეთდება, რომ სწრაფად მომჯობინდეს და ფეხზე დადგეს. სიცხე უკვე დაუვარდა, დღეს მსუბუქად ივარჯიშა და თავსაც უკეთ გრძნობს. სხვათა შორის, ნაგანოში ეპიდემიის პირველი ნიშნები გამოჩნდა — რამდენიმე სპორტსმენს ჯერ დაუდგენელი ვირუსი შეეყარა და საავადმყოფოში აღმოჩნდა. ტრავმა მოიშუშა სოფიკო ახმეტელმა, რომელსაც აქ მეორედ გადავუღეთ რენტგენი და ექიმებმა ვარჯიშის ნება დართეს. სოფიკო სლალომისტთა შეჯიბრებაში 19 თებერვალს გამოვა, ასე რომ, სპორტული ფორმის აღსადგენად საკმაო დრო აქვს. არ გამოვრიცხავ, რომ სოფიკო სლალომ-გიგანტშიც გამოვცადოთ."

ვიდრე ეს მოხდება, 16 წლის სოფიკო ახმეტელს მეტად საპასუხისმგებლო მისიის შესრულება მოუწევს — საქართველოს დროშით ხელში სწორედ ის გაუძღვება ჩვენს დელეგაციას ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე. ეს მოხდება დღეს, 7 თებერვალს, ადგილობრივი დროით 11 საათზე.

ზამთრის XVIII ოლიმპიური თამაშების გახსნამდე რამდენიმე საათიღა რჩება. სინოპტიკოსები მზიან დღეს გვპირდებიან, ორგანიზატორები — გრანდიოზულ სანახაობას.

...სულ რაღაც სამი საათია, რაც ნაგანოში ჩამოვედი და, ცხადია, ჯერჯერობით ბევრი არაფერი მინახავს. მით უმეტეს, ამ დროის მნიშვნელოვანი ნაწილი აკრედიტაციამ და დაბინავებამ წაიღო. მომდევნო წერილებში შევეცდები შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ ოლიმპიადაზე და აქაურობაზეც, ბევრი საინტერესო ცნობა მოგაწოდოთ, ცხადია, „ქართულ ჭრილში".

არაფერი მითქვამს კახა წაქაძეზე, რომელთანაც ერთად ვიმგზავრე ტოკიოდან ნაგანომდე და ყველაფერი წვრილად გამოვკითხე. კახა ორივე ტრამპლინზე გამოსვლას აპირებს: 11 თებერვალს 90-მეტრიანზე, 15 თებერვალს 120-მეტრიანზე. რაც შეეხება ლევან აბრამიშვილს, ამ დღეებში საბოლოოდ გაირკვევა, გამოვა თუ არა მისთვის მეორე ოლიმპიადაზე.

## კურტანიძეს და პოღოსიანს თავი ქუდში აქვთ

### სხვებს კი ჭიდაობა მოუწევთ

ვინ იფიქრებდა, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატს ამდენი მაყურებელი თუ დაესწრებოდა. ჩანს, სიდუხჭირითა და ათასგვარი პრობლემით თავმობეზრებულმა ქომაგებმა უკვე მოიცალეს სპორტისთვის და გუშინ და გუშინწინ დიღმის საჭიდაო დარბაზის ტრიბუნები სავსე იყო ფალავანთა ახლობლებითა თუ ჭიდაობის მოყვარულებით. ღმერთმა ქნას, კვლავაც ასე გაგრძელდეს და სამომავლოდ ჭიდაობის ფედერაციის თავკაცები, ალბათ, შინაური ჩემპიონატის გამართვისას თბილისის სპორტის სასახლესაც შებედავენ.

ჩემპიონატი კი უნაკლოდ და რიგიანად ჩატარდა. რა თქმა უნდა, ამ შეჯიბრებას დაამშვენებდა ევროპის ჩემპიონების — დათო პოღოსიანისა და ელდარ კურტანიძის ჭიდაობა, მაგრამ ხალიჩაზე ვერც ერთი ვიხილეთ, ვერც მეორე. ორივემ ახლახან კრასნოიარსკში, ივან იარიგინის სახელობის ტურნირში იასპარეზა. ელდარი იქიდანვე გერმანიას გაემგზავრა, რათა ერთ-ერთ იქაურ კლუბში ბუნდესლიგის ჩემპიონატი ჩაამთავროს; დათო კი ჩემპიონატს ესწრებოდა, მაგრამ არ უჭიდავია.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



მსაჯი ქულებს ითვლის: ჭიდაობენ იოსებ ხუციშვილი და გიორგი კეკოშვილი



გიორგი რევაზიშვილი

## ჯღანას პარიზული ტრიუმფი

რაღა ორჯერ ორის მტკიცება დაგიწყია და რაღა ძიუდოისტთა პარიზის საერთაშორისო ტურნირის პრესტიჟსა და დიდ ავტორიტეტზე გილაპარაკია. ამიტომაც არის, რომ პარიზული ტიტული ერთობ საამაყო ითვლება ძიუდოს სამყაროში და აკი 59 ქვეყნის 500-მდე ძიუდოისტი მიაწყდა საფრანგეთის დედაქალაქს... როგორ გგონიათ, ამ ტურნირის რამდენი ჩემპიონი ჰყავს ამდენი სახელიანი ძიუდოისტის დამზრდელ საქართველოს? აქამდე მხოლოდ ორი გვყავდა — შენგელი ფიცხელაური და ამირან ტოტიკაშვილი, გუშინდლიდან კი, ღვთის მადლითა და გიორგი რევაზიშვილის წყალობით, როგორც იქნა, გაგვისამდა!

ბარაქალა, რევაზიშვილო! მართლაც მისალოც-დასალოცი გვყავს ეს ბიჭი, შინაურულად ჯღანად რომ მოიხსენიებენ ხოლმე. გიორგიმ დიახაც რომ ბრწყინვალედ აღინა იქაურობას, 66-კილოგრამიანთა ჭიდილში, საერთო შეფასებით, უბადლო იყო, 6 შეხვედრიდან 5 წმინდად, იპონით მოიგო და პარიზის ტურნირის ნამდვილად დასაფასებელი ჩემპიონობით დაიმშვენა კარიერა.

ეს გასახარი ამბავი პარიზიდან გვაცნობა ძიუდოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა.

# ნაგანოს გზამკვლევი ქართველი ქომაგისთვის

## XVIII ოლიმპიადის განრიგი

| თებერვალი | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 შაბათი | • | | | | | | | | | | • | | | | |
| 8 კვირა | | • | | | | • | • | • | • | | • | | • | | |
| 9 ორშაბათი | | • | | | | | • | | | | • | | • | • | • |
| 10 სამშაბათი | | • | • | | | | | • | • | | • | | • | | • |
| 11 ოთხშაბათი | | • | | • | | • | | • | | | • | | • | • | • |
| 12 ხუთშაბათი | | | • | | | | • | • | • | | • | | | | • |
| 13 პარასკევი | | • | | | • | | | • | • | | • | | • | | • |
| 14 შაბათი | | • | • | | • | | | • | • | | • | • | | | • |
| 15 კვირა | | • | | • | | | | • | • | | • | • | | • | • |
| 16 ორშაბათი | | | • | | | • | | • | • | | • | | | | |
| 17 სამშაბათი | | • | | • | | | | • | | • | • | | | • | |
| 18 ოთხშაბათი | | • | • | | | • | | | • | | • | | | | |
| 19 ხუთშაბათი | | • | | | • | | | • | | • | | | | • | |
| 20 პარასკევი | | • | • | | • | | | • | • | | • | • | | | |
| 21 შაბათი | | • | | | | | | | • | • | • | • | | • | |
| 22 კვირა | • | | • | | | | | | | | • | | | | |

**XVIII ზამთრის ოლიმპიადის პროგრამაში სპორტის 14 სახეობაა. თითოეული მათგანი დისციპლინას სხვადასხვა ოდენობით რომ მოიცავს, ამის გამო სულ მედლების 67 კომპლექტი გათამაშდება.**
**ზოგ სპორტს ჩვენი გულშემატკივარი კარგად იცნობს, ზოგსაც — ნაკლებად. ამის მიზეზი, ერთი, რომ საბჭოთა ხანიდან გამოყოლილი მემკვიდრეობაა, და მეორე ის, რამდენიმე სახეობა სერიოზულ სპორტად ბოლო ხანსღა რომ გაფორმდა და ოლიმპიადებშიც ახლახან შეიტანეს.**
**ასეა თუ ისე, ყოველ სპორტს მაინც თავისი უნიკალური ხიბლი აქვს. საქომაგოდ ყველა მათგანი ღირს. ერთი კია, რომ უქომაგო, ის კონკრეტული სპორტი უნდა გესმოდეს.**
**ჩვენი აზრით, ამის მიღწევაში დაგეხმარეთ აქ მოტანილი გზამკვლევი, რომელიც „სი-ენ-ენ“-ის მონაცემებზე დაყრდნობით შევადგინეთ.**

### მთის თხილამურობა

ზამთრის ოლიმპიადის უპრესტიჟულესი სპორტია. შეიცავს 10 დისციპლინას. ქალები და ვაჟები ასპარეზობენ დაშვებაში, სუპერ-გიგანტში, გიგანტურ სლალომში, სლალომსა და კომბინაციაში.

❄ დაშვება გაიმართება ჰაკუბაში, ჰაპო-I ტრასაზე. ვაჟთათვის მისი სიგრძე 3280 მეტრია, სტარტისა და ფინიშის დონეების სხვაობა კი 925 მეტრი. ქალთავის იგივე მონაცემებია 2653 და 781.

დაშვებაში მონაწილეს ერთი ცდა ეძლევა. სტარტის რიგი წილისყრით განისაზღვრება. გამარჯვებულია ის, ვინც ფინიშს ნაკლებ დროში უწევს. შედეგი წამის მეასედის სიზუსტით იზომება.

❄ სლალომი დაშვების ანტიპოდია. იგი იმართება შიგაკოგენში, იაკეტიაის მთის ფერდობზე. ტრასის სიგრძე და დონეთა სხვაობა ვაჟთათვის 607 და 220 მეტრია, ქალთათვის 530 და 200.

ცდა ორია. მოთხილამურემ გზად დასობილ ალმიან სარებს (კარებს) შორის უნდა ჩაისრიალოს. ცდებზე კარები სხვადასხვაგვარად ესობა. გამარჯვებულია ის, ვისაც ორივე ცდის ჯამში ნაკლები დრო ექნება. II ცდაზე ბოლო ეშვება ლიდერი, მის წინ — მეორე ადგილოსანი და ასე შემდეგ.

❄ გიგანტური სლალომიც შიგაკოგენში იმართება, ოღონდ ჰიგაშიდატეზეს ფერდზე. ტრასა სლალომისაზე გრძელია: 1487 მეტრი (ვაჟთათვის) და 1398 (ქალთათვის). კარები უფრო შორი-შორსაა დასობილი. დონეთა სხვაობაც მეტი, 439 და 393 მეტრი რომაა, სიჩქარე სლალომზე მეტია. ამ დისციპლინაშიც ორი ცდაა და გამარჯვებული სლალომის ანალოგიურად გამოვლინდება.

❄ სუპერ-გიგანტი დაშვებისა და გიგანტური სლალომის ნაზავია. ცდა დაშვებასავით ერთია, კართა რიცხვი გიგანტურ სლალომზე ნაკლები, ტრასის სიგრძე და დონეთა სხვაობა კი მეტი: 2423 და 650 მეტრი (ვაჟთათვის) და 2080 და 587 (ქალთათვის). სიჩქარეც, რაღა თქმა უნდა, მეტია.

❄ კომბინაცია ფაქტობრივად ორჭიდია. გამარჯვებული დაშვებისა და სლალომის ორივე ცდის ჯამით ვლინდება. მსოფლიო თასის ეტაპთაგან განსხვავებით, ოლიმპიადაზე კომბინაციაში ჩასათვლელი დაშვება და სლალომი ცალკე იმართება. ნაგანოში ორივეს ჰაკუბა უმასპინძლებს.

### ბარის თხილამურობა

ოდინდელი სპორტია, ბოლოჟამს რომ გადახალისებულა. მოიცავს 10 დისციპლინას. ქალები გარბიან 5 კილომეტრს (კლასიკურად), 10 (თავისუფალი სტილით), 15 (კლასიკურად), 30 (თავისუფალი) და 4 X 5 კმ ამანათრბენს. ვაჟთათვის ანალოგიური მანძილები მეტია: 10, 15, 30, 50 და 4 X 10 კილომეტრი. ამანათრბენში ორი ეტაპი კლასიკურია, ორიც — თავისუფალი.

შეჯიბრი სნოუ-ჰარპში (ჰაკუბა) გაიმართება. იქ სამი 5 კილომეტრა წრეა. თითოეულის ერთი მესამედი აღმართია, მეორე დაღმართი, მესამე დასერილი.

კლასიკური სტილი ძველია. მოთხილამურემ ნაბიჯი წინ უნდა გააკეთოს. თავისუფალი სტილი ახალი და უფრო სწრაფია. მისი არსი მოციგურავის მოძრაობების თხილამურებზე გადმოღებაა.

მონაწილენი სტარტს 30-წამა ინტერვალით იღებენ. ამანათრბენში სტარტი ერთიანია. თავისუფალი სტილით ქალთა 10 და ვაჟთა 15 კილომეტრზე რბენა დევნაა: ორი დღით ადრე გამართული მოკლე და კლასიკური შეჯიბრის მიხედვით დგინდება ფორა; დისტანციას პირველად ლიდერი დაადგება, სხვები კი მას ფორით დადგენილი ინტერვალებით გამოეკიდებიან. ვინც ფინიშთან პირველი მივა, კომბინაციაში გამარჯვებულიც იგია.

### ხტომა

ულამაზესი სახეობაა. ასპარეზობენ ოდენ ვაჟები. მოიცავს 3 დისციპლინას: საშუალო ტრამპლინს, დიდ ტრამპლინსა და გუნდურს (დიდ ტრამპლინზე).

შეჯიბრი ჰაკუბაში გაიმართება. იქ ტრამპლინები 107 და 138 მეტრიანია. მონაწილეები ორ-ორჯერ ხტებიან. გამარჯვებული ორივეს ჯამით ვლინდება. გუნდში ოთხი კაცია და მათი ორ-ორი შედეგი ჯამდება.

შედეგი ქულებად ითვლება. მსაჯი ხუთია. მათ მიერ დაწერილი საუკეთესო და უცუდესი შეფასება უქმდება. ქულათა დაწერისას ითვალისწინებენ როგორც ხტომის სტილს, ასევე ნახტომის სიგრძეს.

სტილის მოთხოვნა ასეთია: ჰაერში მუხლი არ უნდა მოხარო; თხილამურები ერთ სიბრტყეში უნდა მოაქციო; დახტომისას ცალი ფეხი წინ უნდა დადგა.

შეფასება 20 ქულის ფარგალშია. ტრამპლინებისთვის დადგენილია კრიტიკული წერტილები. ნაგანოში საშუალოზე იგი 90, დიდზე კი 120 მეტრზეა. ამ ნიშნულიდან თითო მეტრით გადახრა 2 ქულად ფასობს.

### ორჭიდი

გაიმართება ჰაკუბაში. მოიცავს ორ დისციპლინას: პირადსა და გუნდურს. მონაწილეობენ ოლენ ვაჟები.

პირადში იმართება საშუალო ტრამპლინიდან ხტომა და 15 კილომეტრზე თავისუფალი სტილით დევნა. გუნდში ოთხი კაცია. ისინი ჯერ იმავე ტრამპლინიდან ხტებიან, მერე კი 4 X 5 კილომეტრ ამანათრბენში დევნით ეჯიბრებიან.

### ფრისტაილი

ახალი სპორტია. თხილამურობაა, ოღონდაც თავზეხელაღებულთა. პირველად ალბერვილის 1992 წლის ოლიმპიადაზე გამოჩნდა.

მოიცავს ოთხ დისციპლინას: ქალთა და ვაჟთა მოგულსა და აკრობატიკას. შეჯიბრი გაიმართება შიგ ნაგანოში, იძუნაკოგენის 250-მეტრა ტრასაზე.

❄ მოგული ბორცვაკებზე სრიალია. მოასპარეზეს ხუთი მსაჯი მიხვევა-მოხვევაში გაწაფვას უფასებს, ორიც — ჰაერში თავის დაჭერას (ირაოს). ფრიადი შეფასებაა 5,0. ნიშანში მოხვევას 50 პროცენტა წილი უდევს, ირაოსა და სიმარდეს 25-25. ორი და სამმაგი ტრიალი ჩვეულებრივი რამაა.

❄ აკრობატიკა მოგულზე უფრო ეფექტურია. მალაყის სიმაღლე ხშირად 20 მეტრამდეა. ნახტომის სტილი და სიზუსტე შეფასების 50 პროცენტს განაპირობებს, სიმაღლე, სიგრძე და თავად ახტომი 20, ხოლო დახტომი 30 პროცენტს.

შეჯიბრის ფორმულა ასეთია: ჯერ შესარჩევი ტურია, მერე ფინალი. თითო წრეში მონაწილეს ორი ცდა აქვს.

### სნოუბორდი

დაფით თოვლზე გიჟმაჟობაა. ოლიმპიადის დებიუტანტია. მსოფლიო სპორტის მამები ამ სახეობის კერძო ფედერაციას არ ცნობენ და სათხილამუროში რთავენ, რაც ბოიკოტების თავი და თავია.

მოიცავს 4 დისციპლინას: ქალთა და ვაჟთა „სლალომსა“ და „ჰაფ-პაიპს“. პირველი იაკებიტაის მთაზე გაიმართება, მეორე კი კანბაიაშის სასნოუბორდო პარკში.

❄ „სლალომი“ ოდენ მთიდან დაშვებაა, თან — უკაროდ და სლალომიც სულ ტყუილად ქვია. ცდა ორია, გამარჯვებული კი იგია, ვისაც ნაკლები ჯამური დრო ექნება.

❄ „ჰაფ-პაიპი“ საონავრო საქმეა: 15 მეტრი სიგრძისა და 3,4 მეტრი სიმაღლის ორ პარალელურ კედელს შორის ნახევარცილინდრული ღარია. მის კედლებზე მონაწილენი დაფით მაქოსებრ დასრიალებენ. ამას ხუთი მსაჯი აფასებს. მოასპარეზეს ორი ცდა ეძლევა. შესარჩევიდან ვინც ფინალში გავა, შეჯიბრს ნულიდან დაიწყებს.

### ციგურაობა

კლასიკური სახეობა კია, მაგრამ პროგრესი მასაც შეეხო. მოუგონიათ ახლებური ციგურა, ჭვინტი დრეკადი რომა აქვს. მისი წყალობით ქუსლის აწევისას ყინულიდან არეკვლის ძალა მატულობს და რბენაც ჩქარდება.

მოიცავს 10 დისციპლინას. ქალებიცა და ვაჟებით დარბიან 500, 1000 და 1500 მეტრზე. გრძელი დისტანციები ქალთათვის 3000 და 5000, ვაჟთათვის 5000 და 1000 მეტრია. ასპარეზი შიგ ნაგანოში მდებარე „ემ-უეივ“ საციგურაოა. ამ დარბაზში 400-მეტრა ორ-ბილიკა ოვალია მოწყობილი.

მონაწილეები წყვილ-წყვილად დარბიან, მაგრამ ერთმანეთზე მეტად წამმზომს ეჯიბრებიან. სავალდებულოა ბილიკთა მინიმუმ ერთხელ მონაცვლება. მორბენალს ერთი ნაადრევი სტარტი ეპატიება. და კიდევ, წელს სიახლე იქნება ის, რომ 500 მეტრზე თითო მონაწილე ორი გარბენში ჩაებმება და გამარჯვებულიც ჯამური დროით დადგინდება.

### ფიგურული სრიალი

ეშხი და სინატიფე! პირველი ზამთრის სპორტი, ოლიმპიადებში რომ შეიჭრა, ჯერ კიდევ 1908 წელს და ისიც ზაფხულის თამაშებზე. უწინ საბჭოთა, ახლა კი რუსული ტელე-არხების მოწადინებით ერთობ უყვართ თბილისურ ოჯახებში და შვილთა ამ სპორტში ჩაბმა ერთ რამედ ულირთ.

მოიცავს ოთხ დისციპლინას: ქალთა და ვაჟთა სოლო-შეჯიბრებს, წყვილთა სრიალსა და ცეკვებს. შეჯიბრი შიგ ნაგანოში, „უაიტ-რინგის“ დარბაზში გაიმართება.

❄ ქალები, ვაჟები და წყვილები მოკლე და თავისუფალი პროგრამებით წარდგებიან მსაჯულთა წინაშე. მოკლეს ხანგრძლივობა არაუმეტეს 2 წუთი და 40 წამია, თავისუფალის — ოთხ-წუთ-ნახევარი.

❄ მოცეკვავეები ასრულებენ ორ სავალდებულო ცეკვას, ორწუთიან ორიგინალურ ცეკვასა და ოთხწუთიან თავისუფალ ცეკვას.



უაიტ-რინგი — ფიგურისტთა და შორტ-ტრეკელთა საუფლო

### შორტ-ტრეკი

ნურვის ეწყინება და კლასიკურ ციგურაობას კი ჯობს თუ მძლეოსნობა დარბაზში გადატანით ელფერს კარგავს, ციგურაობას გარემოს გამოცვლა, პირიქით, აშკარად მოხდენია.

მოიცავს 6 დისციპლინას. ვაჟებიცა და ქალებიც დარბიან 500 და 1000 მეტრზე. ხუთ-ქალა გუნდის ამანათრბენი 3000 მეტრზეა, ხუთ-კაცასი 5000-ზე. სავარაუდო ასპარეზი ზემოთხსენებული „უაიტ-რინგია“.

მორბენლები ეჯიბრებიან არა წამმზომს, არამედ ერთმანეთს. სტარტის შემდეგ არსებითია შიდა ბილიკის დაკავება. გასაქანი რომ მცირეა, ჯახი და ლიანგური ვარდნა მრავლადაა, რაც მოსიერეებს ახალისებს.

მონაწილეებს ერთბაშად ორივე დისტანციაზე ასპარეზობა მართებთ. შესარჩევებს ოთხ-კაცა ფინალი მოჰყვება. ამანათრბენში ერთი გუნდიდან ვისაც რამდენი სურს, იმდენ წრეს ირბენს. ერთი კია, ბოლო ორი წრე ერთმა და იმავე კაცმა უნდა ირბინოს, რაც კიდევ უფრო ამწვავებს შეჯიბრს.

### ჰოკეი

ზამთრის ოლიმპიადების ერთადერთი ბურთაობა! ნაგანოს შეჯიბრი უმაგალითოა იმით, რომ ერთბაშად ექვსი ქვეყანა „ოცნების გუნდს“ გაიყვანს. ჩრდილო ამერიკის ნჰლ-ში ხომ საოლიმპიადოდ ლიგის ისტორიაში პირველად ცხადდება არდადეგები.

წელს ქალთა ჰოკეის დებიუტია. დიაცთა-მამაცთა თამაშები ნაგანოს ორ დარბაზში: „ბიგ ჰეტსა“ და „აკუა-უეივში“ გაიმართება.

❄ ვაჟთა შეჯიბრი 3 სტადიად იმართება. მონაწილეობს 14 გუნდი. მათგან პირველი სტადიიდან თავისუფალია 6 ბობოლა.

თავიდან იქმნება ორი ქვეჯგუფი. ერთში ითამაშებენ ავსტრია, იტალია, სლოვაკეთი და ყაზახეთი, მეორეში ბელარუსი, გერმანია, იაპონია და საფრანგეთი. თამაშები ერთ წრედ გაიმართება. ჯგუფების მოწინავენი გავლენ II სტადიაზე, სადაც ასევე ორი ჯგუფია: ერთში მოკალათებულან აშშ, კანადა და შვედეთი, მეორეში რუსეთი, ფინეთი და ჩეხეთი. ამათ I სტადიის გამარჯვებულები შეემატებიან და თითო წრე გაიმართება.

მეოთხედფინალში რვავე გუნდი გადის. ამ ეტაპზე სხვადასხვა ჯგუფელები ერთმანეთს ჯვარედინად დაეჯახებიან. მერე იქნება ნახევარფინალები, სანუგეშო ფინალი და საჩემპიონო ფინალიც.

❄ ქალები უფრო მარტივი სისტემით იასპარეზებენ. ექვსი გუნდი: აშშ, იაპონია, კანადა, ფინეთი, შვედეთი და ჩინეთი გამართავს ერთ წრეს. ამის შემდეგ თითო მატჩში გათამაშდება III და I ადგილები.

### ბობსლეი

ყინულის ღარში ფუტურისტული ჭურვ-მანქანით სრბოლაა. ნაგანოში შეჯიბრი გაიმართება „სპირალზე“, რომლის სიგრძე 1300, სტარტისა და ფინიშის დონეების სხვაობა კი 113 მეტრია. ტრასაზე 15 ვირაჟია, ხოლო ორი [illegible] მიდის, რაც უნიკალური რამ [illegible].

მოიცავს ორ დისციპლინას: ორ-კაცა და ოთხ-კაცა ბობებით შეჯიბრს. ქალებს ამ სპორტში არაფერი ესაქმებათ.

ეკიპაჟს ოთხი ცდა აქვს. შედეგი წამის მეასედებით იზომება. გამარჯვებული ისაა, ვისაც საუკეთესო ჯამური დრო ექნება.

### ციგაობა

ბობსლეის ბიძაშვილია. ნაგანოში იმავე ასპარეზზე იმართება. დროის აღრიცხვა და ჩემპიონის გამოვლენის მეთოდიც ბობსლეის მაგვარია. განსხვავება ოდენ ისაა, რომ ორადგილა ციგით მოასპარეზეები ოდენ ორჯერ ეშვებიან.

მოიცავს სამ დისციპლინას: ერთადგილათი ქალთა და ვაჟთა, ხოლო ორადგილათი ვაჟთა შეჯიბრს. ციგა, ბობისა არ იყოს, უთანამედროვესი მასალებითა და ტექნოლოგიითაა დამზადებული, აეროდინამიკის კანონებით გათვლილი ფორმა აქვს და სულ რაღაც ორნახევარ კილოს იწონის. მოციგავეებიც უცხო პლანეტელთა კვალობაზე არიან ჩაცმული.

### ბიათლონი

იგივე ბარის თხილამურობაა, ოღონდაც შაშხანით. უყვართ და ეხერხებათ სამხრეღროებს.

მოიცავს 6 დისციპლინას: ქალები 7,5 და 10 კილომეტრზე ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვაჟები 10 და 20 კილომეტრზე. ამანათრბენი ორივე სქესისთვის 4 X 7,5 კილომეტრია.

ასპარეზი ნოძავა ონსენის საბიათლონო ბაზაა. მოკლე დისტანციებსა და ამანათრბენში მონაწილენი ორ-ორჯერ ისვრიან, სხვაფრივ ოთხჯერ. სროლათა ნახევარი დგომელა ხდება, ნახევარიც წოლელა.

სამიზნე თითო ჯერზე ხუთია. ტყვიაც ხუთია. აცილებას ჯარიმა მოჰყვება. მოკლე დისტანციასა და ამანათრბენში ჯარიმა ზედმეტი 150 მეტრის გარბენაა, გრძელზე კი შედეგისთვის ერთი წუთის დამატება.

### კერლინგი

კოჭაობაა, ოღონდაც ყინულზე. დასაბამი XVI საუკუნეში აქვს. თან სერიოზული და თანაც რეკრეაციული სპორტია, მაგრამ პოპულარობას თანდათან კარგავს. ოლიმპიადაში მისი ასეთ დროს შეტანა ნაღდი კურიოზია.

ნაგანოში შეჯიბრი კარუიძავაში, კაძაკოშის პარკში გაიმართება. მონაწილეობს ქალთა და ვაჟთა რვა-რვა გუნდი. კანადა, გერმანია, ბრიტანეთი. იაპონია, ნორვეგია, შვედეთი და აშშ ორივე კატეგორიაში არიან წარმოდგენილი. ვაჟთა ოქტეტს ასრულებს შვეიცარია, ქალთასას — დანია.



კერლინგის ანა-ბანა და ავან-ჩავანი

კერლინგი გუნდური თამაშია. გუნდში ოთხი მოთამაშეა. შეჯიბრის ფორმულა ორივე სქესისთვის წრიულია. მერე პლეი-ოფი ნახევარფინალით დაიწყება.

მატჩში ათი ხელია. რომელი გუნდიც მეტს მოიგებს, გამარჯვებულიც ისაა.

თამაში 146 ფუტი სიგრძის ყინულის ბილიკზე იმართება. მის შორეულ ბოლოში მოხაზულია 13-ფუტა სამიზნე, რომლის გულისგული 6 ფუტაა.

თამაშობენ 44-გირვანქიანი ქვით, რომელსაც თითქო ჩაიდანიაო, სახელურიც აქვს შებმული. ბილიკის ახლო ბოლოდან ერთი მოთამაშე ქვას სამიზნისკენ გაასრიალებს, დანარჩენები კი, ცოცხებით რომ შეიარაღებულან, მოსრიალე ქვის წინ და უკან ყინულის ფხეკით მის სვლას არეგულირებენ. არსი სამიზნის გულისგულთან ქვის მაქსიმალურად დაახლოებაა.

გუნდის თითო მოთამაშე ოთხჯერ გაასრიალებს ქვას. 16-16 გაგორების შემდეგ გამარჯვებულია ის გუნდი, ვისი ქვაც გულისგულთან სხვებზე ახლოს იქნება.

მავანს კერლინგი ვინიცობაა სალადაო თამაშად მოეჩვენოს, მაგრამ ბილიარდისა არ იყოს, მისი ტრფიალნიც ამტკიცებენ, რომ ვარიანტთა სიმრავლით იგი ჭადრაკს არ ჩამოუვარდება და მასავით ტვინის ვარჯიშია.

**ირაკლი ნინუა**

# თეთრი ისტორია

**ზამთრის ოლიმპიადები ზაფხულისაზე ახალგაზრდაა. პირველი ტურნირი საუკუნის დასაწყისში, 1924 წელს, საფრანგეთის საკურორტო ქალაქ შამონიში ჩატარდა, მაშინ, როცა ზაფხულის ოლიმპიადებს უკვე არსებობის 28 წელი შეუსრულდა (რა თქმა უნდა, ანტიკური თამაშების ჩაუთვლელად). თუმცა, მანამდე ზამთრის ზოგიერთი სახეობა (ვთქვათ, ფიგურული ციგურაობა) ზაფხულის ოლიმპიადებმა გაითავისა და ამიტომ აქ გამარჯვებულნი უფრო ადრე მოიხსენიებიან, ვიდრე თოვლისა და ყინულის სხვა რაინდები. სანამ წლევანდელი ოლიმპიადის გმირები გამოჩნდებოდნენ, ძველები გავიხსენოთ, ისინი, ვინც თავისი კვალი დატოვა სპორტის ისტორიაში. რა თქმა უნდა, სპეციფიკიდან გამომდინარე, ზამთრის ოლიმპიადებში გამარჯვებულთა გეოგრაფია უფრო მწირია, ვიდრე ზაფხულისა და უახლეს ხანშიც ზამთრის ფავორიტებს ეთიოპელ და კენიელ მოთხილამურეებთან ან ურუგვაელ ჰოკეისტებთან პაექრობა არ ემუქრებათ, მაგრამ იქ, სადაც თოვლი და ყინულია და ცოტა ფულიცაა, ზამთრის სახეობებმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი და კონკურენციაც უფრო დიდია, ვიდრე პირველი ოლიმპიადებისას. თუმცა, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.**



**ზამთრის პირველი, 1924 წლის შამონის ოლიმპიადის აფიშა**

### ფიგურული სრიალი

როგორც აღვნიშნეთ, ზამთრის სახეობებიდან ყველაზე ხანგრძლივი ოლიმპიური ისტორია ფიგურისტებს აქვთ, რადგან ისინი შამონის ოლიმპიადას არ დაელოდნენ და 1908 წელს ლონდონისა და 1920 წელს ანტვერპენის ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობდნენ. სწორედ ამიტომ შვედი ფიგურისტი გუნარ გრაფსტრიომი ერთადერთია, ვინც ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადებზე გაიმარჯვა, თანაც ისე, რომ სახეობა არ გამოუცვლია. ამასთან გრაფსტრიომი დღემდე რეკორდსმენია მოსრიალე ვაჟებს შორის. მან სამი ოლიმპიადა მოიგო — 1920, 1924 და 1928 წლებში. ორ-ორ ოლიმპიადაზე გაიმარჯვეს ავსტრიელმა კარლ შეფერმა და ამერიკელმა რიჩარდ ბატონმა. 1956 წელი კორტინა დ ამპეცოში და 1960 სკვო-ველიში ჯენკინსების ტრიუმფით აღინიშნა — ამერიკელმა ალან ჯენკინსმა მემკვიდრეობით გადაულოცა ოლიმპიური პირველობა თავის უმცროს ძმას, დონალდს.

ქალებში ასეთი გამორჩეული გმირი ნორვეგიელი სონია ჰენია, რომელმაც სანკტ-მორიცის (1928), ლეიკ-პლესიდისა (1932) და გარმიშ-პარტენკირჰენის (1930) ოლიმპიადები მოიგო. სონია ჰენი არა მარტო ლეგენდარული მოციგურავეა, იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფილმიდან, „მზიური ველის სერენადიდანაც“ დაგვამახსოვრდა. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი კი მომხიბლავი გერმანელი კატარინა ვიტია. მანაც სცადა ძალა კინოში, მაგრამ ისეთ წარმატებას ვერ მიაღწია, როგორსაც ნორვეგიელმა.

სპორტულ წყვილებში კარგა ხანია, რუსები ბატონობენ. სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს პირველად ლუდმილა ბელოუსოვა და ოლეგ პროტოპოპოვი იყვნენ, მაგრამ მათ ამის საშუალება თანამემამულეებმა — ირინა როდნინამ და ალექსეი ულანოვმა არ მისცეს. განაწყენებულმა ბელოუსოვამ და პროტოპოპოვმა უცხოეთს შეაფარეს თავი, როდნინა კი ერთადერთი გახდა, ვინც წყვილთა სრიალში სამჯერ მოიპოვა ოქრო, ოღონდ ორ მამაკაცთან ერთად. 1972 წელს, ულანოვთან გამარჯვების შემდეგ, მას ალექსანდრ ზაიცევი შეეწყვილა. ამათ გარდა, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ისევ რუსთა დუეტი — ეკატერინა გორდეევა და ალექსანდრ გრინკოვი გახლავთ.

წყვილთა ცეკვები ოლიმპიადის პროგრამაში მხოლოდ 1976 წელს შეიტანეს და აქაც რუსებმა დაჯაბნეს ყველა, თუმცა ორჯერ ჩემპიონობას ჯერ ვერც ერთმა დუეტმა მიაღწია. მხოლოდ 1984 წელს იყო გამონაკლისი, როცა სახელგანთქმულმა ინგლისელებმა, ჯენიფერ ტორვილმა და კრისტოფერ დინმა იმარჯვეს. შემდეგ კი ისევ რუსებმა დაიბრუნეს ბატონობა.

### მთის თხილამურობა

ბევრი თვლის, რომ ეს ზამთრის ოლიმპიადების ყველაზე ლამაზი სახეობაა. ამიტომაა, რომ ეს დისციპლინა უფრო მეტ მოწინავე ქვეყანას ითვლის, ვიდრე თხილამურებით რბოლა. თუმცა სამთო თხილამურებსაც ჰყავდა თავისი ფავორიტები: ავსტრიელებს, ფრანგებსა და შვეიცარიელებს ადრე ხანდახან ამერიკელები და კანადელები, გერმანელები და იტალიელები თუ შეაწუხებდნენ. მაგრამ შემდეგ ეს ქვეყნები თავად იქცნენ ძლიერ სათხილამურო ცენტრებად, ის კი არა, მათ ბოლოხანს შვედები და ნორვეგიელებიც შეუერთდნენ. კიდევ ხუთი-ექვსი ქვეყნის სპორტსმენებისგანაც უნდა ველოდეთ სიურპრიზებს. სამთო-სამხილამურო სპორტის ისტორიაში არის აბსოლუტური რეკორდი, რომელსაც, ალბათ, დღევანდელი მძაფრი კონკურენციის პირობებში უკვე ველარავინ გააუმჯობესებს. 1956 წელს კორტინა დ'ამპეცოში ტონი ზაილერმა (ავსტრია) და 1968 წელს გრენობლში ჟანკლოდ კილიმ (საფრანგეთი) ყველა დისტანცია მოიგეს. ისინი იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენები იყვნენ. ვინ არ უცქერდა ფილმებს ზაილერის მონაწილეობით, კილის კი ყველა დროის უდიდეს ფრანგ სპორტსმენად მიიჩნევდნენ. ისე, კინოსთან საერთო კილისაც ჰქონდა — მისი მეუღლე 60-იანი წლების ფრანგი კინოვარსკვლავი დანიელ ჟობერი გახლდათ.

სახელოვან ოლიმპიელთა სიას კიდევ შერჩა დიადი სახელები, მაგრამ ამ ორის წარმატების გამეორება ვერც დიდმა შვედმა — ინგემარ სტენმარკმა, იტალიელებმა — გუსტავო ტონიმ და ალბერტო ტომბამ, შვეიცარიელმა პირმინ ცურბრიგენმა შეძლეს. ვერც ერთხელ მოიპოვა ოქრო მსოფლიო თასის ხუთგზის მფლობელმა, ლუქსემბურგელმა მარკ ჟირარდელიმ, მაშინ, როცა ოლიმპიადების გამარჯვებულთა სიაში არასათხილამურო ქვეყნის (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) წარმომადგენლის, ესპანელი ფრანჩესკო ოჩოას გვარს შეხვდებით.

ქალებში ყველა დისტანცია არავის მოუგია, თუმცა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი (ორ ოლიმპიადაზე) ქალებსაც ჰყავთ ეს



**ინსბრუკის ოლიმპიადის ჩემპიონი ფრანც კლამერი**

სახელგანთქმული ფრენი შნაიდერია (შვეიცარია). ორჯერ გაიმარჯვეს ალისა ლოურენს-მიდმა (აშშ), მარი-ტერეზ ნადიგმა (შვეიცარია). როზი მიტერმაიერმა (გერმანია), ჰანი ვენცელმა (ლიხტენშტაინი), მარიელ გოიჩელმა (საფრანგეთი).

კვლავ კარგ ფორმაში არიან წინა ოლიმპიადის გამარჯვებულნი — დებორა კომპანიონი (იტალია) და კატია ზაიტინგერი (გერმანია) და შესაძლოა, რეკორდსმენებს ისინიც შეუერთდნენ.

### ბარის თხილამურობა

ვაჟებში კარგა ხანს სკანდინაველები — ფინელები, ნორვეგიელები და შვედები პირველობდნენ, შემდეგ კი მათ რუსებიც შეუერთდნენ. მართალია, აქა-იქ სხვა ქვეყნებიც ცდილობენ ელიტაში შეღწევას, მაგრამ ამ სახეობაში სკანდინაველები უპირატესობას არ თმობენ. თვით სპორტსმენებში კი კონკურენცია ძალზე დიდია და ორი დისტანციის მოგებით სპორტსმენი უკვე დიადთა შორის იმკვიდრებს ადგილს.

ვაჟთა ინდივიდუალურ რბოლებში ოთხგზის გამარჯვებული ბიორნ დელია, თუმცა იგი კვლავ შესანიშნავ ფორმაშია და შეუძლია, გააუმჯობესოს ეს მაჩვენებელი. სამჯერ გაუმარჯვია სახელგანთქმულ შვედ სიქსტენ ერნბერგს, ორჯერ მის თვისტომთ — გუნდე სვანსა და თომას ვასბერგს, ფინელებს — ეერო მიანტიურანტას და ვეიკო ჰაკულინენს, ნორვეგიელებს — ტორბიერნ ჰაუგსა და ჰანს ბრენდენს, რუს ნიკოლაი ზიმიატოვს. ამათ გარდა მხოლოდ ორ ქვეყანას ჰყავდა ოლიმპიური ჩემპიონი: 1968 წელს გრენობლში იტალიელმა ფრანკო ნონესმა მოიგო 30 რბოლა, 1994 წელს ლილეჰამერში კი ყაზახმა ვლადიმერ სმირნოვმა 50 კმ, თუმცა სმირნოვის ყაზახობაც საკითხავია და ისიც, ეს გამარჯვება ყაზახეთს ეკუთვნის თუ ყოფილ სსრკ-ს.

ქალთა შორის ერთადერთი ლიუბოვ ეგოროვაა (რუსეთი), რომელმაც ოთხჯერ გაიმარჯვა ინდივიდუალურ სახეობებში, მაგრამ მან ეს მაშინ შეძლო, როცა ოლიმპიადებში ინტერვალი ორი წელი იყო (ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადები ერთმანეთს გაემიჯნა) და თანაც ორის მაგივრად ქალები უკვე ოთხ დისტანციაზე ასპარეზობდნენ. სამგზის ჩემპიონი კი ფინელი მარია-ლიუიზა ჰამალაინენია, რომელმაც 1984 წელს მაშინ არსებული ყველა რბოლა მოიგო. ორგზის ჩემპიონები რუსთა კერპები — გალინა კულაკოვა და რაისა სმეტანინა არიან, აგრეთვე შვედი ტოინი გუსტაფსონი და კიდევ ერთი რუსი — კლავდია ბოიარსკიხი.

სკანდინაველებისა და რუსების დავაში მხოლოდ გერმანელი ბარბარა პეტცოლდი ჩაერია, ბოლო წლებში კი მათ შესანიშნავი იტალიელი მოთხილამურეები — სილვია ბელმონდო და მანუელა დი ჩენცა ეცილებიან პირველობაში. აღსანიშნავია, რომ რუსმა ელენა ვიალბემ (ვიალბე მისი ესტონელი მეუღლის გვარია), რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატებზე 6 ინდივიდუალური ოქრო მოიპოვა, ჯერაც ვერ შეძლო ოლიმპიადაზე გამარჯვება.

### ციგურაობა

ციგურებით რბენა სკანდინაველთა, ჰოლანდიელთა და რუსთა სახეობა იყო, რომელთაც ამერიკელები თუ შეეპაექრებოდნენ მოკლე დისტანციებში, მაგრამ მსოფლიოს უდიდესი სპოტსმენები მაინც ამ ქვეყნებმა აღზარდეს.

ოლიმპიადების ისტორიას შემორჩა ფინელი კარლ ტუნბერგის (ოთხი ოქრო ორ ოლიმპიადაზე), ნორვეგიელების — ივარ ბალანგრუდისა (სამი ოქრო გარმიშ-პარტენკირხენში) და იალმარ ანდერსენის (სამი ოქრო ოსლოში), ჰოლანდიელ არდ სხენკის (სამი ოქრო საპოროში) სახელები. სპეციალისტები მათ მიუწვდომელ სპორტსმენებად მიიჩნევდნენ და 1980 წლამდე ასეც იყო, მაგრამ გამოჩნდა ამერიკელი ფენომენი ერიკ ჰაიდენი და ყველაფერი დაამხო. მისთვის არ არსებობდა მოკლე და გრძელი დისტანცია, მრავალჭიდი თუ ცალ-ცალკე სახეობები, ერიკმა 1980 წელს ხუთივე (!!!) დისტანცია მოიგო და 20 წლისამ ამ მიღწევის განმეორების თეორიული შანსიც კი არ დაუტოვა არავის. სწორედ ამიტომ თითქმის ნახევარმა მსოფლიომ არ იცის, რომ ნორვეგიელი იუჰან კოსი 1992 და 1994 წლის ოლიმპიადების ოთხგზის გამარჯვებულია. ჰაიდენის შემდეგ ასეთი შესანიშნავი მიღწევაც კი იჩრდილება.

ქალთა შორის იგივე შეძლო რუსმა ლიდია სკობლიკოვამ, რომელმაც 1964 წელს ინსბრუკში ოთხივე დისტანციაზე გაიმარჯვა (მანამდე მან ორი ოქრო სკვო-ველიში მოიპოვა) და ამ მაჩვენებლით აბსოლუტური რეკორდსმენია — 6 ოქრო. ამ შედეგის გაუმჯობესება, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ 80-იან წლებში გამოჩნდა შესანიშნავი გერმანელი მოციგურავე კარინ ენკე, რომელსაც ამ რეკორდის მოხსნა შეეძლო. მაგრამ ენკემ სამ ოლიმპიადაზე „მხოლოდ“ სამი ოქრო მოიპოვა (ეს მისი პოტენციალისთვის მოკრძალებული შედეგია), სამი ოქრო კი ამერიკელ ბონი ბლეირსა და ჰოლანდიელ ივონა ვან გენიპსაც მოუპოვებიათ. ვერც ერთხელ მოიგეს ოლიმპიური ოქრო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა — ჰოლანდიელმა ატიე დეელსტრამ და რუსმა ინგა არტამონოვამ. არტამონოვას კიდევ ჰქონდა ამის შანსი, მაგრამ მისი ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა: ქმარმა ეჭვიანობის გამო სიცოცხლეს გამოასალმა.

### ტრამპლინიდან ხტომა

აქ სკანდინაველები სრულ ჰეგემონიას ვერ დაიკვეხნიან, რადგან დიდი სპორტსმენები გერმანელებს, ავსტრიელებსა და შვეიცარიელებსაც ჰყავთ, თითო-ოროლა ვარსკვლავი კი სხვა ქვეყნებსაც. ყველაზე დიდ გამარჯვებას მაინც სკანდინაველმა მიაღწია: ფინელი მატი ნიუკიაინენი სამჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ორი ოქრო მოიპოვეს ნორვეგიელმა ბირგერ რუუდმა და გერმანელმა იენს ვაისფლოგმა. ვაისფლოგის მიღწევა მაინც აღსანიშნავია — პირველ მეორე ოქროს მედლებს შორის 10 წელი გავიდა.

ორი ოლიმპიური ოქრო ვერ მოიპოვეს ისეთმა დიდმა მხტომელებმა, როგორნიც იყვნენ ჰელმუტ რეკნაგელი (გერმანია), ანტონ ინაუერი (ავსტრია), ვეიკო კანკონენი (ფინეთი) და სხვები, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს უმაღლესი სპორტული ჯილდოს დასაკუთრება.

ეს სახეობა ჯერჯერობით ერთადერთია, სადაც ქართველებს მედლისთვის ბრძოლა შეგვეძლო — სწორედ აქ გამოდიოდა ჩვენი საუკეთესო მხტომელი კობა წაქაძე, რომელმაც ოთხ ოლიმპიადაზე მონაწილეობდა. თუმცა იგი მე-9 ადგილს ვერ აცდა.

### ბიათლონი

ისეთი განსხვავებული სპორტული დისციპლინები, როგორიცაა თხილამურები და სროლა, სკანდინავიელებმა სპორტად აქციეს და ზამთრის ოლიმპიადებზე ბიატლონმაც დაიმკვიდრა ადგილი. ორი ოქრო ინდივიდუალურ სახეობებში აქ რეკორდია. რაც ნორვეგიელმა მაგნარ სოლბერგმა და გერმანელმა ჰანს-პიტერ რეჩმა შეძლეს. ეს, ეტყობა, არც ისე ადვილია, რადგან მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი ბიატლონისტებისთვის — ფრანკ ულრიჰისთვის (გერმანია), ერიკ კვალფოსისთვის (ნორვეგია) და ალექსანდრ ტიხონოვისთვის (რუსეთი) ეს მიღწევა მიუწვდომელი დარჩა (ტიხონოვი, საერთოდ, მხოლოდ ესტაფეტებში იმარჯვებდა).

ახლა იარაღით და თხილამურებით ქალებიც დარბიან, თუმცა გამორჩეული სპორტსმენი მათ შორის ჯერჯერობით არავინ გახლავთ.

### ორჭიდი

აი, ტრამპლინიდან ხტომა და სირბილი სავსებით ლოგიკურად შეადგენს ჩრდილოურ ორჭიდს — აქ უდავო ლიდერობა ნორვეგიელებს ეკუთვნით, თუმცა ყველა დროის უძლიერეს ორჭიდელად გერმანელი ულრიჰ ველინგი ითვლება, რომელმაც სამი ოლიმპიადა მოიგო, სხვებს კი ეს ორჯერაც ვერ მოუხერხებიათ.

### ციგაობა

ამ სახეობაში კი გერმანელები და ავსტრიელ-შვეიცარიელები ბატონობენ. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი (ერთეულებში) მხოლოდ ორი სპორტსმენია და ორივე გერმანელია: ვაჟებში გიუნტერ ხაგლი, ქალებში კი საბინა მარტინი. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნებშიც დაიწყეს ციგაობა, მისი ყადრი ყველაზე კარგად ისევ ძველმა ფავორიტებმა იციან.

### ბობსლეი

მათ, ვისაც სრულიად არა აქვთ წარმოდგენა ბობსლეიზე, ალბათ, გაუკვირდებათ: დიდ ციგებში, სადაც ხან ორი, ხანაც ოთხი მონაწილეა, გამორჩეული ვარსკვლავებიც არიან. ბობსლეისაც ჰყავდა თავისი „მეფე“, ვისაც ამ სახეობის წარმომადგენლები უყოყმანოდ უთმობენ უპირატესის გვირგვინს. ეს იტალიელი ეუჯენიო მონტია, რომელიც ორჯერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

### ფრისტაილი

ფრისტაილი ძალზე ახალი სახეობაა და მისი მოკლე ოლიმპიური ისტორიის გამო განსაკუთრებულ წარმატებებზე საუბარი ჯერ ნაადრევია.



**აკრობატული ფრისტაილი პირველად 1994 წლის ლილეჰამერის ოლიმპიადაზე გამოჩნდა**

### ჰოკეი

ზამთრის ოლიმპიადებზე ეს ერთადერთი გუნდური თამაშია. თოვლსა და ყინულზე სათამაშო უფრო ხეირიანი სახეობა ჯერჯერობით ვერ მოიგონეს (არსებობს კიდევ ბურთიანი ჰოკეი-ბენდი, მაგრამ მან მაინც ვერ მოიპოვა პოპულარობა). აქ კანადელები კარგა ხანს აბუჩად იგდებდნენ მეტოქეებს და ოლიმპიადებზე მესამეხარისხოვანი გუნდებით იმარჯვებდნენ. მაგრამ რუსების მოყვარულთა ნაკრების გამოჩენამ, რომელთაც არაერთი ოლიმპიადა მოიგეს, ისინიც შეაფუცხუნა და ნაგანოში, ალბათ, მედგარი ბრძოლა გაჩაღდება. ნჰლ-ის პროფესიონალები კანადის, აშშ-ის, ჩეხეთის, შვედეთის, რუსეთის, ფინეთისა და სლოვაკეთის ნაკრებებში ითამაშებენ და თუ მანამდე ოლიმპიადების ისტორიას ბობროვის, ხარლამოვის, ტრეტიაკის, დავიდოვის, მიხაილოვის, ფეტისოვის, მაკაროვისა და სხვა რუს მოთამაშეთა ბრწყინვალე თამაში ახსოვს, ნჰლ-ის ვარსკვლავებიც უეჭველია, თავის სათქმელს იტყვიან.

**ილია მჭედლიძე**



**1988 წლის კალგარის ოლიმპიადის ჩემპიონ საბჭოელ ჰოკეისტთა ყოჩი ვლადიმერ კრუტოვი**

ვალეტა
„ტა ქალი"
6 თებერვალი

**საქართველო 2:1 ლატვია**

ტოგონიძე
შეყილაძე კალაძე ჩიხრაძე
შელია
გახოკიძე ნემსაძე ქეცბაია
ჯამარაული
ა. არველაძე
შ. არველაძე

პახარი
ბაბიჩევი
ასტაფიევი · რინკუსი · ბლეიდელისი
ლობანოვი
ისაკოვი
ბლაგონადეჟდინი ზაკრეშევსკი
ი. ლაიზანსი
რ. ლაიზანსი

შეცვლა: ა. არველაძე — ყაველაშვილი (46), შ. არველაძე — იაშვილი (46), რინკუსი — ლუკაშევიჩი (46), ასტაფიევი — სლესარჩუკი (64), ჯამარაული — სილაგაძე (74), ნემსაძე — კიკნაძე (80), ისაკოვი — პოლიაკოვი (80), ქეცბაია — ცქიტიშვილი (82)

1:0, 2:0 ჯამარაული (53, 72), სლესარჩუკი (86)

მსაჯი: ა. მიკალევი (მალტა)

დასაწყისი პირველ გვერდზე

# გუცაევმა ქვისლს აწყენინა

აბა, ძოძუაშვილზე უკეთ ვინ იცის ჩვენების ავან-ჩავანი? მიხიჩამაც გუცაევის საპირისპირო სტრატეგია შეიმუშავა. ქართველებს ბურთს არ აღებინებდნენ, ყველა ჩვენებურს ფეხზე კაცი ეჯდა, ტექნიკას ძალით, ოღონდ არა უხეშობით პასუხობდნენ. ლატვიელებმა ოთხი მცველით ითამაშეს, ამათგან ერთი, ისაკოვი, შოთას მიეწება, გასაქანს არ აძლევდა, მაგრამ არველაძე ჭკუით და სისწრაფით სჯობდა. რამდენჯერმე დაუსხლტა კიდეც, რასაც არაერთი გამოუყენებელი მომენტიც მოჰყვა. გუცაევმა ჩვეულებას არ უღალატა, ისევ ოთხი მცველით, ამდენივე შუახაზელით და ტყუპი თავდამსხმელებით დაიწყო. თავიდან ლატვიელები გვჯობდნენ. სამომავლოდ ამათ თავდამსხმელზე მარიან პახარზე ღირს ყურადღების გამახვილება, რადგან პირველ ტაიმში თითქმის ასპროცენტიან გამოუყენებელ მომენტებს სხვა დროს გოლად აქცევს, სწრაფია და გონიერი, ეგაა, ცოტა ტექნიკურად მოიკოჭლებს, თორემ ნაღდად შეაგდებდა. ისე, პახარის რეალური მომენტები ჩვენი მცველების უყურადღებობის ბრალიცაა. მის გარდა ბაბიჩევი და ასტაფიევიც აქტიურობდნენ, მიხიჩამ ესენი ნახევარდაცვაში გაამწესა, მთელ მინდორზე მოძრაობა დაავალა. ქართველთაგან პირველ ტაიმში ქეცბაია და ნემსაძე გამოირჩეოდნენ, სხვათა შორის, ცხადაძის არყოფნაში კაპიტანი ნემსო გახლდათ, მანაც ჩვეულად, დაუღალავად ითამაშა.

პირველ ტაიმს გამოუყენებელი მომენტებისა ეთქმოდა. ვერც ჩვენები ხეირობდნენ, ვერც ისინი. ორივე გუნდის მცველები თავდამსხმელ-ნახევარმცველებს ყველაფრის საშუალებას აძლევდნენ. მეორეში სურათი შეიცვალა, ოღონდ გოლების მხრივ, თორემ ჩვენი მცველები კვლავაც უხეშად ცდებოდნენ. ჯამარაულის გოლის შემდეგ დაცვის ცენტრი მთლად მოიშალა, იმავე პახარსა და ბლეიდელისს იღბალმა უმტყუნა, როცა ტოგონიძესთან პირისპირ დარჩნენ. გოლი კი იაშვილ-ყაველაშვილის თამაშში აქტიურ ჩართვას მოჰყვა, იბრძოლეს, მცველებს მოსვენება არ მისცეს, საბოლოოდ კი ბურთი საჯარიმოს მარცხენა კუთხესთან გახოკიძეს მიუგორდა. ამანაც აღარ დააყოვნა, ბლაგონადეჟდინი უსაქმოდ დატოვა და ჯამარას გადააწოდა, რომელმაც ლაიზანსს ახლო კუთხეში შეუგდო. მერე ლატვიელთა ის ორი მომენტი იყო, ზემოთ რომ ვთქვი, მე-60 წუთზე კი ქეცბაიამ სასწაული კომბინაცია ვერ დააგვირგვინა. ლატვიელი კოლეგის ნათქვამს დავიმოწმებ — ძალიან ძლიერები ხართ, ეს მომენტი დიდი ფეხბურთის ნიმუში იყოო. ისე, შექმნილ მომენტებზე საინტერესო, ვფიქრობ, სხვა რამაა. მაგალითად ის, რომ ლატვიელებს ათამდე წამყვანი მოთამაშე აკლდათ, რომლებიც ძოძუაშვილს საერთოდ არ ჩამოუყვანია. აღსანიშნავია ისიც, რომ პახარი თურმე ნახევარმცველი ყოფილა, მიზეზთა გამო კი მიხიჩამ თავდამსხმელად ათამაშა. ლატვიელთა ათლეტურობაც თვალში საცემია. ამ მხრივ განსაკუთრებით შუახაზელები გამოირჩევიან, ტაქტიკურად გამართულად თამაშობენ, ბევრს მოძრაობენ, იციან სად, როდის გადაადგილდნენ, მაგრამ რაღაც აკლიათ, ის რაღაც კი დახვეწილი საფეხბურთო აზროვნებაა. აი ესაა ლატვიის ნაკრები და მათთან ძალზე ფრთხილად უნდა ვიყოთ, თორემ შესაძლოა, დავისაჯოთ.

ეტყობათ, გაშვებული გოლის შემდეგ ფსიქოლოგიურად ტყდებიან. გუშინაც ასე მოხდა. მესამოცე წუთიდან მოყოლებული, ქართველები ნავარდობდნენ. მაყურებელიც ყოველ წუთს ტაშს უკრავდა ჩვენებურთა ოსტატობას. ჯამარაულის მეორე გოლზეც ასე თქვეს — საქართველო პატარა ბრაზილიაო. რას ერჩი, კარგი კომპლიმენტია, მაგრამ ცოტა გადაჭარბებულიც. ჯამარამ ისაკოვს თავბრუ დაახვია, სამჯერ გაუგდო-გამოუგდო ბურთი, ბოლოს მეტოქეს აღარ შეეძლო, წაიქცა და გოლიც გავიდა. მატჩის ბოლომდე გუცაევმა განაცხადში შეყვანილთ თითქმის ყველას მისცა თამაშის საშუალება, შემცვლელებმაც ივარგეს, მაგრამ ერთი ბურთი გაუშვეს, როცა კალაძემ საჯარიმოში სლესარჩუკი მოცელა და ბლეიდელისმა პენალტი შეაგდო. ოთხ წუთში კი მსაჯმაც ჩასტვინა. გუცაევმა ქვისლი დაამარცხა სადებიუტო მატჩში. ჩვენებმა ამჯერად იმარჯვეს, თუმცა დამაკმაყოფილებელი მხოლოდ ეს იყო, თამაშის ხარისხისა კი რა მოგახსენოთ, ძალიან ცუდად მოქმედებდა დაცვა, განსაკუთრებით ცენტრი, კალაძე ნაღდად არ არის ლიბერო, ეს გუცაევმაც აღნიშნა მატჩის შემდეგ.

ლა ვალეტა
„ტა ქალი"
6 თებერვალი

**მალტა 1:1 ალბანეთი**

**მალტა:** მუსკატი, კამილერი, მარიოფერენდი, სიქლმიტი, სალიბა, ჩეტკუტი (ბრინკატი 76), სენ ფურნიე (კარაბოტი 60), ტერნერი (ჯილიო 69), ნვოკო (აგიუსი 81), ზაჰრა, სუდა
**ალბანეთი:** სტრაკოშა, ტოლე (მურატი 46), შულკუ, ფაკაი (ჰალილი 46), ვატა (გალო 80), კოტრი, ლალა, ბუშაჯი, პეკო (მემა 75), რაკლი, ტარე
1:0 სუდა (2), 1:1 ლალა (86)
**გაფრთხილება:** ბუშაჯი, სუდა, ჩეტკუტი, ნვოკო
**მსაჯი:** რ. ლაიკუსი (ლატვია)

კახა ცხადაძე ლა ვალეტადან

# რაკლიმ ნამეტანი მოინდომა

პირველი მატჩი დამთავრდა თუ არა, გასახდელებიდან წითელ-თეთრ მაისურებში გამოწყობილი მასპინძლები და ალბანელები გამოჩნდნენ. თამაშიც წუთნახევრის დაწყებული იყო, მალტელები ტანდაბალმა სუდამ რომ დააწინაურა. ალბანელები არ მოელოდნენ ამგვარ დებიუტს და ისე დაიბნენ, ალალი იქნებოდა, ნახევარი საათის განმავლობაში ხუთი გოლი გაეშვათ. მასპინძლებს ოსტატობამ უმტყუნათ, ბურთი კარის ჩარჩოშიც ვერ მოახვედრეს, თორემ ალბანელი მცველები კაპიტან-სტოპერ რუდი ვატას ჩათვლით ყოველ წუთს უხეშად ცდებოდნენ. საქართველოს თამაშისგან განსხვავებით, ამათ შეხვედრას შედარებით მეტი მაყურებელი ჰყავდა. კარგადაც ამხნევებდნენ თავისიანებს, რომლებმაც შესაძლებლობები, ალბათ, ბოლომდე გამოავლინეს კიდეც. თუმცა, ტაიმის ბოლოს ისინიც მოდუნდნენ და ალბანეთმა ძალიან ბევრი ნაღდი მომენტი გააცუდა. მუსკატი კარს ისე დარაჯობდა, შიგ ბურთს კი არა, ჩიტს არ შეაფრენდა. მარტო აყლაყუდა ტარეს ჰქონდა სამი მომენტი, ამას რაკლიც რომ დავამატოთ, ტაიმის დამთავრების შემდეგ ანგარიში 5:5 უნდა ყოფილიყო. ალბანელები უაზროდ თამაშობდნენ, გაშვებული გოლის შემდეგ, როცა მეტოქე კონტრშეტევას წამოიწყებდა, ნახევარი ალბანელთა გუნდისა მალტელთა საჯარიმოში ჩარჩებოდა ხოლმე, მასპინძლებს ოთხი მცველი უმკლავდებოდა, თავს იკლავდნენ და მეორედ აღარ ახეირეს. შესვენების შემდეგ სტუმართა უპირატესობა უაშკარავესი გახლდათ, ჰაფაზმა მურატით ტოლე გამოცვალა, შემცვლელმაც ბევრი იმოძრავა და რაკლი ბლომად მოამარაგა პასებით. იგი ტექნიკური ფეხბურთელი კი ჩანს, მაგრამ ბოლო მომენტში სცოდავს ხოლმე, ისევე, როგორც ჩვენი მომავალი მეტოქის მთელი გუნდი. მატჩი მეტად უაზრო გამოდგა, ორივე სუსტი გუნდია, ალბანელებს თუ გაუმართლდათ, გაიტანენ, თუ არადა... საამისო საშუალება არ უნდა მისცე, თორემ... აგერ, ინებეთ, ბოლო წუთებზე ანგარიშიც გაათანაბრეს.

მალტელებმა გააფთრებით შეუტიეს. თუმცა სახეიროს ვერაფერს მიაღწიეს, ვერც მიაღწევდნენ, რადგანაც, რაც გააკეთეს მის მეტი არც იციან. ალბანელი რაკლი კი სულ ბოლო წამებზე მეკარესთან პირისპირ დარჩა და ხარიხის მედეგობა შეამოწმა, კაციშვილი ხელს არ უშლიდა, მაგრამ იპროფესორა...

თბილისი
„დილომი"
5 თებერვალი

**დინამო 4:2 ჩკალოვეცი**

**დინამო:** ზოიძე (ქორქოლიანი 46), გელაძე, ჯელაძე, გუჩუა, გოგობერიშვილი, კვარაცხელია (გველესიანი 63), პეტრიაშვილი (ბურდული 46), ალექსიძე (სახვაძე 75), აშვეთია, მუჯირი, წიტაიშვილი (ხომერიკი 46)
**ჩკალოვეცი:** იკანოვიჩი, ზავადსკი, ნაჭყებია (მელნიკოვი 67), კოროტკოვი (რომანოვი 46), შერბაკოვი, მამონოვი (ზლობინი 46), დუბოვიკი (წიქარიშვილი 46), სუხიაშვილი, იარკინი (აბგოლცი 58), კრივოშჩოკოვი (მანაგაძე 46), ნიკულინი (ზინოვიევი 69)
1:0 კვარაცხელია (23), 2:0, 3:0 ალექსიძე (41, 57), 3:1 ნიკულინი (673), 4:1 ხომერიკი (80), 4:2 აბგოლცი (83)
**მსაჯი:** ნ. აკობია

მამუკა კვანტალიანი

# იმედი და საფიქრალი

„დინამოს" გუშინწინდელი მეტოქე ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცი" საშუალო კლასის გუნდიც არ გახლავთ. ისინი ნაღდ რუსულ ფეხბურთს თამაშობენ, ბურთთან ცოტა მწყრალად არიან და მთელი ყურადღება იმაზე გადააქვთ, როგორმე მეტოქის შეტევები ჩაშალონ. მერე, თუ მოწინააღმდეგე დაიღალა, იცოცხლეთ, სირბილი კარგი იციან. ჩვენებურებს ამ გუნდში ლიდერობა შეუძლიათ, მაგრამ ეტყობათ, რომ მოუმზადებლები არიან. საერთოდ, „ჩკალოვეცმა" შარშანდელი სეზონის შემდეგ მიწაზე პირველად გააგორა ბურთი. მანამდე დარბაზში უვარჯიშიათ. ასეთი სპარინგ-პარტნიორი ჰყავდა ჩვენს ჩემპიონს და თამაშიც საშუალო სიძლიერის გამოდგა. მიუხედავად ამისა, „დინამოს" საწყის წუთებში გაუჭირდა და რომ არა ნოდარ აკობიას გულმოწყალება, ჩვენების კარში ორი უეჭველი პენალტი უნდა დანიშნულიყო. ეს იყო და ეს, პირველ ტაიმში ნოვოსიბირსკელებს ზოიძე მეტად არ შეუწუხებიათ.

როგორც აღვნიშნეთ, პირველ ტაიმში ზოიძე უსაქმოდ იყო. ამიტომ ძნელია, მისი მზადყოფნის შესახებ რაიმე თქვა. ირაკლი თამაშში ერთხელ ჩაერთო, როცა მასთან პირისპირ შეჭრილი იარკინი წესის დარღვევით შეაჩერა. საგულისხმო უფრო ის გახლავთ, რომ „დინამოს" ძირითად მეკარეს კონკურენტი გაუჩნდა. მეორე ტაიმში გამოსული გოჩა ქორქოლიანი ზოიძეს და ჭანტურიას მეტად შეავიწროვებს. ყოფილი ცხუმელი ერთ მომენტში ისე ოსტატურად გაისარჯა, როგორც მაღალი კლასის მეკარეს ეკადრება. ქორქოლიანს არც გამოცდილება აკლია, ხოლო კონკურენცია სამივეს გამოაცოცხლებს.

ყველაზე სუსტ რგოლად დაცვა გამოჩნდა. უკანა ხაზში ყიფიანმა ოთხი ფეხბურთელი გამწესა. ამათგან დავალებას მხოლოდ გოგობერიშვილმა გაართვა თავი, გუჩუა, გელაძე და ჯელაძე კი ხშირად ცდებოდნენ. გუჩუას და ჯელაძეს თავდადება და მონდომება არ აკლიათ, მაგრამ ლამის ყოველი მათი შებრძოლება მეტოქესთან ჯარიმით მთავრდება. საჯარიმოს სიახლოვეს კი ნებისმიერი კლასიანი გუნდი ამგვარ დარტყმას, უმეტეს შემთხვევაში, გოლად აქცევს. ლიბეროდ გელაძე თამაშობდა. ამ ამპლუაში მოქნილი, სხარტი და მოაზროვნე ფეხბურთელია საჭირო, რომელიც ადგილის შერჩევისას და პარტნიორთა დაზღვევისას არ შეცდება. გელაძე კი, მოგვეჩვენა, მძიმედ მოძრაობდა. სწორედ მისი შეცდომის შემდეგ შეიქმნა ორი ხიფათი ჩვენს კართან.



სუხიაშვილი — ჯელაძეს: ის ორი პენალტი რომ დაენიშნათ...

ნახევარდაცვა მობილური გახლდათ



რუსთა თავკაც სერგო ორჯონიკიძის ქართული გაზეთის კითხვა მოენატრა

— მუჯირი, ალექსიძე, კვარაცხელია და პეტრიაშვილი. ამათგან მხოლოდ მეოთხე ვერ იდგა საჭირო დონეზე. პეტრო მარჯვენაფლანგელობას ვერ გასწევს. მინდვრის შუაგულში მებრძოლი, წინ და უკან მორბენალი ფეხბურთელი უნდა მოქმედებდეს. პეტრიაშვილისგან მაქსიმუმი რომ მიიღო, იგი თავდასხმაში უნდა გაამწესო, იქ მეტ სარგებელს მოიტანს. რაც შეეხებათ მუმუს, რატის და გივის, მათ კარგად ითამაშეს და გოლებიც მათი სალი აზროვნების შედეგი იყო. მუჯირს და ალექსიძეს კი „დინამოს" შუახაზის ლიდერებად მივიჩნევთ.

დაბოლოს, თავდასხმა. ვფიქრობთ, ყიფიანმა მიაგნო მისთვის სასურველ ვარიანტს. გუნდის მეგოლეებად, უპირველესად, აშვეთია და წიტაიშვილი გვეგულებიან. არც ის დაგვავიწყდეს, რომ „დინამოს" ახალწვეულები — მართალია, სასურველი ფორმისგან შორს არიან, მაგრამ მათ თამაშში დიდი პოტენცია გამოჩნდა, რომელიც ეპიზოდურად გაიელვებდა ხოლმე. ხომერიკიც ვახსენოთ, რომელსაც თავდამსხმელის ყველა თვისება გააჩნია, მაგრამ რატომღაც ჯერ ვერაფრით გახსნილა. ჩვენი აზრით, მიზეზი თავად ლევანის ხასიათშია საძიებელი.

გუშინწინ „დინამოს" ნაკრებში გამოძახებული ოთხი ფეხბურთელი აკლდა. მათ გარდა, ჭანტურია და ჩხაიძე.

**EURO 2000**

**ჩვენი ჯგუფი**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე ჯგუფის 3 გუნდი ხომ მალტაზე ირჯება. ორიც, ნორვეგია და სლოვენია, კვიპროსის ექვსთა ტურნირში მონაწილეობენ.

გუშინ ნორვეგიელები ფინეთს შეხვდნენ და მშრალად დაუზავდნენ. არადა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტს მის მიღმა ბოლოხანს დარჩენილ გუნდთან მოგების დიდი შანსი ჰქონდა. თუმცა ჩვენმა მეტოქემ ვერც ვერც ფინელ მეკარე მიკო კავენს მოუხერხა რამე და ვერც მისი კარის ჯვარედინს. ნორვეგიელებმა ვერც უდიდესი უპირატესობა გამოიყენეს და ვერც პენალტი.

ვიკინგთაგან განსხვავებით სლოვენებმა სლოვაკებს გოლი კი გაუტანეს, მაგრამ სამ წუთში თავადაც გაუშვეს და შეხვედრაც ფრედ დაამთავრეს. პორტუელი ზლატკო ზაჰოვიჩის მიერ 71-ე წუთზე გატანილს ლუბომირ ლუჰოვიმ მალევე უპასუხა.

გიო აზვლედიანის
ფეხბურთული
სვეტი

# დუდუს ოცნება

ხომ გახსოვთ დუდუ?

წმინდა იანვარიუსის წინ რომ აღიმართება და მოპარული საგანძურის სანაცვლოდ რომ სთავაზობს: — ჩვენ შენ ეუსებიოს გიყიდით. „ნაპოლი" ჩემპიონთა თასს მოიგებს...

დუდუმ ვერც ვერ შეინარჩუნა მოპარული საგანძური, ეუსებიო ვერ იყიდა და „ნაპოლის" დღემდე არ აუღია ჩემპიონთა თასი. ნეაპოლელი ქურდის ოცნება ოცნებადვე დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ 80-იან წლებში, როცა დუდუ უკვე ბებერი იქნებოდა, „ნაპოლიმ" ეუსებიო კი არა, მთლად მარადონა იყიდა. ჩემპიონთა თასი მაინც განზე დარჩა.

ჩვენ კი, ჩვენ რაზე ვოცნებობთ?

1. შოთამ „აიაქსთან" ერთად უეფას თასი მოიგოს; 2. ქეცბამ მტკიცედ დაიმკვიდროს ადგილი „ნიუკასლის" ძირითადში; 3. ქინქი გამოშორდეს იმ ტიალ „სიტის" და ენფილდზე გადაბარგდეს; 4. იაშკას და კობის „ფრაიბურგი" ბუნდესლიგაში გადავიდეს; 5. კახი კალაძემ ლობანოვსკის ხელქვეით გაიბრწყინოს; 6. ჩვენი კვიპროსმალტა-რუსეთ-უკრაინის ლეგიონი გარდაიქმნას იტალია-ესპანეთ-ინგლისის ლეგიონად...

ჩვენსა და დუდუს ოცნებებს შორის დიდი განსხვავებაა. დუდუმ იცის, აუცილებლად იყიდის ეუსებიოს, რაც იმის გარანტიაა, რომ „ნაპოლი" გაიბრწყინებს. ჩვენ კი ვიცით, რომ ასეთ რამეებზე ოცნების უფლებაც არა გვაქვს, რადგან რაც არ უნდა მოვიპაროთ ფიქრადაც არ მოგვივა ვინმეს ყიდვა რომელიმე ჩვენი გუნდისთვის. სამაგიეროდ, ძარცვა არ გახლავთ საზარბიელო საქმე. ამის გამო ხალხს ციხეში სვამენ, მაგრამ დუდუს ოცნება რომ სასახელო მომენტს შეიცავს, ფაქტია. ოღონდ კი წმინდა იანვარიუსი არ გაბრაზდეს და დუდუ კეთილშობილ საქმეზეც კია თანახმა.

მიანიჭოს ხალხს სიხარული, ჩაუსახოს იმედი. აი, ფეხბურთის ერთ-ერთი დანიშნულება.

დუდუმაც იცის, რომ ასეთ შემთხვევაში ხალხი კმაყოფილი დაურჩება.

დუდუ ამბობს, „ნაპოლი" აიღებს ჩემპიონთა თასსო. ჩვენ ვამბობთ, „აიაქსი" აიღებსო. აი, სწორედ ამაშია საქმე. ეს არის განსხვავება ჩვენსა და დუდუს შორის. იყო დრო, როცა ჩვენც გვეგონა, რომ „დინამო" აიღებდა ჩემპიონთა თასს. ის საოცარი დროება იყო. ორჯერ ზედიზედ ვიყავით თასთა თასის ნახევარფინალშიც. ახლა ეს ოცნებების და თამაშის თანხვედრის დრო წავიდა.

რატომ წავიდა ეს დრო?

ამის გამო მთელი ფილოსოფიაა ჩამოყალიბებული: იმპერიის რღვევაო, ფულის კურსიო, ომიო და ათასი სხვა. მოკლედ, საყოველთაო გაჭირვებას ვაწვებით. აბა, რა ვთქვა? გაჭირვება რომ საყოველთაო არ არის, ყველამ ვიცით. გაჭირვება საზალხოა. ესეც არ იყოს და კიევის „დინამო" ძალიან ცუდად გვეჩხირება თვალში. აქედან, კავკასიიდან, ევებ არც მოგვწონდეს ეს გუნდი, მისი თამაშის სტილი და არ გვჯეროდეს, რომ განუმეორებლად და ზღაპრულად თამაშობს, მაგრამ ფაქტია: იქ, კიევში, უკვე შეუძლიათ ოცნება. წინ „იუვენტუსი" ჰყავთ და ერსაც და ბერსაც სჯერა, რომ გაივლიან. ევებ, ვერც გაიარონ, მაგრამ ცდას არ დააკლებენ. ახეა, როცა ოცნება და რეალობა ახლოსაა ერთმანეთთან.

ჩვენ კი, „სიტიზე" და „ნიუკასლზე" ვფიქრობთ, ამ ბოლო დროს კი „კრისტალ პალასზეც", რომელსაც ხალხში „კრისტიანს პალასს" ეძახიან. ეს ჯერჯერობით, სანამ იქ რომელიმე ქართველი გადავა. მერე ალბათ სწორედ ვიტყვით. „კრისტალ პელესი" ხომ სასახლეა ლონდონში.

სადღეისოდ კი ქართველი ქომაგები დიდი იმედით უმზერენ კიევის „დინამოს". ეს არ არის შემთხვევითი, კიევი მაინც „ჩვენია" მოსკოვის „სპარტაკისგან" განსხვავებით და ფიქრში, საერთო წარსულის გათვალისწინებით, ერთგვარი სულიერი კავშირი მჟარდება.

აგე, შეხედეთ კიევს!

მაგრამ ამას ისევ დუდუს ოცნება სჯობს: „მე შენ ეუსებიოს გიყიდი! და „ნაპოლი" ჩემპიონთა თასს მოიგებს!"

დუდუ მომპარავი ბიჭი იყო, მაგრამ ტიფოზობაში სწორი იყო. ის არ ამბობდა, „მილანი" აიღებს თასს და გამეხარდებაო.

ის ამბობდა, ფული თუ მექნა, „ნაპოლის" გავქაჩავო.

ერთი ვინმე მაინც გვყავდეს, რომ თქვას: „მე გიყიდით რონალ... (ჯანდაბას სტოიჩკოვს) და „დინამო" ესენევს თასს მოიგებს!"

არ იქნებოდა ურიგო საქმე. მაშინ ამსტერდამულ ამბებსაც განუზომლად მეტი ფასი ექნებოდა.

## ვის ჰგავს ეს კაცი?

ეს კაცი ჰგავს სორბონელ ფილოლოგიის პროფესორს, რომელსაც ცოლი გაექცა. ეს კაცი ჰგავს 60-იანი წლების ინტელექტუალს, ოდესღაც პარიზელ სტუდენტებს რომ უჭერდა მხარს.

აბა, ეს კაცი მწვრთნელს ჰგავს?

მწვრთნელს ჰგვანან: ტრაპატონი, კაპელო, იგლესიასი, პარეირა, ვენეიბლზი, რეჰაგელი და სხვები. ჰგვანან და არიან კიდეც. ნახეთ, რა ჯანიანი და ზორბა კაცები ჩამოვთვალე?



დადუმებულა არსენა

# არსენა

არსენ ვენგერი კი, ამათ კომპანიაში მართლა არ ჰგავს მწვრთნელს. არ ჰგავს და პრინციპში, არც არის.

იმგვარი სახელი, მას რომ დაუგდია, სულაც არ შეესაბამება მის მიღწევებს. „მონაკოს" ჩემპიონობა, თასთა თასის ფინალის წაგება ბეხრეკ „ვერდერთან" (ეს უკანასკნელი გამორჩეულ წარმატებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ!), მსოფლიოსთვის ჯორჯ ვეას ჩუქება და თავის დროზე გლენ ჰოდლის ფრთების გაშლაო. აი, ვენგერის მიღწევები.

ყველაფერი კი ინგლისელების ბრალია. წავიდა ვენგერი ჯეი ლიგაში, უბადლოო საპენსიო ადგილას, რათა რომელიმე „კაშიმა", ან „გრამპუსი" ალეზევებინა, მაგრამ ვინ გააჩერა? ადგნენ და კუნძულიდან კუნძულზე გამოაფრინეს და „არსენალის" სათავეში დასვეს.

ეჰ, „ჰაიბერი". ერთი განახათ, რა ადგილია. რარიგ სუნთქავს იმით, რასაც ინგლისური ფეხბურთი ჰქვია. და „ჰაიბერიზე" არსენი, არსენი და მისი მეთოფენი. თუმცა, მეთოფეთაგან ვინლა დარჩა? პატივი და ღირსება გაჰყიდეს, საპირველდივიზიონოდ გასწირეს. ვინც დარჩა, იმათ, ჩვენი არსენასი არ იყოს, ამანაც თოფები მიწით დაუტენა.

ძველი მეთოფენი: ტონი ადამსი (1966), სტივ ბოულდი (1962), მარტინ კიოუნი (1966), ლი დიქსონი (1964) დაცვაშიღა დარჩნენ და არეულად იხევენ უკან. თოფებიც დაუყრიათ და ისე გარბიან. ეჰ, სადღაა ის ძველი და გაუვალი მეთოფეთა მწკრივი? ადამსი — ლინიგანი — უინტერბერნი — ბოულდი. იან რაიტმა კი (1963) ბოლოს როდის გაიტანა პრემიერლიგული გოლი, ჩვენ აღარ გვახსოვს, და თქვენ თუ გახსოვთ, მოიწერეთ.

ეჰ, „ჰაიბერივ". ბერძნებსაც კი აქ უნდათ ფხის გამოჩენა.

ვენგერს კი დაუკოსებია ცხვირზე სათვალე და ფილოსოფოსობს, როგორ გეკადრებათ, მე მამათმავალი არა ვარო. არ არის და ნუ არის. რას ერჩის ჰიაბერულ ზარბაზნებს?

მთელი ინგლისის გუნდებს შორის სულ ორია, საერთო-საქვეყნო ქომაგობით განებივრებული და ერთ-ერთი ამათგანი „არსენალია". და ამ ქომაგებს „ჰაიბერის" გასახდელის „ფორტოჩკიდან" აგინებს იან რაიტი, რა თქვენი საქმეა, რატომ წავაგეთ, თქვენი საქმე ფშტვენა და ღრიანცელია, რათა ჩვენ ალგვანთოთო. ამასაც მოესწრო ძველი გრაუნდი!

მეტი არ არის ჩვენი მტერი, მეთოფენი რამემ აანთოს. მათი ფინდიხი სულ სველია. მთავარია აენთოს დენის ბერხკამპი, მაშინ თოფიც გავარდება. არადა, მოუწევს რაიტს ფანების გინება, ან მოწინააღმდეგის დაწიხლვა.

არსენი კი ზის და თავისი ფილოლოგიური იერით უმზერს ყველაფერს. ნაღდად ჩვენი არსენასავით იქცევა: მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა. ეგებ იფიქროთ, ინგლისთან შეგუება გაუჭირდა და მეთოფურ ამბავს ვერ მოერგოო, მაგრამ სადაა ინგლისელი? ის უკბილო, ბებერი და ნალოთარი მეთოფეები რომ გამოვაკლოთ, ინგლისელი და მეთოფე იქ აღარავინაა.

რემი გარდე, ჟილ გრიმანდი, ემანუელ პეტი, ნიკოლას ანელკა. ვეღარ გაიგებ, „ჰაიბერია", თუ მონტე-კარლო. აქვე არიან ჩვენი კარგი ჰოლანდიელებიც და ვილაც უცნობი ტიპებიც: ავსტრიელი ალექსანდრ მენინგერი, ისევ ჰოლანდიელი გლენ ჰელდერი, გერმანელი, თუ ესპანელი ალბერტო მენდესროდრიგესი...

ჩვენი არსენა კი საერთოდაც ავსტრალიური ადათის მიმდევარი ყოფილა. ავსტრალიაში კლუბები ეროვნულ ნიშანს აწყებიან, გუნდები სათვისტომოების მიხედვითაა შედგენილი. ეს, ბერძნებიო, ესეც ხორვატებიო, ესეც კიდევ სქოთებიო. ვენგერსაც ასეთი რამ მოუფიქრებია „არსენალში". მალე ალბათ, ათი ფრანგი და ერთი ბერხკამპი ეყოლებათ.

თუმცა, აქ გადაჭარბება [illegible] ერთ ბიჭზე არსენი უარს ვერ იტყვის. ამ ბიჭის სახელია ლუიშ ბუა მორტეის პორტუგალიელია.

ვენგერს უყვარს ჭკვიანური ლაპარაკი და მსჯელობა. როგორც ინტელექტუალს (ასე იცნობენ) ხშირად მიმართავენ ხოლმე სხვადასხვა მარადიული პრობლემის გამო აზრის გამოსათქმელად.

ამასწინათაც ჰკითხეს, თქვენის აზრით, ვინ იქნება ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის სამი წამყვანი მოთამაშე მსოფლიო ფეხბურთშიო.

ჰოდა, არსენამაც ჩვეული სიბრძნით უპასუხა: ესენი იქნებიან ლუიშ ბუა მორტე, ნიკოლას ანელკა და პატრიკ ვიეირაო. ამათ მომავალს უკვე ვხედავო.

ესე იგი, მსოფლიო ფეხბურთი ამ სამი აწოწილი, შავი ბიჭის იმედად ყოფილა. „არსენალი" კი მთლად გაბედნიერებულა, რადგან სამივე ამ გუნდში თამაშობს.

ესეც თქვენი გულნატკენი პროფესორი.

მეთოფენი კი ეგრეც ვერ ახერხებენ იმას, რომ საკუთარ ფანებს არ აგინონ.

ეგრეა, როცა კაცი არ გავს მწვრთნელს და გავს...არა, პროფესორობას დამსახურება უნდა: გავს პრივატ-დოცენტს.

# ბაბილონური ამბავი

ლორენცო სანსი, მასიმო მორატი, სილვიო ბერლუსკონი და ხოსე ლუის ნუნიესი. ცოტა ამ ხალხზეც მოგვიწევს ლაპარაკი და ცოტა სხვებზეც. რა აერთიანებს ამ ხალხს? ალბათ, კაი ჭამის მადა და ფეხბურთის ყურება. ზოგჯერ, შეიძლება, ჰალსტუხების ფერებიც დაემთხვეს და რაც მთავარია, ის რომ ამ პატივცემულ ძიაკაცებს დიდ-დიდი, უკვდავი კლუბების სადავეები უპყრიათ, „რეალის", „ინტერის", „მილანისა" და „ბარსასი".

კაი ბიძები არიან — სანსსა და ნუნიესს ერთმანეთიც კი ჰყავთ ნაცემი, სილვიოსა და მასიმოს კი საერთოდაც ზიარი სტადიონი აქვთ.

კიდევ რა აერთიანებთ? ალბათ, სურვილი იმისა, რომ მათი დიადი და უკვდავი კლუბები, თავისთავად სიმბოლოები საკლუბო თამაშისა, უპირველესნი შეიქნენ მსოფლიოში. ფუჰ! ეს საქმე არ გამოდის, არადა, ძიები ცდას არ აკლებენ, რომ ასე იყოს. ფული მდინარეებად მიედინება. სადღეისოდ „ინტერს" და „ბარსას" აერთიანებს ის, რომ რონალდო კატალონიიდან ლომბარდიაში წავიდა. „რეალს" და „მილანს" აერთიანებთ ის, რომ ფაბიო კაპელომ ბოლო ორ წელიწადში ამ კლუბებს უმეთაურა. „ბარსას" და „მილანს" აერთიანებთ ის, რომ ედგარ დავიდსი და უინსტონ ბოგარდი „სანსიროდან" „კამპოუზე" წავიდნენ. აღარაფერს ვამბობთ სხვა ნაკლებმნიშვნელოვან საერთო რაშეებზე, აძ აპეხიხებისა და პირინეების გოლიათებს რომ აერთიანებს.

ხმაურიან და დახლართულ შარშანდელ სეზონში ეს ოთხი კაცი, ოთხი უდიდესი საქმოსანი, გააერთიანა კიდევ ერთმა ამბავმა: ოთხივემ გაუშვა მწვრთნელი. აქედან ესპანელებმა ტიტულების მომგები უფროსები დაითხოვეს, იტალიელებმა კი ვერმომგებნი.

აქედან კითხვები ჩნდება. რა გამოლევს კითხვებს ფეხბურთში?

### ენა

რატომ ვერ ილვიძებს „მილანი"? რატომ ყანყალებს „ინტერი"? რატომ დაშლილა „ბარსა"? რატომაა, რომ „რეალი" მძიმე საცქერია? ამბობენ ეს იმიტომ ხდება, რომ მწვრთნელი და ფეხბურთელები „სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ". ესე იგი, ვერ გაუგეს ერთმანეთსო. შარშან „მილანში" ამბობდნენ, არიგო საკიმ ყაზარმული წესები შემოიღოო. ამი გამო, კრისტიან პანუჩი „რეალში" გაიქცა კაპელოსთან. ამასობაში სანსი ამბობდა, კაპელო ბიჭებს მიჩაგრავსო. ამ ზამთარში კი ჯორჯ ვეამ ამოიღო ხმა, ეს კაპელო ნამდვილი მოყაზარმე კაცი ყოფილაო. მიდი და გაიგე ვინ ვინაა და ვინ რა ენაზე ლაპარაკობს.

ენას — პირდაპირი მნიშვნელობით ვამბობ და არა ისე. კოუტუ და რაიციგერი როგორ ელაპარაკებიან ერთმანეთს? ან ვან გაალი როგორ უხსნის ფრანკო ფერერს რამეს? ანდა ტარიბო ვესტი რა ენაზე ახსენებს თავს ალვარო რეკობას? თუნდაც ბობანი და ბა როგორ უგებენ ერთმანეთს?

არა, „კუტოკები" რომ არის, ფაქტია. რეკობას ხავიერ ძანეტი უყვარს, რაიციგერს დავიდსი, მაგრამ, აბა, რედონდომ და ზეედორფმა რა უნდა ქნან? რა ენაზე ლაპარაკობდა ბობი რობსონი, როცა რონალდოს ტაქტიკას უხსნიდა? არის ბევრი ვარსკვლავი, რომელიც რვეულებით დარბის და ბეჯითად სწავლობს, მაგრამ არიან ვარსკვლავები, რომლებსაც პირმშვენიერი მასწავლებლების თვალიერება უფრო უყვართ. ყველა ხომ კრუიფივით და სვენ გორან ერიქსონივით არ ჩაბერდება უცხო მხარეში?

ასე რომ, გამოდის: ფეხბურთელები და მწვრთნელები ერთმანეთს ვერ უგებენ როგორც პირისპირ, ასევე გადატანითი მნიშვნელობით.

გინდა ხუმრობაში გაატარე, გინდა იდავე ამ დიდ გუნდებში ვარსკვლავთა აურაცხელი რაოდენობაა თავმოყრილი და ზემოთ ნახსენები ოთხი კაცი უკმაყოფილოა.

საკვირველია, მაგრამ „მილანის" გარდა ყველა ჩემპიონობისთვის იბრძვის. ბიძები კი უკმაყოფილონი არიან.

### ორი ზამთარი

გასულ ზამთარს „რეალი" ჩემპიონობისკენ მიდიოდა და სანსი ამბობდა, კაპელო ვერ უზრუნველჰყოფს ეფექტსო. მან იტალიელი გაუშვა. ამ ზამთარს „რეალი" ჩემპიონობისკენ მიდის და სანსი აკრიტიკებს იუპ ჰაინკესს, გუნდმა ეფექტი დაკარგაო. შარშან ზამთარში „ინტერი" როი ჰოჯსონს ეჭირა და მორატი ამბობდა მე მისი მჯერაო. ამ ზამთარს „ინტერი" ჯიჯი სიმონის უპყრია და მორატი კვლავ იმეორებს, მისი მჯერაო. შარშან ზამთარში „მილანში" საკი მოვიდა და აღორძინება იწყებაო, გამოაცხადა ბერლუსკონიმ. ეს კაცი, ახლა კაპელოს ხელში ელის აღორძინებას. ბობი რობსონმა სამიდან ორი ტიტულით დაიმშვენა ხელი. შარშან ზამთარში მასაც გვარიანად ლანძღავდნენ „კამპნოუელი" ინჩასები. წელს ვან გაალი ილანძღება.

როგორც ჩანს, დგება დრო, რომ დიდ კლუბებს ერთსეზონიანი მწვრთნელები სჭირდებათ.

უფრო სწორედ კი მათ უნდათ, რომ გუნდში მოსულმა კაცმა ორიოდ თვეში შექმნას ზეგუნდი. ამისთვის მას ყველაფერი აქვს — ვარსკვლავთა რაოდენობა, უშველებელი ხელფასი და სურვილების ნუსხა. ოთხივე ბიძა კარგად ხედავს, რომ ვერცერთი მათი გუნდი „სუპერს" ვერ უჩვენებს. „სუპერს" გისხამ და შენ ვერ დადიხარ? სუპერსვლა კი არა, ეჰ, საბრალონი.

ამ მდიდარმა ხალხმა ალბათ ძალიან კარგად იცის ფეხბურთის ისტორია. აქედან გამომდინარე, მათ ძალიან კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ დიდი გუნდები, სუპერთამაში არ იქმნება მხოლოდ მილიონებით, ვარსკვლავებით და ტაქტიკური სქემებით. თანაც, ფეხბურთი ის თამაში არ არის, რომ მაიკლ ჯორდანი იყიდო და წლიდან წლამდე ყველა ტროფეი შენ დაგრჩეს.

დიად გუნდს დიადი საფეხბურთო ფიქრი ჰქმნის. და თან, ბარე ორი რამ უნდა დაემთხვეს ერთმანეთს, რომ ასეთი გუნდი შეიქმნას. ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა. დიადი საფეხბურთო ფიქრი კი სახსისა და მორატის ტვინს არ მიჰყვება. მისი ნაბიჯი სხვაა, დღევანდელი პრაგმატული ეპოქისა კი სხვა. რამდენ ხანს იგონებდა ელენიო ერერა თავის ბეტონს? რამდენ ხანს ფიქრობდა მატ ბასბი სილაღესა და თავისუფლებაზე? ერთ თვეში დაესახა რინუს მიხელსს მოთამაშეთა ადგილების ცვალებადობა? ანდა ერთ საათში შეადგინა თავისი გუნდი ზეპ პიონტეკმა? ათასს ჩამოთვლი.

ჩანს, ვან გაალმა „აიაქში" დატოვა ის, რაც „აიაქსისთვის" იფიქრა. ის „აიაქსის" შვილი იყო და ამ გუნდთან შეზრდილმა მოახერხა მოულოდნელი და საუცხოო ანსამბლის შექმნა იმათგან, ვინც დღეს ყურებჩამოყრილი დარბის პირინეებსა და აპენინებზე. ჩანს, „რეალმა" საბოლოოდ თქვა უარი იმაზე, რაც გამოარჩევდა უკანასკნელ ნახევარ საუკუნეს. მისი ყოველი მწვრთნელი ხომ სინატიფეს ეტრფოდა. ჩანს, ფაბიო კაპელოს დაავიწყდა, რომ ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. ჩანს, ჯიჯი სიმონის კარგი მწვრთნელობა საკმარისი არ არის, რადგან „ინტერი" ბევრით არაფრით განსხვავდება შარშანდელი „ინტერისაგან".

ორი ერთნაირი ზამთარი. ოთხი გუნდი, ოთხი განთავისუფლებული მწვრთნელი, ოთხი ახალი მწვრთნელი.

ყველაფერი ძველებურად, თუ უარესად არა.

თქვენ თუ გახსოვთ ნიუ იორკის „კოსმოსი"? აბა, ვარსკვლავები იქ იყვნენ.

### მე არ მჭირდება

„მე არ მჭირდება ბაჯო", — ასე თქვა მარჩელო ლიპიმ.

„მე არ მჭირდება შირერი", — ასე თქვა ეშმაკმა ფერგიმ.

პასუხი ერთია — მწვრთნელები ახირებული ხალხია. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ორივენი, ლიპიც და ფერგიუსონიც მართლები არიან. მათ არ სჭირდებათ, და თუ რატომ, ალბათ, ჩვენზე უკეთ იციან. ფაქტი ერთია, არც „იუვენტუსს" და არც „მანჩესტერს" არა სჭირთ სატრანსფერო სიგიჟე. არც ჯიჯი ანიელი და არც მარტინ ედვარდსი არ მისდევენ ხმაურიან ტრანსფერებს. უფრო მეტიც, ისინი არ ითხოვენ მწვრთნელებს მარცხის გამო, ისე როგორც ეს „მილანში", მადრიდსა და „ბარსელონაში" ხდება ბოლო დროს. აბა, მოხსენით ლიპი. აღარ იარსებებს მისი „იუვე". ანდა, გაუშვით ფერგი, გაქრება ის, რითაც დღეს თავი მოაქვს კლუბს. ფაქტი ერთია, ამ ორი კაცის უკან დგას მათი თამაში და ამ თამაშს იმდენად გაუდგამს ფესვები კლუბის ყოფაში, რომ ერთი დაკვრით ვერ მოიშორებ. მათ უკან დგას შეხედულებები, ფიქრები. პატრონებმა ეს იციან. მათ ესმით, რომ ჩემპიონთა თასის ფინალის წაგება ბოლოს და ბოლოს ერთი შავი დღეა და ამის გამო ნაშენებ სახლს და კაცის ღირსებას არ უნდა შეეხო.

ამათ კი, ამ ძიაკაცებს, მოთმენაც კი არ შეუძლიათ. ზოგჯერ არც კი იციან ვის მიუთითებენ კარისკენ. რა, ასე არ გაუშვეს კრიუფი „ბარსადან"? ახლა საკის მოხსნა-დანიშნვა რაღა იყო, ან იმ საწყალი ვაშინგტონ ტაბარესისა? ან რატომ მოგყავს ჰოჯსონი თუ ერთ სეზონში



საშველი არ არის, არ არის, არ არის...

უნდა დაითხოვო? ანდა კაპელო იმის კაცია, რომ შენს ნებაზე ახტუნავო? ან სულაც, რა დააშავა ამ ბობი რობსონმა?

ყველაფერი იმ წუთას უნდათ, ვითომ ენბიეი იყოს. ამხელა ფულს გამოვდივართო. შენც ნუ გამოდიხარ ამხელა ფულს.

„საერთო ენა ვერ გამონახა ფეხბურთელებთან" — ადრე ასე იყო, მაგრამ ფეხბურთელი მიდიოდა.

ფეხბურთელი!.. ეს ჭირვეული და ტუტუცი პირტიტველა ბიჭი „როლს როისით". და მწვრთნელი, თავისი ფიქრებით, პრობლემებით, დავთრებით. რა თქმა უნდა, მწვრთნელს დაითხოვენ.

კირ რედნიჯი წერდა, ღმერთმა არ შეგახედოთ დიდი კლუბების გასახდელებშიო. იქ აღარ მეფობს ძმობა და გაგება. იქ მეფობს ეჭვი და ხელფასიო.

ეჰ, წასულა ის დრო, როცა დი სტეფანო (!) გაღიზიანებული ეკითხებოდა ერერას (!): რატომ არ ვთამაშობ? ფორმაში არ ხარ — იყო პასუხი. ეს მწვრთნელის ხუშტური იყო. დღეს ასეთი ხუშტურისთვის ხუან ესნაიდერი ლამის ბოთლს ესვრის მწვრთნელს, ბაჯო კი საერთოდაც სახლში მიდის. აგე, არტურ ჟორჟეც შემოელახათ.

— მე არ მჭირდება შირერი, შირერი არ ღირს 15 მილიონი...

მითუმეტეს, არც კრისტიან ვიერი და სკდება გულზე ხესუს ხილი, რომელიც ადრე ცხვირსახოცებივით იცვლიდა მწვრთნელებს და ახლა, როგორც იქნა იხმარა ჭკუა და რადომირ ანტიჩს ენდო. სკდება და გასკდეს, რადგან არ იქნება სიდიადე იქ, სადაც ბაბილონის გოდოლს აშენებენ. იქ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ბაბილონური ამბავი კი ცნობილია.

მისი უდიდებულესობა ფეხბურთი არ იძლევა იმის უფლებას, რომ ერთ საათში, ერთ დღეში, თუნდაც ერთ თვეში შექმნა სიდიადე. დიდი ფიქრებისთვის კი დრო არ არის, ბიძებს ეჩქარებათ. ისინი ვერ ხედავენ სიმტკიცეს თავიანთი გუნდის რიგებში. ვერ ხედავენ ძალას, რომელიც ზურგს გაუმაგრებს და გულს აუდუღებს მათ ფეხბურთელებს.

ასე იკარგება საფეხბურთო ჯიგარი.

ჩვენ კი ასეთი ადგილებიდან ველით დიად გუნდებს. ფეხბურთის ისტორია კი გვეუბნება — დიადი გუნდები სრულიად მოულოდნელ ადგილებში იბადებიან.

**ირაკლი გამყრელიძე**

## საფრანგეთი

XXV ტური

**ბასტია 0:0 რენი**

**სტრასბური 0:0 მონაკო**

**გინგამი 2:0 ტულუზი**

1:0 ლასპალი (7), 2:0 რუელი (44)

**კანი 2:3 ნანტი**

0:1 ანდრეანი (5), 0:2, 0:3 გურვენეკი (28, 65), 1:3 ებოკი (71), 2:3 საიდი (89)

**ლანსი 3:0 ლიონი**

1:0 დრობნიაკი (35), 2:0 დებევე (43), 3:0 დეუ (90)

**ოსერი 0:0 მეცი**

**მარსელი 1:0 ბორდო**

1:0 გრაველენი (44)

**ლე ავრი 5:0 შატორუ**

1:0 ბეკანოვიჩი (27), 2:0, 3:0 პრატი (36, 50), 4:0 ბეკანოვიჩი (68), 5:0 პრატი (84)

**მონპელიე 2:1 პსჟ**

0:1 სიმონე (31), 1:1 ფუჟე (57), 2:1 სანჩესი (65)



ოსერი — მეცი. რობერ პირესს (მარცხნივ) მასპინძელი დიომედი გადაულახავ წინაღობად ექცა

REUTERS ოსერიდან

# რა სჯობს ფრეს?

ალბათ, პარიზელები კიდეც ნანობენ, ბერნარ ლამა გუნდში რომ აღარაა. ანაშის მოწევაში მხილებული ლამა ჯერ პსჟ-მ დასაჯა, მერე საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ. მას გუნდში ისე ჰქონდა საქმე, სხვაგან წასვლა არჩია, მაგრამ „ვესტ ჰემის" სათადარიგო მეკარეობას ვერ გასცდა, მისი ყოფილი გუნდი კი რაც დრო გადის, მით უფრო რწმუნდება, რომ ლამას გაშვება არ იქნებოდა.

ახლაც, პსჟ-ს ძირითად მეკარედ ქცეულმა კრისტოფ რევომ, რომელიც საიმედო ნამდვილად ვერაა, მორიგი მატჩი ჩააგდო — გარდა ორი შეცდომისა, რომელსაც მონპელიელთა საპასუხო გოლები მოჰყვა, რევომ კიდევ ოთხ-ხუთ მომენტში ითამაშა გაუგებრად, მაგრამ მაშინ პარიზელთ გაუმართლათ.

შესაძლოა, მომავალ თამაშში პსჟ-ს კარი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ ვინსენ ფერნანდესმა დაიცვას, რომელიც ასაკის გამო რევოს სათადარიგოდ ითვლება. სხვათა შორის, ფერნანდესმა „მონპელიესთან" ლიგის თასზე ითამაშა კვირას და კარი მშრალად შეინახა, ამასთანავე საკმაოდ საიმედოდ გაისარჯა.

— ძნელია, მეკარის თამაშზე საუბარი, მგონი, ჯერ ადრეა რევოს კრიზისზე ლაპარაკი. იგი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელია. მართალია შეცდომები მოსვლია, მაგრამ რომელ მოკვდავს უცხოვრია ამქვეყნად უშეცდომოდ. არც ფეხბურთელებია გამონაკლისი. ახალგაზრდას თავიდანვე ნუ მოუკლავთ თამაშის სურვილს. მართალია, გუნდმა წააგო, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა, — განაცხადა პსჟ-ს ბრაზილიელმა მწვრთნელმა რიკარდომ. მისგან განსხვავებით გუნდის ვეტერანი მცველი ალან როშე ერთობ პესიმისტურადაა განწყობილი, სამჯერ მოგვეცა გალიდერების შანსი, მაგრამ სამჯერვე წავაგეთ, ახლა ჩემპიონობაზე ოცნებაღა შეგვიძლიაო.

როცა ადამიანი რწმენას დაკარგავს, მაშინ წარმატებაზე ზედმეტია საუბარი, თუ პსჟ-ს ჩემპიონობა უნდა, მარცხმა არ უნდა შეაშინოს. როშეს შემხედვარე კი კაცი იფიქრებს, ქვეყანა დაიქცა და ეგაო. კიდევ კარგი, პსჟ-ში ყველა ამგვარად არ ფიქრობს, თორემ საფრანგეთს ერთით ნაკლები კარგი გუნდი ეყოლებოდა. წაგებულ მატჩში ანგარიშის გამხსნელმა, იტალიელმა მარკო სიმონემ, რომელიც დღესდღეობით პსჟ-ს წამყვანი მოთამაშეა, განაცხადა, წაგება წაგებაა, პროფესიონალს მარცხის გადატანაც უნდა შეეძლოს. ჩვენ ლიდერებს რამდენიმე ქულით ჩამოვრჩებით, ჩემპიონობისთვის ბრძოლა კი არ დასრულებულა, პირიქით, უფრო დაიძაბაო.

სხვათა შორის, ზედიზედ სამი მატჩი პსჟ-ს 1989-90 წლების სეზონის შემდეგ არ წაუგია. თუ მოხდა და „ბასტიასთან", „ლე ავრთან" და „მონპელიესთან" წაგებულ მატჩებს კიდევ ერთი მარცხი შეემატა, მაშინ პსჟ მისთვის არასასიამოვნო ზემონახსენები სეზონის „მიღწევას" გაიმეორებს.

ამ ტურში „მონპელიეს" პსჟ-სთან ზეობის გარდა ოთხი საკმაოდ საინტერესო მატჩი გაიმართა, რომელთაგან სამი ერთნაირი ანგარიშით, ფრედ 0:0 დასრულდა. „მონაკომ", „მეცმა" და ლიდერთა რისხვად ქცეულმა „ბასტიამ" გოლის გატანა ვერ შეძლეს, მაგრამ არც თავად გაუშვეს, არადა, ამ სამი შეხვედრიდან ერთ-ერთი მაინც რომ არ დასრულებულიყო ფრედ, ლიდერთა შორის საკმაოდ დიდი ცვლილებები იქნებოდა. გადაადგილებები ისედაც მოხდა მარსელის „ოლიმპიკის" გამო, რომელმაც არანაკლებ ძლიერი „ბორდო" დაამარცხა.

და მაინც, ტურის ყველაზე საინტერესო შეხვედრად ერთ-ერთი ლიდერის — „მეცის" საფრანგეთის 1996 წლის ჩემპიონ „ოსერთან" სტუმრობა შეიძლება მივიჩნიოთ. გუნდებმა შემტევი სტილი კი არჩიეს, მაგრამ არც დაცვას მოაკლეს ყურადღება და მიუხედავად იმისა, რომ გოლი არ გავიდა, მატჩი მაინც თვალსასეირო გამოდგა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 25 | 14 | 5 | 6 | 35:17 | 47 |
| მეცი | 25 | 13 | 8 | 4 | 36:20 | 47 |
| მონაკო | 25 | 14 | 4 | 7 | 39:23 | 46 |
| ლანსი | 25 | 14 | 4 | 7 | 36:26 | 46 |
| პსჟ | 25 | 13 | 5 | 7 | 37:25 | 44 |
| ლიონი | 25 | 12 | 2 | 11 | 29:29 | 38 |
| ოსერი | 25 | 11 | 4 | 10 | 41:34 | 37 |
| ბორდო | 25 | 9 | 10 | 6 | 32:29 | 37 |
| ბასტია | 25 | 9 | 9 | 7 | 25:19 | 36 |
| მონპელიე | 25 | 8 | 9 | 8 | 26:29 | 33 |
| ნანტი | 25 | 9 | 5 | 11 | 26:30 | 32 |
| ლე ავრი | 25 | 6 | 11 | 8 | 26:24 | 29 |
| ტულუზი | 25 | 7 | 7 | 11 | 20:33 | 28 |
| გინგამი | 25 | 7 | 6 | 12 | 22:30 | 27 |
| რენი | 25 | 6 | 6 | 13 | 26:36 | 24 |
| სტრასბური | 25 | 5 | 8 | 12 | 28:37 | 23 |
| შატორუ | 25 | 6 | 5 | 14 | 23:47 | 23 |
| კანი | 25 | 6 | 4 | 15 | 25:44 | 22 |

# იურგონდაკარგულის ავტორიტეტი

გერმანიის ნაკრების კაპიტანი იურგენ კლინსმანი ხუთშაბათს საავადმყოფოდან გამოეწერა. ჰოსპიტალში იგი წინა ღამით მოხვდა. „ბარნსლისა" და მისი „ტოტენჰემ ჰოტსპურის" სათასო შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კლინსმანი სახით დაეჯახა მოწინააღმდეგე მცველის არიან დე ზიუს ფეხს და გონება დაკარგა. ვარსკვლავი სტადიონიდან საკაცით გაიყვანეს და ღამე ბარნსლის საავადმყოფოში გაათენებინეს, მაგრამ დილით გერმანელმა ქუდი დაიხურა, მარტომ მიაშურა რკინიგზის სადგურს და ლონდონს გაემგზავრა. ლონდონში მისი დაშავებული ყბის შემოწმებას „ტოტენჰემის" სამედიცინო პერსონალის გარდა მოწვეული სპეციალისტიც შეუდგა. სამედიცინო ოთახიდან გამოსული პირველი ცნობა ოპტიმისტური გახლდათ, საქმე არც ისე ცუდად არის, როგორც თავიდან ჩანდა და კლინსმანი ასე, ერთ თვეში შესაძლოა მოედანს დაუბრუნდესო.

„სპურზის" თანაშემწე-მწვრთნელმა კრის ჰავტონმა ჟურნალისტებს ასეთი რამ უთხრა: — თამაშის მერე ის საღ გონებაზე გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ყბა მართლაც გაბზარული აქვს, საქმე მთლად ცუდადაც არ არის. ვგონებ, ოპერაცია არ იქნება საჭირო, ძვალი თავად უნდა შეხორცდეს.

რეპორტიორებს კლუბის ფიზიოთერაპევტი ტონი ლინიგენიც გაესაუბრა: —იურგენმა გონება დაკარგა, მაგრამ ენა არ გადაუყლაპავს და სასუნთქი გზები არ ჩაკეტვია. როდესაც მე მასთან მივედი, უკვე მობრუნებას იწყებდა.

შეიძლება კლინსმანი საშინლად დაშავებული არაა, მაგრამ მისი თუნდაც დროებით დაკარგვა შვეიცარიელი მწვრთნელის კრისტიან გროსის გუნდისთვის სერიოზული დარტყმაა. როგორც ამბობენ „ტოტენჰემის" პრემიერლიგიდან გავარდნა-არგავარდნა ძირითადად გერმანელის გამოჯანმრთელებაზეა დამოკიდებული. მოგეხსენებათ, იგი ლონდონურ კლუბში მეორედ მოღვაწეობს, „უაიტ ჰარტ ლეინს" დეკემბერში დაუბრუნდა, თუმცა მას მერე ერთადერთი გოლი შეაგდო. 33 წლის ფორვარდის ოთხშაბათის ტრავმა „სპურზის" ტრავმათა სიაში მერამდენეა, ლამის ექიმებსაც აერიათ სათვალავი, მაგრამ გუნდის წვალება-ჯახირში დიდ როლს სწორედ ავადმყოფობა რომ თამაშობს, უდავო ფაქტია. თავად განსაჯეთ, მიმდინარე სეზონში ტრავმატოლოგთა პაციენტებად იქცნენ კრის არმსტრონგი, დარენ ანდერტონი, იან უოკერი და ჯონ სკაილზი. ახლა მათ კლინსმანიც მიემატათ.

გარდა გერმანელის ტრავმისა „ბარნსლი" — „ტოტენჰემის" შეხვედრაში ლონდონელთათვის უსიამოვნო სხვა ამბებიც მოხდა და სანამ ისევ კლინსმანს დავუბრუნდებოდეთ, ამაზე ვთქვათ ორი სიტყვა. ჯერ ერთი, „სპურზი" დამარცხდა 1:3. მეორე ის, რომ გუნდის ახალგაზრდა ნახევარმცველი სტივენ კლემენსი საპენალტე სიმულაციისთვის მოედნიდან გააძევეს. გარდა ამისა, „ტოტენჰემისა" და ქვეყნის ეროვნული გუნდის თავდამსხმელი ლეს ფერდინანდი შესაძლოა დისკვალიფიკაციით დასაჯონ, რამეთუ მატჩის შემდეგ მსაჯს ჯერალდ ეშბის მიეჭრა და ლანძღა.

— ასეთი ცუდი მსაჯობა ცხოვრებაში არ მინახავს, არადა უამრავ მატჩში მაქვს მონაწილეობა მიღებული. სრული უსამართლობა სუფევდა მოედანზე. ვიცი, ამ სიტყვების გამო სასტიკად დამსჯიან, მაგრამ სიმართლე ეს გახლავთ. კი ბატონო, რომ დამაჯარიმებენ, რაც გადასახდელი იქნება გადავიხდი, ოღონდ იცოდეთ, რასაც ვამბობ, იმას ვფიქრობ — თავს ვერ იკავებდა ფერდინანდი.

კლინსმანის სამშობლოში კი, ამასობაში, ჟურნალმა „შპორტ ბილდმა" ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ბერტი ფოგტსს ინტერვიუ ჩამოართვა და მასში იურგენსაც შეეხო. ბოლოს და ბოლოს, წლეულს ნებისმიერი ტრავმა მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის სასწორით იწონება, ყველა ფიქრი საფრანგეთს უკავშირდება.

ფოგტსმა განაცხადა, კლინსმანი ტრავმის მიუხედავად მაინც მეყოლება გუნდშიო: — თუნდ იურგენმა ჩათვალოს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აღარ ვარგა, მე მას ნელ-ნელა მაინც მოვამზადებ.



მე-80 წუთზე იურგენ კლინსმანმა გონება დაკარგა

იგი გამიგებს. საქმე ის გახლავთ, რომ მაშინაც კი, როდესაც არ თამაშობს, კლინსმანი გუნდს ხელმძღვანელობს და ეს ჩინებულად გამოუდის. ის ამ როლშიც დამჭირდება.

ფოგტსმა ბრძანა, რომ ლონდონში დაბრუნება თავდამსხმელისთვის სწორი ნაბიჯი გახლდათ.

— ბოლოს მისი თამაში რომ ვნახე, ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

ერთი კვირის წინ, ზაარბრიუკენში კლინსმანმა ფიზიკური მომზადების გამოცდა „ფრიადზე" ჩააბარა. ისე კი, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომც ვერ ითამაშოს, ფოგტსს კრიზისი არ დაუდგება. კლინსმანის შესაცვლელად უდინეზელი ოლივერ ბირჰოფი, „კაიზერსლაუტერნის" ოლაფ მარშალი, „ლევერკუზენის" ულფ კირსტენი, „ბაიერნის" კარსტენ იანკერი და შტუტგარტელი ფრედი ბობიჩი არიან მზად.

## ინგლისი

### თასის მეოთხე წრე

გადათამაშებები

**ბარნსლი — ტოტენჰემი 3:1, ნიუკასლი — სტივენეიჯი 2:1**

შირერი რომ არ ყოფილიყო, „ნიუკასლი" თასის გათამაშების მეხუთე წრეში, შესაძლოა, ვერც გასულიყო, მაგრამ ბოლო რვა თვის მანძილზე „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" პირველად მოთამაშე შირერმა ერთბაშად ორი გოლი შეაგდო და „ნიუკასლს" თასისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაადგმევინა. ისე, თუ კენი დალგლიშის დასნეულებულმა გუნდმა ივაჟკაცა, მისთვის არც მექვსე წრეში გასვლა უნდა გახდეს პრობლემა, რადგან შემდგომში მეტოქე პირველდივიზიონელი „ტრანმერია".

რაც შეეხება „სტივენეჯს", მას, მწვრთნელ პოლ ფეირკლაფის თქმით, ასეთი აუდიტორიის წინაშე (მატჩს 40 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა) არასდროს ეთამაშა და ეს გარკვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემას ქმნიდა. მასპინძელთა ქომაგების ბრალი იყო თუ სხვა რამის, სტუმრები პირველ ტაიმში ერთობ შეცბუნებულნი ჩანდნენ, მაგრამ შემდეგ ასე თუ ისე დაწყნარდნენ და „ნიუკასლსაც" საკმაოდ შეუქმნეს პრობლემები. მანამდე კი...

მე-16 წუთზე ალან შირერი ალესანდრო პისტონესა და იონ დალ ტომასონის კომბინაციას უძლიერესი თავურით ასრულებს — მეტოქის მცველი მარკ სმიტი ბურთს კარის ხაზიდან იგერიებს, მაგრამ მსაჯი ანგარიშს გახსნას აფიქსირებს.

ამ სადავო მომენტიდან მოყოლებული მასპინძლებმა ოდენ სამი ხეირიანი შეტევა განახორციელეს, მაგრამ „სტივენეჯის" მეკარე გალაჰერს ვერაფერი მოუხერხეს. პირველ ტაიმში მასპინძელთა მცველმა სტივ უოტსონმა ტერფის ძვალი გაიტეხა და დაახლოებით ორი თვე ვეღარ ითამაშებს. ამასთანავე, უოტსონი ინგლისს მეორე ნაკრებსაც გამოაკლდება, რომელიც ჩილეს ასევე მეორე გუნდს უნდა დაპირისპირებოდა.

და მაინც, მომდევნო გოლი ისევ „ნიუკასლმა" შეაგდო — 65-ე წუთზე, რობ ლის პასის შემდეგ, შირერი ახალგაზრდა მეურვე ჯეიმს დილნატს გასცდა და მეორედ დალაშქრა გალაჰერის კარი. „ნიუკასლს" გამარჯვება თითქოს განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ცხრა წუთში სტივენეჯელმა კროუშოუმ 27-ე დაბადების დღე გოლით აღნიშნა. მსაჯის საფინალო სასტვენი და „სენტ ჯეიმსიზ პარკმა" შვებით ამოისუნთქა — გუნდი მეხუთე წრეში გავიდა!

ნიუკასლელთა გარდა, გადათამაშებამ კიდევ რამდენიმე გუნდს მოუწია. პრემიერლიგელი „ბარნსლი" და „ტოტენჰემი" ერთმანეთს პატარა ბარნსლში ხვდებოდნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ „ბარნსლი" შინ თამაშობდა, მის შემდეგ წრეში გასვლას არავინ ელოდა. გამარჯვებული პირველივე წუთებში გაირკვა — „ბარნსლი" ყველანაირად სჯობდა გამოცდილ, მაგრამ ოდენ სახელშერჩენილ „ტოტენჰემს". მართალია, პრემიერლიგის დებიუტანტმა პირველ ტაიმში გოლი ვერ შეაგდო, მაგრამ მეორე ნახევარში ყველაფერი აინაზღაურა და ბაარდსენის კარი სამჯერ დალაშქრა. 79-ე წუთზე ლონდონელთა გერმანელმა თავდამსხმელმა იურგენ კლინსმანმა მძიმე ტრავმა მიიღო და მისი თამაში კარგა ხნით საეჭვო გახდა.

„ნიუკასლმა" და „ბარნსლიმ" ერთი დღით გვიან გაინაღდეს მეხუთე წრეში გასვლა, რამდენიმე გადათამაშება კი 3 თებერვალს შედგა. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ქვედადივიზიონელების — „რედინგისა" და „კარდიფის" მატჩი. პოლიციამ 20 სტუმარი გულშემატკივარი დააკავა, რომლებმაც სტადიონის ხუთი მოსამსახურე გოგონას შეურაცხყოფა არ იკმარეს და შენობის დირექტორატის ფანჯრები ნამსხვრევებად აქციეს.

**ლაშა გოდუაძე**



ნიუკასლი — სტივენეიჯი. შირერს პირველი გოლი გააქვს

REUTERS ნიუკასლიდან

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალი.

პირველი მატჩები

**ბილბაო — მალიორკა 2:1; ალავესი (II დივიზიონი) — დეპორტივო 3:1; სარაგოსა — ბეტისი 3:0; ბარსელონა — მერიდა 2:0**

შუა კვირაში ესპანეთში თასისთვისაც მოიცალეს და მეოთხედფინალის პირველი მატჩებიც ითამაშეს. გათამაშებას შერჩენილი რვა გუნდიდან პირველად „ბილბაო" და „მალიორკა" შეხვდნენ ერთმანეთს. გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თასის 23-ჯერ მომგები „ბილბაო" ნახევარფინალში გავა. ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა საპასუხო მატჩის წინ 1-ბურთიანი უპირატესობა თავისთავად კარგი შედეგია. მეორე დღეს, ანუ ოთხშაბათს, თასისთვის მებრძოლმა მეორე დივიზიონის ერთადერთმა გუნდმა, „ალავესმა", მორიგი სენსაცია მოახდინა — ლა კორუნიის „დეპორტივოს" საკმაოდ დამაჯერებლად, 3:1 სძლია. ისე, „ალავესის" თავდამსხმელებს მეორე ნახევარში უფრო ზუსტად რომ ეთამაშათ, გუნდი პირველივე შეხვედრაში გაარკვევდა ნახევარფინალში გასვლის ბედს. მასპინძლები უკვე მე-20 წუთისთვის 2:0 იგებდნენ პედრო რისკოს და იბონ ბეგონას გოლების წყალობით, მაგრამ ანერვიულებულმა მეკარე ლეალმა დეპორტივოელ სებასტიან აბრეუ საჯარიმოში წააქცია და დონატომ პენალტით ერთი ბურთი გაქვითა. მიუხედავად ამისა, მეორე ტაიმში ხავი მორენიმ ლა კორუნიელ მცველთა აშკარა შეცდომა კარგად გამოიყენა და წონასწორობა აღადგინა.

თასების თასის 1995 წლის მფლობელ „სარაგოსას" ბოლო გათამაშების ფინალისტი „ბეტისი" ესტუმრა, მაგრამ სტუმრებმა საიმედო ვერაფერი გაიყოლეს შინ. საპასუხო მატჩის წინ 0:3 წაგება ვერაფერი ნუგეშია, არადა, სხვაობა, შესაძლოა, ხუთი ბურთიც ყოფილიყო, იმდენად უსახურად თამაშობდა „ბეტისი".

უკვე მე-12 წუთზე ტოტო აკუნიამ ხვეული საჯარიმოთი ანგარიში გახსნა, 30-ე წუთზე კი „ბეტისის" ყოფილმა თავდამსხმელმა პეერ კერუბინომ სხვაობა ორამდე გაზარდა. მალე იმავე კერუბინომ რეალური მომენტი გააფუჭა, მაგრამ „ბეტისი" მესამე გაშვებულ გოლს ვერ გადაურჩა — მატჩის დამთავრებამდე წამებით ადრე ახალშესულმა ანდერ გასიტანომ თაურით „ბეტისის" განადგურება დაასრულა.

## EURO 2000
## ჩვენი ჯგუფი

ისევ რუმინელი ანგელ იორდანესკუსა და საბერძნეთის ნაკრების შესახებ. ბოლო ცნობა ასეთია. რუმინელმა მწვრთნელმა, რომელსაც ელინთა ფეხბურთის ფედერაციის უფროსები საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ თავიანთი ეროვნული გუნდის გაძღოლას სთხოვენ, გუნაცხადა, ჩვენს მოლაპარაკებებში დაბრკოლებააო. დაბრკოლების არისი, იორდანესკუს თუ ვენდობით, ისაა, რომ ბერძნებმა მასთან გარიგება ორწლიანი კონტრაქტის შეთავაზებით დაიწყეს, ბოლოს კი სიტყვა შეცვალეს და ოთხწლიან ხელშეკრულებაზე ალაპარაკდნენ, რაც რუმინელს აღარ აწყობს.

— უკმაყოფილო გახლავართ, რამეთუ ბერძნები ახლა ოთხწლიან თანამშრომლობას მთხოვენ, რაც ჩვენი სიტყვიერი შეთანხმებისგან განსხვავებულია — უთხრა დღეს რუმინეთის ნაკრების თავკაცმა ჟურნალისტებს — ახლა მე ათენში ჩავალ და შევეცდები ისინი კონტრაქტის ბუქარესტში დადებაზე დავითანხმო. ხელშეკრულების შინ გაფორმება იმიტომ მინდა, რომ მსურს მისი პირობები ჩემი ქვეყნის კანონმდებლობას შევუხამო.

აქ უნებურად მოგვაგონდება პაგონების ისტორია. თუ მართლა არსებობს სპორტით დაინტერესებული მკითხველი, რომელსაც ამის შესახებ არაფერი სმენია, გავიმეორებთ, რომ რუმინეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით მისი არმიის გენერალს უფლება არ აქვს საზღვარგარეთ იმუშაოს, იორდანესკუ კი სწორედ რომ რუმინეთის არმიის გენერალია და ჩინს თვალის ჩინივით უფრთხილდება. ეტყობა, ახლა, ბერძენთა ბუქარესტში დაბარებით იორდანესკუ პაგონების გადარჩენას ცდილობს.

# ბევრი დრო თუ ცოტა ფული?

დაბრკოლების შესახებ სხვა ვერსია აქვთ ათენში: ისინი ამბობენ, რომ წინააღმდეგობა არა კონტრაქტით გათვალისწინებული თანამშრომლობის ვადა, არამედ ანაზღაურებაა. ბერძნულმა მხარემ ადრეც განაცხადა, რომ შეუძლია იორდანესკუს წელიწადში 280 ათასი დოლარი შესთავაზოს, მეტის საშუალება კი არა აქვს. მათ თუ ვენდობით, გამოდის, რომ რუმინელ გენერალს სამხედრო წოდებაზე არანაკლებ ფული უყვარს და თავის ფასიც იცის.

თუ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციასა და ანგელ იორდანესკუს შორის გარიგება ჩაიშალა, მაშინ ჰელასის ეროვნულ გუნდს ან „ოლიმპიაკოსის“ პოლონელი ხელმძღვანელი იაცეკ გმოხი ჩაუდგება სათავეში, ან საბჭოთა ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი ოლეგ ბლოხინი.

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანეთის ნაკრების და მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი რაული საზარდულის ტრავმის გამო დაახლოებით სამი კვირა ვეღარ ითამაშებს. 20 წლის თავდამსხმელმა ტრავმა ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ვალენსიასთან“ 1:2 წაგებულ მატჩში მიიღო. სამეფო გუნდის ექიმების თქმით, რაულს ოპერაცია არ დასჭირდება.

ბერძენი ტეო ზაგორაკისი სალონიკის „პაოკიდან“ ინგლისის ლიგის თასის მფლობელ „ლესტერში“ გადავიდა. 26 წლის მცველმა, რომელსაც ქვეყნის ნაკრებში 34-ჯერ უთამაშია, პრემიერლიგის კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელმა, ვინაც გასულ წელს საბერძნეთის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, მაისურიდან იღბლიანი მეშვიდე ნომრის წაშლა არ ისურვა და 37-ე ნომრიანით თამაშს დაყაბულდა. ინგლისელებს ზაგორაკისის შეძენა 1,1 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

ინგლისის „მანჩესტერ სიტიმ“ 15 ფეხბურთელი წარადგინა ტრანსფერზე, მათ შორის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მაგრამ ფრენკ კლარკმა მათი ვინაობის გამხელა ჯერჯერობით არ ისურვა. ამჟამად მხოლოდ ტრანსფერზე წარდგენილი ერთადერთი ფეხბურთელის ვინაობაა ცნობილი — პოლ ბისლი, რომელიც ფრენკ კლარკმა 800 ათას დოლარად ერთი წლის წინ შეიძინა „ლიდსიდან“.

ბელგიელმა ვეტერანმა ნახევარმცველმა ლორენცო სტალონსმა ცხრაწლიანი ერთგულების შემდეგ „ბრიუგეს“ უღალატა და ბრიუსელის „ანდერლეხტში“ გადაბარგდა. 33 წლის ფეხბურთელმა ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

აშშ-ში მიმდინარე კონკაკაფის ოქროს თასის გათამაშებაში მორიგი მატჩები გაიმართა. მსოფლიოს ჩემპიონმა ბრაზილიამ, ვინც პირველ შეხვედრაში იამაიკის ძლევა ვერ შეძლო (0:0) ვერც მეორე მატჩი მოიგო და გვატემალასთან ფრედ 1:1 ითამაშა. მსოფლიოს ჩემპიონთა ერთადერთი გოლი რომარიომ შეაგდო, გვატემალელებმა კი 94-ე წუთზე გაათანაბრეს. მეორე ჯგუფში მექსიკამ 4:2 სძლია ტრინიდადს და მათთან ერთად სამგუნდიანი ჯგუფის ლიდერად იქცა. მეორეჯგუფელთა პირველ მატჩში ტრინიდადმა 3:1 დაამარცხა ჰონდურასი. მესამე ჯგუფში მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონის მონაწილემ, კოსტა რიკამ კუბა არ დაინდო და „თავისუფლების კუნძულის“ გუნდს 7:2 მოუგო.

უკრაინის ჩემპიონი კიევის „დინამო“ და მარიუპოლის „მეტალურგი“ უეფამ ქვეყნის თასის მატჩების ისრაელში თამაშის სურვილის გამო დააჯარიმა. კიეველები 23 და 26 თებერვლისთვის ისრაელში იქნებიან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „იუვენტუსთან“ თამაშისთვის მოსამზადებლად. ისრაელშივე იქნება მათი მეტოქე თასის გათამაშებაში „მეტალურგი“.

ბულგარეთის ნაკრების კაპიტანი ტრიფონ ივანოვი სათამაშოდ კვლავ ბულგარეთში ბრუნდება. 32 წლის მცველი, რომელიც ახლა ვენის „რაპიდში“ თამაშობს, 30 ივნისამდე სოფიის ცსკა-ს ღირსებას დაიცავს. ივანოვი ბულგარეთის ნაკრების მეორე წამყვანი მოთამაშეა ემილ კოსტადინოვის შემდეგ, ვინც ცსკა-ს დაუბრუნდა.

ჩილელი თავდამსხმელი სებასტიან როზენტალი, რომელიც ერთი წლის წინ „უნივერსიდად კატოლიკადან“ გადაბარგდა „გლაზგო რეინჯერსში“, შოტლანდიურ გუნდში თამაშს შეძლებს. როზენტალის სანაცვლოდ გლაზგოელებმა 6,6 მილიონი დოლარი გადაიხადეს, მაგრამ პირველი თამაშისთანავე ჩილელმა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და ერთი წელი მის მოშუშებას მოუნდა.

შვედეთის ნაკრების მოთამაშე ნიკლას ალექსანდერსონი მინიმუმ ექვსი თვე ვეღარ ითამაშებს. ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „შეფილდ უენსდეის“ ნახევარმცველმა მუხლის ტრავმა ჩემპიონატში „უიმბლდონთან“ თამაშისას მიიღო. შეფილდელებმა ალექსანდერსონი დეკემბერში შეიძინეს 1,2 მილიონ დოლარად შვედეთის „გიოტებორგიდან“.

პორტუგალიის „ბენფიკას“ თავდამსხმელმა ედგარ პაშეკომ მადრიდის „რეალთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 21 წლის ფეხბურთელი ესპანეთის ყველაზე ტიტულოვან გუნდში ახალი სეზონიდან ითამაშებს, მანამდე კი „ბენფიკაში“ დარჩება. პორტუგალიელები პაშეკოს ნაცვლად ვერაფერს მიიღებენ, რადგან ფეხბურთელის კონტრაქტი ამ სეზონში მთავრდება.

შოტლანდიელი თავდამსხმელი სკოტ ბუთი, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიაში“ თამაშობდა, სეზონის ბოლომდე გერმანელებმა ჰოლანდიურ „უტრეხტში“ გაანათხოვრეს.

ესპანური გაზეთების ცნობით, შესაძლოა, პრიმერა დივიზიონში რამდენიმე ტრანსფერი განხორციელდეს — სევილიის „ბეტისი“ მილანის „ინტერიდან“ იური ჯორკაეფის გადაბირებას ლამობს. სავარაუდოდ ტრანსფერის ფასი 16,7 მილიონი დოლარია. ინგლისის „ჩელსი“ კი „ბარსელონას“ მცველ მიგელ ანხელ ნადალის შეძენას ცდილობს.

უელსელ ნახევარმცველ გარი სპიდს ნანატრი დღე დაუდგა და „ევერტონი“ „ნიუკასლზე“ გაცვალა. სპიდის შეძენა კენი დალგლიშის გუნდს 9,9 მილიონი დოლარი დაუჯდა. სპიდს „ნიუკასლში“ თამაში ერთ კვირაში შეეძლება. ამასთანავე მოსალოდნელია რომ „ნიუკასლი“ მცველმა ჯონ ბერესფორდმა დატოვოს, რომლის ნაცვლად „საუთჰემპტონი“ ჩრდილოინგლისელებს 2,5 მილიონ დოლარს სთავაზობს.

…ანდიის თასის მესამე წრე: ელმელო (II დივიზიონი) — ვიტესი 1:3, ბრედა—სპორტი (II) 5:0

**იანვარში ბუნდესლიგამ დაისვენა და ჩვენს ნაკრებშიც მხოლოდ ერთი გერმანელი, ბირჰოფი მოხვდა. ამიტომაც, იანვრის რჩეულნი მხოლოდ იტალიიდან, ესპანეთიდან და ინგლისიდან რომ არიან, გასაკვირი არაა.**

# დასაწყისიც ასეთი უნდა

მეკარე

**ლუკა მარკეჯანი**

(„ლაციო“ და იტალია)

„სკუადრა აძურას“ თავკაცთაგან მივიწყებულმა მარკეჯანიმ ნაახალწლევს მხოლოდ ორი გოლი გაუშვა. თითო-თითო „ფიორენტინასთან“ და „პარმასთან“, თანაც ორივე პენალტიდან. „ლაციოს“ რომ დიდებული თვე ჰქონდა, მხოლოდ ამ გუნდის წინა ხაზის კი არა, მარკეჯანის დამსახურებაცაა. მან „რომასთან“ სათასო მატჩებშიც ბრწყინვალედ ითამაშა.

მცველები

**კარლოს აგილერა**

(„ატლეტიკო“ და ესპანეთი)

თუ ვინმე მადრიდული კლუბის ძალაა, აგილერაცაა. „ატლეტიკოს“ მეტოქეთა მემარცხენეებს ძლიერ უჭირთ, რადგან ეს ბიჭი არც დაცვაში აზარებს ვინმეს და შეტევაში ხშირი ჩართვითაც ხეირობს. ამაზე მეტყველებს „რასინგთან“ გატანილი გოლიც. მისი თამაში არც ხავიერ კლემენტეს გამორჩენია და სენ დენიში „სტად დე ფრანსის“ გახსნით მატჩში აგილერა ნაკრებშიც ათამაშა.

**ჩირო ფერარა**

(„იუვენტუსი“ და იტალია)

ფერარას ასე რომ გაეგრძელებინა, ჩვენს ნაკრებში თებერვალშიც მოხვდებოდა. მაგრამ ახლა ამის შესაძლებლობას სერიოზული ტრავმა აღარ მისცემს. „ვიჩენცას“ ჩირომ გოლიც გაუტანა, არადა კარიერის მანძილზე ამით იშვიათად თუ უხეირია.

**რობერტ იარნი**

(„ბეტისი“ და ხორვატია)

„ბეტისმა“ და იარნიმ იანვარი მართლაც ბრწყინვალედ დაიწყეს. „რეალის“ განადგურებაც პირველი გოლით სწორედ ხორვატმა დაიწყო და მერე საგოლე პასიც გასცა: „სელტასთან“ კი სულაც კუთხურიდან ჩაახვია.

ნახევარმცველები

**ზინედინ ზიდანი**

(„იუვენტუსი“ და საფრანგეთი)

ზიდანი იანვარში ორი გუნდის ლიდერად მოგვევლინა — „იუვენტუსი“ „ატალანტასთან“ ხომ დუბლით გაახარა და სენ დენის სტადიონიც გახსნა სუბისარეტას კარში გატანილი გოლით.

**ჯალმინია**

(„დეპორტივო“ და ბრაზილია)

ეს ბრაზილიელი „დეპორტივოს“ მხსნელად მოევლინა. ლა კორუნიელები თვის დასაწყისში გასავარდნთა ზონაში რომ იყვნენ, ახლა უეფას თასის [illegible] იბრძვიან. ჯალმინიამ „ბარსას“ და „ტენერიფეს“ დამარცხებაში გოლებით დაიდო წვლილი, „რასინგთან“ კი ფეხბურთის ქრესტომათიაში შესატანი პასი გააკეთა.



ჯალმინია

**მარკ ოვერმარსი**

(„არსენალი“ და ჰოლანდია)

ოვერმარსი ხანგრძლივი ტრავმის მარწუხებს, ეტყობა, საბოლოოდ დაუძვრა. ამ თვეში ჰოლანდიელს არც მცველთაგან დასხლტომა გასჭირვებია. ამაზე მეტყველებს დუბლი „ლიდსთან“ და თითო-თითო გოლი „ჩელსისთან“ ჩემპიონატშივე და „მიდლბროსთან“ თასზე.

**კლაუდიო ლოპესი**

(„ვალენსია“ და არგენტინა)

„ვალენსია“ წელს გონს მოეგო და ახლა ჰაინკესსა და ვან გაალს რომ ლანძღავენ, ეს „ვალენსიას“ და ლოპესის გამოცაა. ამ არგენტინელმა „ბარსასთან“ და „რასინგთან“ დუბლი შეასრულა.

თავდამსხმელები

**ალან ბოკშიჩი**

(„ლაციო“ და ხორვატია)

მან გაამწარა „პარმა“, „ფიორენტინა“, ორჯერ „ლეჩე“ და თასზე „რომა“. ამ სიას ეგებ ბევრიც შემატებოდა, ხორვატი თავდამსხმელი ტრავმას რომ არ შეეჩერებინა.

**ოლივერ ბირჰოფი**

(„უდინეზე“ და გერმანია)

რა იქნება უმისოდ „უდინეზე“? ახლა უკვე ძნელი სათქმელია, მაგრამ მისიანად გუნდი სერია A-ს ლიდერებშია. ბირჰოფმა იანვრის ყველა მატჩში გაიტანა ორ-ორი „ვიჩენცასთან“ და „რომასთან“ და ერთიც „ატალანტასთან“.

**ადრიან ილიე**

(„ვალენსია“ და რუმინეთი)

ერთი თვეა, რაც ილიე „გალათასარაიდან“ ესპანეთში გადავიდა და საწაულია, მაგრამ იანვარშივე ჰეთ-თრიქიც შეასრულა. ეს „რასინგთან“, „რეალთან“ კი პენალტიც მოიპოვა და გამარჯვების გოლიც გაიტანა.







# ცხრა მთას იქით...

დღეს ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით, აფრიკის უამრავ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთში, ბევრისთვის არაფრით ცნობილ ბურკინა ფასოში 1998 წლის პირველი დიდი საფეხბურთო ტურნირი — აფრიკის თასის გათამაშება იწყება. შავი კონტინენტის პირველობა 21-ედ გათამაშდება. აფრიკელთა მიმართ ჩვენი ყურადღება გასაგებია — წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე, საფრანგეთში აფრიკას არც მეტი, არც ნაკლები, ხუთი ნაკრები წარადგენს, რაც მსოფლიოს არც ერთ ჩემპიონატზე არ მომხდარა. აფრიკის თასის ბოლო გამარჯვებული სამხრეთ აფრიკა, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის მონაწილეები: მაროკო, კამერუნი და ნიგერია, ასევე ტუნისი ზაფხულში, უეჭველია, სიურპრიზებს შემოგვთავაზებენ, მაგრამ რადგან მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, ამჯერად ზემოჩამოთვლილი გუნდების სასაფრანგეთო პროგნოზებით თავს აღარ შევაწყენთ, უბრალოდ, იმას დავძენ, რომ ბურკინა ფასოში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთაგან მხოლოდ ნიგერია არ ითამაშებს, დანარჩენები კი გამარჯვებას შეეცდებიან.

...ფეხბურთით მსოფლიო ინგლისიდან „დაავადდა". ფეხბურთი ნელ-ნელა მთელს პლანეტაზე გავრცელდა და მსოფლიოში ყველაზე პოპულარული თამაში გახდა, მაგრამ აფრიკაში. იგივე ევროპასთან და სამხრეთ ამერიკასთან შედარებით გვიან გავრცელდა. ბოლო წლებამდე აფრიკული ფეხბურთი დიდი ვერაფერი სანახავი იყო, ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ბურთაობა გახლდათ. მსოფლიოს ჩემპიონატებსა თუ სხვა დიდ ტურნირებზე შავი კონტინენტის წარმომადგენლები მუდამ აუტსაიდერებად ითვლებოდნენ, მაგრამ დღეს საკითხი ასე აღარ დგას. 70-80 წლების შესაყარზე აფრიკაში მოღვაწეობას იწყებენ ევროპელი მწვრთნელები და მათი საფეხბურთო სიძლიერე ნელ-ნელა თვალში საცემი ხდება. მაგალითად ალჟირიც გამოდგება: 1982 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე, მათ მაშინდელ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას 2:1 სძლიეს. თუნდაც კამერუნი ავიღოთ იმავე ტურნირზე — მსოფლიოს მომავალმა ჩემპიონმა იტალიამ, აფრიკელთ მხოლოდ გატანილი გოლების რაოდენობით აჯობა. ზემოთ ალჟირი ვახსენეთ და ბარემ იმასაც დავძენ, რომ აფრიკის თასის 1990 წლის გამარჯვებული დღემდე მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც გერმანიასთან ერთზე მეტჯერ უთამაშია და ყველა შემთხვევაში მოუგია. გერმანელებთან ასპროცენტიანი შედეგი ეგვიპტესაც და გდრ-საც აქვს, მაგრამ ალჟირი იმითაა გამოსარჩევი, რომ მათ გერმანელების ძლევა 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე 1964 წელსაც მოახერხეს...

80-იანი წლებიდან ევროპაში ნელ-ნელა, მაგრამ მრავლად გამოჩნდნენ აფრიკელები, რომლებიც თავიანთ კლუბებში უკანასკნელნი სულაც არ იყვნენ. მათ ჯანი, ფიზიკური მომზადება და ალმა-დალმა შეუსვენებლივ სირბილის უნარი არასდროს აკლდათ, მაგრამ როცა ამას ევროპელ მწვრთნელთა გამჭრიახობა დაერთო, აფრიკული გუნდები ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ. 1994 წელს ეს ნიგერიელებმაც დაამტკიცეს. მერვედფინალში იტალიასთან რობერტო ბაჯოს 88-ე წუთზე გატანილი გოლი რომ არა, შესაძლოა, კიდევ უფრო შორს წასულიყვნენ. ორი წლის შემდეგ კი ნიგერიამ მოსახდენი მოახდინა — გუნდმა ოლიმპიური ოქრო მოიგო, თანაც ნახევარფინალში ბრაზილია, ფინალში კი არგენტინა იმსხვერპლა.

აფრიკის თასის წლევანდელი გათამაშება უამრავი მწვრთნელის ყურადღების ცენტრში მოექცევა გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ სანამ ტურნირის ფავორიტებზე ვისაუბრებთ, ორიოდ სიტყვით ტურნირის ისტორიასაც შევეხოთ.

## ყველაზე, ყველაზე...

აფრიკის თასი ყველაზე მეტჯერ განის გუნდს მოუგია — ოთხჯერ, მათი მწვრთნელი ჩარლზ კუმი გუამფი კი დღემდე ერთადერთი კაცია, ვისი ხელმძღვანელობითაც ნაკრებს თასი სამჯერ ხვდა წილად — 1963, 1965 და 1982 წლებში. აქამდე გამართულ 20 გათამაშებაში ეგვიპტე ყველაზე მეტჯერ მონაწილეობდა — 15-ჯერ. რაც შეეხება ფეხბურთელებს, 6-6 ტურნირში 5 მოთამაშეს უთამაშია: ემანუელ კუნდეს (კამერუნი), მულა ლაველის (ნიგერია), რაბა მაჯერის (ალჟირი), ვორკე მენგისტუს (ეთიოპია) და აბდულა ტრაორეს (კოტ დიუვარი). თუ მოხდა და ბურკინა ფასოში კოტ დიუვარელთა მეკარემ ალან გუამინმა თუნდაც ერთ წუთს მაინც ითამაშა, მაშინ ზემოხსენებული კვინტეტი სიქსტეტად გადაიქცევა. ყველაზე მეტი მაყურებელი 1990 წელს ალჟირში მასპინძელთა და ნიგერიელთა თამაშს ჰყავდა — 100 ათასი, ტურნირზე საშუალოდ ყველაზე მრავალრიცხოვანი დასწრება კი 1980 წელს, ნიგერიაში იყო — 46 ათასი. ყველაზე მეტი გოლი ერთ თამაშში 1963 წელს, განაში გამართული ტურნირის დროს გავიდა — ეგვიპტემ 6:3 სძლია ნიგერიას. ყველაზე დიდი ანგარიში — 6:1 1970 წელს, სუდანში დაფიქსირდა, როცა კოტ დიუვარმა ეთიოპია დაამარცხა. სხვათა შორის, იმ წლების



„ბაფანა, ბაფანა" — აფრიკის თასის მფლობელი სამხრეთ აფრიკელები

კოტ დიუვარი კიდევ ორი რამითაა აღსანიშნავი — გუნდის თავდამსხმელმა ლორენ პოკუმ ერთ შეხვედრაში ყველაზე მეტი 5 გოლი გაიტანა ეთიოპიასთან, 1968 და 1970 წელს კი საერთო ჯამში ყველაზე მეტი ბურთის — 14-ის გატანა მოახერხა.

და კიდევ: აფრიკის თასის წინა 20 გათამაშება 13 სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდა, მაგრამ აქედან 11 შემთხვევაში მასპინძლებმა თასის მოგება ვერ შეძლეს. შინ თამაში ბევრს რომ ნიშნავს და ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტიც ყოფილა, ბევრჯერ დამტკიცებულა, მაგრამ საეჭვოა ბურკინა ფასომ იმარჯვოს. მასპინძლები არასდროს ყოფილან ძლიერნი, და თან ტურნირზე გაცილებით ძლიერი გუნდებიც თამაშობენ. აი, დადგა მათი დროც:

## ფავორიტები

არ არსებობს ტურნირი, რომელსაც არ ჰყავდეს ფავორიტები, მაგრამ ეს სიტყვა სულაც არ ნიშნავს გამარჯვებას. განა ცოტა ყოფილა შემთხვევა ფეხბურთში, თუნდაც სხვა სპორტში, როცა ფავორიტები ნაადრევად ჩამოწერილებს გაუმწარებიათ? ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა და კვლავაც მოსალოდნელია. ახლა კი აფრიკის თასის წლევანდელი გათამაშების იმ მონაწილეებზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა, რომლებიც ჩვენი აზრით ფავორიტებად ითვლებიან.

ტუნისი დღესდღეობით აფრიკის ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრებია. მათ ბოლოდროინდელ პროგრესს გუნდის პოლონელ მწვრთნელ ანრი კასპერჩაკს უკავშირებენ. მან ტუნისის გაწვრთნა 1994 წელს ითავა. მანამდე წარმოშობით ფრანგი კასპერჩაკი „მეცს", „სენტ ეტიენს", „რასინგს" და „მონპელიეს" წვრთნიდა. ტუნისამდე კი ხუთი თვე კოტ დიუვარის გუნდი ებარა. მისი ხელმძღვანელობით ტუნისი ორი წლის წინ აფრიკის თასის გათამაშებაში მეორე ადგილზე გავიდა, რითაც 1965 წლის მიღწევა გაიმეორა, შარშან კი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა. სხვათა შორის, ანრი კასპერჩაკი პოლონეთის იმ გუნდში თამაშობდა, რომელმაც 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტუნისი დაამარცხა. მოკლედ, მწვრთნელს და გუნდს ძველი ნაცნობობა აკავშირებთ. ფეხბურთელებს რაც შეეხებათ, გუნდის კაპიტანი სამი ტრაბილსია. წელს ნათამაშევ პირველსავე ამხანაგურ მატჩში ტუნისი შინ 0:3 დამარცხდა იუგოსლავიასთან, მაგრამ მწვრთნელმა წაგება კანონზომიერად მიიჩნია — ახლა ფეხბურთელები ფორმის აღდგენას იწყებდნენ, თან მეტოქეც საკმაოდ ძლიერი იყოო.

რაც შეეხება ნაკრების შემადგენლობას, იგი ასეთია: მეკარეები — ჩოკრი ელ უარი (ესპერანსი, ნაკრებში 58 თამაში), ბუბაკერ ზიტუნი (კლუბ აფრიკანი, 21), ალი ბუმნიჯელი (ტულუზა, 4); მცველები — ტოფაკ ჰიჩრი (ესპერანსი, 51, 1 გოლი), ქალედ ბადრა (ესპერანსი, 12, 2) ტარეკ ტაბეტი (ესპერანსი, 33), მუნირ ბუკადიდა (ეტუალ დუ საჰელი, 25), კაის გოდბანი (ეტუალ დუ საჰელი, 16), ფერიდ ჩუჩანი (ეტუალ დუ საჰელი, 14), საბრი ჯაბალა (კლუბ აფრიკანი, 14), სამი ტრაბელსი (სფაქსიენი, 32), კარიმ გორბილი (სფაქსიენი, 2); ნახევარმცველები — რიად ბუაზიზი (ეტუალ დუ საჰელი, 14), სუფიან ფკიხი (სფაქსიენი, 32), სირაჟედინ ჩიკი (ესპერანსი, 33), ზუბერ ბეია (ფრაიბურგი, 32, 3), სკანდერ სოია (სფაქსიენი, 20, 1), მეჰდი ბენ სლიმანი (ფრაიბურგი, 19), ადელ სელიმი (ნანტი, 52, 1); თავდამსხმელები — ფაუზ რუისი (კლუბ აფრიკანი, 34), ჯამელ ლიმამი (კლუბ აფრიკანი, 50, 1), რიად ჯილასი (ეტუალ დუ საჰელი, 9), ვიდი ჰამრუნი (ესპერანსი, 28, 4).

კამერუნი აფრიკის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატში ზედიზედ მესამედ ითამაშებს. „მოუთვინიერებელი ლომები" 1990 წლის საკმაოდ უსახური ჩემპიონატის ნათელ მოგონებად დარჩნენ, მაგრამ ოთხი წლის წინ, აშშ-ში მათი თამაში ვალის მოხდა უფრო იყო, ვიდრე რაიმე მიზნისთვის ბრძოლა. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მათმა მოულოდნელმა წარმატებამ დაასრულა კამერუნის ფეხბურთის ათწლიანი ოქროს ხანა, რომლის განმავლობაშიც ქვეყნის კლუბებმა საკმაოდ ბევრი საკლუბო თასი მოიგეს, ნაკრებმა კი ორჯერ მოიპოვა კონტინენტის პირველობა, ერთხელ კი მეორე ადგილზე გავიდა. რაც შეეხება 90-იან წლებს, მათ თამაშს წარმატებულს ნამდვილად ვერ უწოდებ. მარტო ის რად ღირს, რომ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე შერცხვენის გარდა კამერუნელებმა ვერც აფრიკის თასზე იხეირეს — ბოლო სამ გათამაშებაში მათ ასპარეზობა პირველივე ეტაპიდან დატოვეს.

ამჯერად კამერუნელთა მიზანი თასის მესამედ მოპოვებაა. ნაკრების მწვრთნელი, აფრიკის 1980 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ჟან მანგა ონგენის მიზანიც სწორედ ესაა. ონგენემ მწვრთნელად დანიშვნისთანავე განაცხადა, ვეცდები, ნაკრებს წარმატებები მოვუტანო და შერყეული პრესტიჟი აღვუდგინოო. რამდენად მოახერხებს ამას, ძნელი სათქმელია, მაგრამ ძლიერ რომ შეეცდება, ეჭვი არაა.

გუნდს რაც შეეხება, იგი ახალგაზრდულია. რიგობერტ სონგის, მარკ ვივიენ ფოეს, ჟან დეზირე ჟობის და პატრიკ მბომას სახით კამერუნის გუნდს საკმაოდ ნიჭიერი თაობა აღუზრდია. სხვათა შორის, მბომა 27 გოლით ჯეი ლიგის ბომბარდირი გახდა „გამბა ოსაკას" შემადგენლობაში. წელს ნაკრებმა ორი შეხვედრის ჩატარება მოასწრო — 28 იანვარს მათ შინ 1:0 სძლიეს ანგოლას, 1 თებერვალს კი ამავე ანგარიშით კოტ დიუვართან დამარცხდნენ.

აფრიკის თასისთვის ონგენემ ნაკრებში გამოიძახა: მეკარეები — ჟაკ სონგო (დეპორტივო, 70), ვინსენ ონგანძი (უნისპორტი, 26); მცველები — ტობი ბეიარდ მიმბო (ტეკოსი, 36), რიგობერტ სონგი (მეცი, 41), რაიმონდ კალა (პანახაიკი, 36), პიერ ვომე (ლუკეზე, 19), ერნსტ ეჩი (კოტონ სპორტი, 16), პლასიდ ზოალენდი (უნიონ დუალა, 1); ნახევარმცველები — რომარინ ბილონგი (სენტ ეტიენი, 11), ჟან ჟაკ ეტამი (ბასტია, 2), სალომან ჩუტენგი (ვანსპორი, 20, 2), სკირილ მენგენი (ქსანტი, 17), სამუელ იპუა (რაპიდი, 1), ჰექტო მუკოკო (ტეკოსი, 12); თავდამსხმელები — პატრიკ მბომა (გამბა ოსაკა, 12, 5), სუფო პატრიკი (ბარსელონა, 1), ჟან ჟაკ მისე მისე (ლისაბონის სპორტინგი, 38, 2), ალფონს ჩამი (აგენტროდი, 36, 1), დიდიე ნგული (ნიცა, 5), ჟოზეფ დეზირე ჟობი (ოლიმპიკი, 1), ჟოზეფ მარი ჩანგო (ტეკოსი, 20), მარკ ვივიენ ფოე (ლანსი, 26), გერემი ნჯიტა (გენჩლერბირლიგი, 21).

სამხრეთ აფრიკა თასის ბოლო გამარჯვებულია, მაგრამ ამ გათამაშებაში თასის მფლობელი მხოლოდ ოთხი მოთამაშე იქნება: ლუკას რადებე, მარკ ფიში, ჯონ მოშოუ და ფილომენ მასინგა. „ბაფანა-ბაფანა", მიუხედავად ახალგაზრდული შემადგენლობისა და ბოლო შვიდი მოუგებელი მატჩისა, მაინც ტურნირის ფავორიტად ითვლება. გუნდში ხუთი ახალწვეულია — მეკარეები სიმონ გოპერი, ჯონ ტლალე, მცველები ტემბა მნგუნი, არონ მოკოენა და ნახევარმცველი ალექს ბაპელა. სხვათა შორის, მოკოენას, „აიაქსმა" და „იუვენტუსმა" დაადგეს თვალი. აფრიკის თასზე შოთა არველაძის თანაკლუბელი ბენედიქტ, იგივე ბენი მაკართიც ითამაშებს, თუ, რა თქმა უნდა, ნაკრების თავკაცმა იომო სონომ ეს საჭიროდ ჩათვალა. „ბაფანა-ბაფანას" ჰოლანდიის „ჰერენვეენის" კარის დარაჯის — ჰანს ვონკის ჩართვაც უნდოდა, მაგრამ მან სათანადო საბუთების დროზე გაკეთება ვერ შეძლო. გუშინ აფრიკული ტურნირის ორგანიზატორებმა გუნდის განაცხადის ნაგვიანევად წარდგენისთვის 10 ათასი დოლარით დააჯარიმეს.

რაც შეეხება ნაკრების სატურნირო შემადგენლობას, იგი ასეთია: მეკარეები — სიმონ გოპენი (ბოსო სელტიკი, 0), ჯონ ტლალე (მამელოდი სანდაუნსი, 0), ბრაიან ბალუი (კაიზერ ჩიფსი, 1); მცველები — მარკ ფიში (ბოლტონი, 27, 1), პიერ ისა (მარსელი, 1), ვილემ ჯეკსონი (ორლანდო პაირატსი, 1), ტემბა მნგუნი (მამელოდი სანდაუნსი, 0), დევიდ ნაიტი (სენტ გალენი, 27), ლუკას რადებე (ლიდსი, 33), არონ მოკოენა (იომო კოსმოსი, 0); ნახევარმცველები — კლინტონ ლარსენი (სენინგ რეინჯერსი, 2), ელმან მკალელე (ქაისერსპორი, 26, 1), ჯაბუ მნგუნი (ვაალ პროფესიონალსი, 1), ჯონ მოეტი (ორლანდო პაირატსი, 14), ჯონ მოშოუ (ქოჩაელსპორი, 35), დუმისა ნგობე (ორლანდო პაირატსი, 3), ალექს ბაპელა (მამელოდი სანდაუნსი, 0), ბრაიან სებაპოლე (იომო კოსმოსი, 10); თავდამსხმელები — ფილომენ მასინგა (ბარი, 33, 4), ბენი მაკართი (აიაქსი, 3), პოლენ ნდლენია (ბურსასპორი, 3), შონ ბარტლეტი (კეიპ თაუნი, 24, 2).

მაროკო, რომელსაც აფრიკის თასი შორეულ 1976-ში მოუგია, წელს მსოფლიოს ჩემპიონატში ზედიზედ მეორედ მიიღებს მონაწილეობას. მართალია, აშშ-ში სამივე შეხვედრა წააგეს, მაგრამ მაშინ მათმა ახალგაზრდულმა გუნდმა არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვა. მაროკოელები აფრიკის თასის გათამაშების ფავორიტთა შორის არიან, თუმცა, რამდენად საფუძვლიანია მათი პრეტენზიები, ამას თებერვალი დაგვანახებს. ხუთშაბათს მაროკომ ნიგერს უმასპინძლა და ბასირის, ჩიპოს და ბეჰჯას გოლებით მეტოქეს სამით ნული სძლია. გუნდის შემადგენლობა კი ასეთია: მეკარეები — აბდელქადერ ბარზი (ფარი, 48), აბდელატიფ ირაკი (მუჰამედია, 9), დრის ბენზეკრი (სეტატი, 3), მცველები — აბდელქარიმ ჰადრიუ (ბენფიკა, 49), ნურედინ ნაიბეტი (დეპორტივო, 84), აბდელილა საბერი (ლისაბონის სპორტინგი, 19), იუსუფ როსი (რენი, 11), სამი ტრიკი (ლოზანა, 15); ნახევარმცველები — მუსტაფა ჰაჯი (ლისაბონის სპორტინგი, 35, 1), მუსტაფა ქალევი (რაჯა, 15), რაშიდ აზუზი (ფიურტი, 28), იუსუფ ჩიპო (პორტო, 12, 1), ტაჰარ ლაკრი (ბენფიკა, 51) საიდ ჩიბა (კომპოსტელა, 13), ჯამელ სალამი (რაჯა, 15), ლარბი ჰაბაბი (ეტუალ დე საჰელი, 46, 1), აბდელატიფ ჟრინდო (რაჯა, 12), აქლი მოჰამედი (მაინცი, 2), ქარიმ მგორი (სტრასბური, 4); თავდამსხმელები — აჰმედ ბეჰჯა (ჰილალი 16, 4), ქალიდ რაჯიბი (სეტატი, 27, 3), სალადინ ბასირი (დეპორტივო 22, 5), იუსუფ ფერტუტი (ბელენენსეში, 33, 1), ადელაჯი ჰადა (კლუბ აფრიკანი, 7).

ზემოთ იმ ოთხ გუნდზე ვთქვით, ზაფხულში საფრანგეთში რომ ითამაშებენ. ამათ გარდა, აფრიკაში კიდევ რამდენიმე ძლიერი საფეხბურთო სახელმწიფოა და მათზე ორიოდ სიტყვაც არ იქნებოდა ურიგო.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტებთან ერთად თასის მოპოვების არანაკლები შანსი აქვს ალჟირსაც, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატს მწვრთნელყოფილის — ალი ფერგანის ექსპერიმენტების გამო გამოაკლდება. მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ტურნირში, მეორე ეტაპზე სუსტი კენიის წინააღმდეგ ფერგანიმ ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელები ათამაშა და მისი ნაკრები 2:3 დამარცხდა. ალჟირელთა ტრაგედიას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ფერგანის სამუდამო დისკვალიფიკაცია მოჰყვა, მისმა მემკვიდრემ, აბდერახმან მეჰდაუიმ კი განაცხადა, ნაკრები თავის ძალას პირველსავე დიდ ტურნირზე დაამტკიცებსო. სხვათა შორის, ალჟირი აფრიკის თასის ერთადერთი მფლობელია, რომელმაც ჩემპიონატი ასპროცენტიანი შედეგით დაასრულა — გუნდმა 1990 წელს, შინ ყველა შეხვედრა მოიგო.

შესაძლოა, იმარჯვოს განამ, ვისაც აფრიკის თასი ყველაზე მეტჯერ — ოთხჯერ მოუპოვებია. მართალია, წინა გათამაშებაში განელებმა სამარცხვინოდ წააგეს ნახევარფინალში მასპინძლებთან, მაგრამ ეს 1996 წელს იყო, შარშან კი ნაკრები ჰოლანდიელმა რინუს ისრაელმა ჩაიბარა და გუნდმაც ნელ-ნელა სახე იცვალა. 55 წლის ისრაელს, რომელსაც თავისი ქვეყნის ნაკრებში 47-ჯერ უთამაშია, ევროპის ჩემპიონთა თასიც მოუგია „ფეიენოორდის" შემადგენლობაში. რინუს ისრაელი მანამდე „ფეიენოორდს", ბუქარესტის „დინამოს" და ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებს თავკაცობდა. სხვათა შორის, განის გუნდს, აფრიკის თასის ერთი რეკორდიც ეკუთვნის — 1992 წელს, სენეგალში გამართული ჩემპიონატის გამარჯვებულის გამოსავლენად ზემოხსენებულ გუნდებს პენალტების დარტყმა მოუხდათ. საბოლოოდ კოტ დიუვარელებმა იმარჯვეს...11:10 (!).

გუშინ, უგადუგუში აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ გადაწყვიტა რომ კონტინენტის 2002 წლის ჩემპიონატს მალიმ უმასპინძლოს. ორი წლით ადრე აფრიკის თასის მორიგი 22-ე გათამაშება ზიმბაბვეში გაიმართება.

აფრიკის თასზე საუბარს ამჯერად აქ დავასრულებთ. ფავორიტებსა და ტურნირზე მეტ-ნაკლებად ვთქვით, დანარჩენი კი იმ კვირაში იყოს.

**ლაშა გოდუაძე**

## აფრიკის თასი'98

### A ჯგუფი

**ბურკინა ფასო, კამერუნი, ალჟირი, გვინეა**

| | |
|---|---|
| 07.02 | ბურკინა ფასო — კამერუნი |
| 08.02 | ალჟირი — გვინეა |
| 11.02 | კამერუნი — გვინეა |
| 11.02 | ბურკინა ფასო — ალჟირი |
| 15.02 | ბურკინა ფასო — გვინეა |
| 15.02 | კამერუნი — ალჟირი |

### B ჯგუფი

**განა, ტუნისი, კონგო, ტოგო**

| | |
|---|---|
| 09.02 | ტოგო — კონგო |
| 09.02 | განა — ტუნისი |
| 12.02 | ტუნისი — კონგო |
| 12.02 | განა — ტოგო |
| 16.02 | განა — კონგო |
| 16.02 | ტუნისი — ტოგო |

### C ჯგუფი

**ს. აფრიკა, ანგოლა, კოტ დიუვარი, ნამიბია**

| | |
|---|---|
| 08.02 | ს. აფრიკა — ანგოლა |
| 08.02 | კოტ დიუვარი — ნამიბია |
| 11.02 | ს. აფრიკა -- კოტ დიუვარი |
| 12.02 | ანგოლა — ნამიბია |
| 16.02 | კოტ დიუვარი — ანგოლა |
| 16.02 | ს. აფრიკა — ნამიბია |

### D ჯგუფი

**ზამბია, მაროკო, ეგვიპტე, მოზამბიკი**

| | |
|---|---|
| 09.02 | ზამბია — მაროკო |
| 10.02 | ეგვიპტე — მოზამბიკი |
| 13.02 | ზამბია — ეგვიპტე |
| 13.02 | მაროკო — მოზამბიკი |
| 17.02 | ზამბია — მოზამბიკი |
| 17.02 | ეგვიპტე — მაროკო |

### მეოთხედფინალები

| | |
|---|---|
| 20.02 | A 1 — B 2 |
| 21.02 | B 1 — A 2 |
| 21.02 | C 1 — D 2 |
| 22.02 | D 1 — C 2 |

### ნახევარფინალები

| | |
|---|---|
| 25.02 | 1 და 4 მეოთხედფინალების გამარჯვებულები |
| 25.02 | 2 და 3 მეოთხედფინალების გამარჯვებულები |

### მატჩი III ადგილისთვის

| | |
|---|---|
| 27.02 | ნახევარფინალებში დამარცხებულები |

### ფინალი

| | |
|---|---|
| 28.02 | ნახევარფინალებში გამარჯვებულები |

## აფრიკის თასის ადრინდელი გამარჯვებული

| | | |
|---|---|---|
| 1957 | სუდანი | ეგვიპტე |
| 1959 | ეგვიპტე | ეგვიპტე |
| 1962 | ეთიოპია | ეთიოპია |
| 1963 | განა | განა |
| 1965 | ტუნისი | განა |
| 1968 | ეთიოპია | კონგო |
| 1970 | სუდანი | სუდანი |
| 1972 | კამერუნი | კონგო |
| 1974 | ეგვიპტე | ზაირი |
| 1976 | ეთიოპია | მაროკო |
| 1978 | განა | განა |
| 1980 | ნიგერია | ნიგერია |
| 1982 | ლიბია | განა |
| 1984 | კოტ დიუვარი | კამერუნი |
| 1986 | ეგვიპტე | ეგვიპტე |
| 1988 | მაროკო | კამერუნი |
| 1990 | ალჟირი | ალჟირი |
| 1992 | სენეგალი | კოტ დიუვარი |
| 1994 | ტუნისი | ნიგერია |
| 1996 | ს. აფრიკა | ს. აფრიკა |
| 1998 | ბურკინა ფასო | ? |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველმა ახალს აჯობა

ვერის ბაღი. საქართველოს მე-7 ჩემპიონატი

მეორე წრის მეორე ტური

5 თებერვალი

**შევარდენი 85:73 მაკაბი**

**შევარდენი:** ორჯონიკიძე (14), კაზანჯიანი (25), მაჭავარიანი (11), გიგაური (30), ლვინეფაძე (5); არსიაშვილი, ცაგარეიშვილი

**მაკაბი:** ანდღულაძე (14), ხუხაშვილი (16), ტალაბაძე (14), ფერიაშვილი (18), ახალკაცი (8); ენდელაძე (3)

სატურნირო ცხრილში უშუალო მეზობელთა მატჩი „შევარდენმა" მოსალოდნელზე იოლად მოიგო. კვლავ გამოიჩინა თავი „შევარდენის" სნაიპერმა გია კაზანჯიანმა — 8 სამქულიანი ჩააგდო.

**ვითა 104:73 მერანი**

**ვითა:** გაგნიძე (13), ორმოცაძე (9), კოკოლიშვილი (22), ჩუბინიძე (6), კორძაძე (2); ტუღუში (9), ბახტაძე (6), მიქაძე (4), ლოსაბერიძე (19), მაჭარაძე (2), ვაშაკიძე (12)

**მერანი:** მარხვაშვილი (4), ჩავლეიშვილი (12), ფარულავა (15), მარკოიშვილი (5), სანიკიძე (14); ჩაჩუა (14), გეგეშიძე, ფანჯიკიძე (2), ლაცაბიძე (2), კედია (2), ნათობიძე

„ვითას" შემადგენლობაში წელს პირველად გამოჩნდა კოკოლიშვილი.

**თსუ 96:90 სდასუ**

**თსუ:** ულენტი (34), წონელია (12), ბაბიაშვილი (22), ცხვედიანი (11), ნიჟარაძე (1); არსიაშვილი (8), ნიკოლაძე (8), გელაშვილი

**სდასუ:** ჩერქეზიშვილი (8), ჩხეიძე (19), სანაძე (5), ოთიურიძე (22), დერიუგინი (27); აბულაძე, ახობაძე (2), ნაცვლიშვილი (7), მუშკუდიანი

ეს ამ დღის ცენტრალური შეხვედრა იყო. მეტოქეებმა პირველივე წუთზე შეტევიანი შეტევებით უპასუხეს ერთმანეთს. თსუ-ში ჩინებულად თამაშობდა ზვიად ბაბიაშვილი და პირველი 7 ქულაც სწორედ მან მიითვალა. შემდეგ ულენტმაც ჩააგდო სამქულიანი, მაგრამ მალე ოთიურიძისა და ჩერქეზიშვილის გასვლებით უკვე სდასუ დაწინაურდა. მე-8 წუთისთვის ანგარიში კვლავ გათანაბრდა. ალმაშენებლის უნივერსიტეტელები ვერ უმკლავდებოდნენ ბაბიაშვილს და თამაზ ოქრუაშვილმა მოედანზე გიგი ნაცვლიშვილი გამოიყვანა, რომელიც ზვიადს დაუდგა. ამან შედეგი გამოიღო. გააქტიურდა დერიუგინი, რომლის წინააღმდეგ ნიჟარაძესაც უჭირდა თამაში და ბაბიაშვილსაც და სდასუ-მ ნელ-ნელა გაზარდა სხვაობა 28:20. ცხვედიანი და სანაძე ერთმანეთს კარგად იჭერდნენ და, ფაქტობრივად, გამოეთიშნენ შეტევას. დერიუგინი კვლავ ყრიდა ბურთებს. მე-12 წუთისთვის კი, ნაცვლიშვილის შედეგიანი ტყორცნის შემდეგ სხვაობამ 10 ქულას მიაღწია — 32:22. ნოდარ ქორქიამ საპასუხო ზომები მიიღო — ორივე გამთამაშებელი — ნიკოლაძე და ულენტი დატოვა მოედანზე და თსუ-მ ტემპს უმატა. ნიკოლაძემ სამქულიანი ჩააგდო. შემდეგ ულენტმა ორი ჩინებული გარღვევა შეასრულა და ტაიმის დასასრულამდე სამი წუთით ადრე სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა — 40:36. მაგრამ დერიუგინი კვლავ კარგად თამაშობს და პირველი ტაიმი სდასუსია — 49:43.

მეორე ნახევარი სანაძის ამ მატჩში ერთადერთი ზუსტი სამქულიანით დაიწყო და სდასუმ კვლავ გვარიანად ჩამოიტოვა მეტოქე. ულენტი და ნიკოლაძე კიდევ უფრო ზრდიან ტემპს და მე-7 წუთზე, როდესაც ბაბიაშვილმა თავისი საყვარელი წერტილიდან ზუსტად ესროლა, ანგარიში კვლავ თანაბარია — 60:60. აქ კარგად თამაშობს ოთიურიძე, რომელიც ზედიზედ სამჯერ ათავსებს ბურთს მოწინააღმდეგის კალათში, მაგრამ ულენტიც შეუჩერებელია და მე-11 წუთისთვის ისევ წონასწორობაა — 67:67. თამაშის მსვლელობა საინტერესო დასასრულს გვპირდება, მაგრამ გარდატეხა სულ სხვა მხრიდან მოდის. სრულიად უწყინარ სიტუაციაში ნიკო ჩერქეზიშვილი განერვიულდა. პერსონალურ შენიშვნას ტექნიკური დაემატა, მაგრამ ჩერქეზიშვილი არ დაწყნარდა. ოქრუაშვილმა იგი დასამშვიდებლად გამოცვალა, მაგრამ ნიკო სათადარიგოთა სკამიდან განაგრძობდა მსაჯთან კამათს და იმდენი ქნა, მოედნიდან გააძევეს. ამ ეპიზოდმა, ეტყობა, ძალზე იმოქმედა თანაგუნდელებზე. მართალია, მოწინააღმდეგეებმა ექვსი საჯარიმოდან მხოლოდ სამი ჩააგდეს, მაგრამ შემდეგი ორი-სამი წუთი მათი იყო — ულენტმა, ცხვედიანმა და წოწელიამ უცებ დააწინაურეს თსუ 11 ქულით — 78:67. სდასუსთვის ამ კრიტიკულ მომენტში ჩინებულად ითამაშა ჩხეიძემ. ჯიჯომ შესანიშნავად დაასრულა თავისი გასვლები და ჩინებული პასებით ოთიურიძესა და დერიუგინსაც ამის საშუალება მისცა. სხვაობა კვლავ მინიმალურია — 1 ქულა, მაგრამ თსუ ისევ იბრუნებს მატჩის სადავეებს. ულენტი შედეგიანად თამაშობს და არსიაშვილის ზუსტი ტყორცნის შემდეგ ბოლო ორწუთიან მონაკვეთში სახელმწიფო უნივერსიტეტი 8-ქულიანი სხვაობით შედის. სდასუ სამქულიანების გამოყენებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ. თსუ-მ მოიგო ეს მეტად პრინციპული მატჩი — 96:90.

6 თებერვალი

**დინამო 2 92:71 ასქ**

**დინამო 2:** ვეფხვაძე (29), გრძელიშვილი (11), ხეცურიანი (18), მანველიშვილი (8), ფსუტური (15); ნოზაძე (2), უჩუმბეგაშვილი (5), მშვილდაძე (4)

**ასქ:** დ. მოისწრაფიშილი (23), ჭყონია (5), ჩხაიძე (8), ნუცუბიძე (9), მინაშვილი (12); ქართველიშვილი (4), პაპასკირი (2), თაბუაშვილი (6), მჭედლიშვილი (2)

**აზოტი 107:61 კოლხა**

**აზოტი:** გაბისონია (18), კიკვიძე (13), გოგობერიშვილი (16), ბერუაშვილი (17), ბოისა (15); გოგოლაძე (8), კოჭლამაზაშვილი (4), ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი (7), ხაიაური (9)

**კოლხა:** არველაძე, აბულაძე (8), ქარუმიძე (9), კვაჭაძე (16), ცქიტიშვილი (11); ბერიშვილი (2), ქვილითაია (5), თოდუა (5), უგრეხელიძე (3), ვაშაკიძე, ძიძიგური

**დინამო 110:70 სტუ**

**დინამო:** მაისურაძე (13), ხოშტარია (8), კილაძე (9) ბეჟანიშვილი (19), შენგელია (15); თორთლაძე (21), ბერია (5), ქევხიშვილი (2), შანიძე (7), მეჭურჭლიშვილი (9), ჩიქოვანი (3)

**სტუ:** სპარსიაშვილი (5), ლომიძე, გოგაშვილი (4), სუხიშვილი (10), მაჩაიძე, ლასარეიშვილი (6), დ. ბერიშვილი (14), ი. ბერიშვილი (8), ნოზაძე (12), ხარაძე (9)

**ილია მხეიძე**

## ევროლიგა

### E ჯგუფი

ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) — პორტუ (პორტუგალია) 73:54, ეფეს პილზენი (სტამბოლი, თურქეთი) — სპლიტი (ხორვატია) 86:75, მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) — ტელეკომი (ანკარა, თურქეთი) 87:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 14 | 11 | 3 | 1059:980 | 25 |
| ეფეს პილზენი | 14 | 10 | 4 | 1030:966 | 24 |
| მაკაბი | 14 | 9 | 5 | 1076:1024 | 23 |
| ტელეკომი | 14 | 6 | 8 | 1002:1038 | 19 |
| სპლიტი | 14 | 4 | 10 | 1056:1112 | 18 |
| პორტუ | 14 | 0 | 14 | 931:1185 | 14 |

### F ჯგუფი

ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 96:70, ესტუდიანტესი (მადრიდი, ესპანეთი) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 68:65, პაოკი (სალონიკი) — ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) 61:58

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 14 | 11 | 3 | 1076:941 | 25 |
| ცსკა | 14 | 8 | 6 | 1102:1008 | 22 |
| პაოკი | 14 | 8 | 6 | 981:947 | 22 |
| ესტუდიანტესი | 14 | 7 | 7 | 1035:1055 | 21 |
| რეალი | 14 | 6 | 8 | 1046:1048 | 20 |
| ლიმოჟი | 14 | 5 | 9 | 920:1056 | 19 |

### G ჯგუფი

კინდერი (ბოლონია, იტალია) — პსჟ (პარიზი, საფრანგეთი) 69:52, ბარსელონა (ესპანეთი) — ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია) 84:65, პოორტეზი (საფრანგეთი) — ალბე (ბერლინი, გერმანია) 54:71

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 14 | 13 | 1 | 986:897 | 27 |
| ბარსელონა | 14 | 8 | 6 | 1117:1097 | 22 |
| ალბა | 14 | 7 | 7 | 1001:1010 | 21 |
| ოლიმპია | 14 | 6 | 8 | 991:1000 | 20 |
| პოორტეზი | 14 | 6 | 8 | 1017:1026 | 20 |
| პსჟ | 14 | 6 | 7 | 915:925 | 20 |

### H ჯგუფი

აეკი (ათენი, საბერძნეთი) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 65:51, ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია) — ულკერ გენჩლიკი (სტამბოლი, თურქეთი) 80:74, ციბონა (ზაგრები, ხორვატია) — პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) 84:66

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკი | 14 | 10 | 4 | 993:936 | 24 |
| ტიმსისტემი | 14 | 9 | 5 | 1061:1090 | 23 |
| ციბონა | 14 | 8 | 6 | 1066:1023 | 22 |
| ულკერი | 14 | 5 | 9 | 1052:1081 | 19 |
| პარტიზანი | 14 | 4 | 10 | 1082:1129 | 18 |
| ჰაპოელი | 14 | 2 | 12 | 947:1076 | 14 |

ALL STAR

# შავთა ბრწყინვალება

კვირას, 8 თებერვალს ნიუ იორკის ცნობილ „მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართება ოლ სტარი, ანუ ჩვენებურად ყველა ვარსკვლავის შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს შეერკინება მისისიპის გაღმელ-გამოღმელ მწვრთნელთა და ქომაგთა 12-12 რჩეულის ორი გუნდი. წლევანდელი ოლ სტარი რიგით 48-ეა. პირველი მატჩი 1951 წელს გაიმართა ბოსტონში და აღმოსავლეთის გამარჯვებით დასრულდა 111:94. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მაშინ ბოსტონელი ედ მაკოლი აღიარეს. საერთოდაც, აღმოსავლელები გაცილებით უკეთ თამაშობენ და მათ ანგარიშზე 30 მოგებაა. მოთამაშეთაგან ყველაზე მეტჯერ თავი ცინცინატელ ოსკარ რობერტსონს გამოუჩენია — იგი სამჯერ, 1961, 64 და 69 წლებში გახდა ოლ სტარის უძვირფასესი, მოქმედი კალათბურთელებიდან მაიკლ ჯორდანი და კარლ მელოუნი არიან 2-2-ჯერ მატჩის რჩეულები.

ოლ სტარისვე პროგრამით, ოღონდ დღეს, 7 თებერვალს გაიმართება ახალბედების ოლ სტარი, სამქულიანების კონკურსი და ქუჩური კალათბურთი. ეს უკანასკნელი სიახლეა, რომელმაც შეცვალა სლემ დანკი (შეჯიბრება ჩატენვებში). ქუჩური კალათბურთი საინტერესო იმადაა, რომ თამაში ცალ ფარზე მიმდინარეობს, გუნდები კი ორ-ორი მოთამაშისგან შედგება, რომელთაგანაც ერთი NBA-ს, მეორე კი ქალთა კალათბურთის ლიგის წარმომადგენელი იქნება.



**აღმოსავლელთა სასტარტო ხუთეული**

| | ამპლუა | გუნდი | სიმაღლე | დაიბადა |
|---|---|---|---|---|
| ლარი ბერდი | მწვრთნელი | „ინდიანა პეისერზი" | | |
| ანფერნი ჰარდევეი | გამთამაშებელი | „ორლანდო მეჯიკი" | 201 | 1971 VII 18 |
| მაიკლ ჯორდანი | მსროლელი | „ჩიკაგო ბულზი" | 198 | 1963 II 17 |
| გრანტ ჰილი | ფრთა | „დეტროიტ პისტონზი" | 203 | 1972 X 5 |
| შონ კემპი | თავდამსხმელი | „კლივლენდ კავალიერსი" | 208 | 1975 VI 5 |
| დიკემბე მუტომბო | ცენტრი | „ატლანტა ჰოუკსი" | 218 | 1965 VI 25 |



**დასავლელთა სასტარტო ხუთეული**

| | ამპლუა | გუნდი | სიმაღლე | დაიბადა |
|---|---|---|---|---|
| ჯორჯ კარლი | მწვრთნელი | „სიეტლ სუპერსონიქსი" | | |
| გერი პეიტონი | გამთამაშებელი | „სიეტლ სუპერსონიქსი" | 193 | 1968 VII 23 |
| კობი ბრაიანტი | მსროლელი | „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" | 201 | 1978 VIII 23 |
| კევინ გარნეტი | ფრთა | „მინესოტა ტიმბერვულვზი" | 211 | 1976 III 19 |
| კარლ მელოუნი | თავდამსხმელი | „იუტა ჯაზი" | 206 | 1963 VII 24 |
| შაკილ ონილი | ცენტრი | „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" | 217 | 1973 III 6 |

რეგულარული ჩემპიონატი

# დიდ მატჩამდე მწვრთნელებმაც ივარჯიშეს

4 თებერვალი

**ლეიკერსი 122:115 პორტლენდი**

**ლეიკერსი:** ჯონსი (28), ბრაიანტი (26), ვან ექსელი (23), ონილი (21)

**პორტლენდი:** ბრონსონი (19)

ლეიკერსის ოთხივე ოლსტარელმა თავი გამოიდო და 20 ქულაზე მეტი დააგროვა. ამასთან შაკილმა 21 ქულას 10 მოხსნა, ხოლო ვან ექსელმა 23 ქულას 11 პასიც დაამატეს.

**სიეტლი 104:97 ინდიანა**

**სიეტლი:** ბეიკერი (41+11 მოხსნა), შრემპფი (24)



სიეტლი — ინდიანა.
ვინ ბეიკერი შეუჩერებელი იყო

**ინდიანა:** მილერი (25), სმიტსი (19+11 მოხსნა)

გუნდების მწვრთნელები — ლარი ბერდი და ჯორჯ კარლი აღმოსავლეთის და დასავლეთის რჩეულებს ჩაუდგებიან სათავეში. რეგულარულ ჩემპიონატში ჯორჯ კარლის ბიჭებმა იმარჯვეს. ვნახოთ, მოაგებინებს თუ არა კარლი დასავლელებს.

**იუტა 101:93 ჩიკაგო**

**იუტა:** მელოუნი (30), სტოქტონი (17+18 პასი)

**ჩიკაგო:** ჯორდანი (40)

ჩემპიონებს მათგან შარშან ფინალში ძლეულ გუნდთან თამაშში ჯორდანის 40-მა ქულამ ვერ უშველა. გუნდის სხვა ლიდერებმა — პიპენმა და როდმანმა თავი შეირცხვინეს. პიპენმა მხოლოდ 9 ქულა გააკეთა, მოხსნების მეფე როდმანი კი 4 მოხსნას დასჯერდა.

**დენვერი 99:101 საკრამენტო**

**დენვერი:** ელისი (23+13 მოხსნა)

**საკრამენტო:** რიჩმონდი (32), ოუენსი (27+13 მოხსნა)

**მინესოტა 95:88 ნიუ იორკი**

**მინესოტა:** მარბერი (29+10 პასი)

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (20)

**ფილადელფია 84:98 მაიამი**

**ფილადელფია:** აივერსონი (18)

**მაიამი:** მურნინგი (19+15 მოხსნა)

**ბოსტონი 110:99 დალასი**

**ბოსტონი:** ბრაუნი (32)

**დალასი:** ფინლი (18)

ბოსტონელმა დი ბრაუნმა 10-დან 8 სამქულიანი ჩააგდო და 32 ქულით სეზონის რეკორდი დაამყარა. მას მხარი აუბა ახალბედა ჩონსი ბილაფსმა და 13 პასით უკვე კარიერის რეკორდი დაამყარა. ბოსტონმა კი სეზონში ყველაზე მეტი — 31 პასი მიითვალა.

**ვაშინგტონი 104:88 კლივლენდი**

**ვაშინგტონი:** ჰოვარდი (22+13 მოხსნა), ჩინი (20)

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (18)

5 თებერვალი

**კლივლენდი 94:108 ატლანტა**

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (20+11 მოხსნა)

**ატლანტა:** კორბინი (23), სმიტი (18+10 პასი)

კლივლენდი ორ დღეში მეორედ დამარცხდა.

**მილუოკი 87:91 მაიამი**

**მილუოკი:** რობინსონი (25), ალენი (25)

**მაიამი:** მაშბურნი (25)

**ტორონტო 101:93 დალასი**

**ტორონტო:** სტუდემაიერი (21)

**დალასი:** ფინლი (19)

**შარლოტი 108:93 ვანკუვერი**

**შარლოტი:** რაისი (30)

**ვანკუვერი:** [illegible] (19)

**ნიუ ჯერსი 106:94 ფინიქსი**

**ნიუ ჯერსი:** ვან ჰორნი (20), კიტლზი (20)

**ფინიქსი:** მენინგი (17)

**დეტროიტი 104:92 ჰიუსტონი**

**დეტროიტი:** ჰილი (24)

**ჰიუსტონი:** ბარკლი (26+10 მოხსნა), ოლაჯუონი (19)

**ირაკლი ფირაშვილი**

# მაიკლ ნეგროვიცის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი მეექვსე

# დიადი კინშასა
## ზანგები საზანგეთში

### წინაისტორია

თუკი ოდესმე ორი წინადადება მაინც დაიწერება კრივის დიადი წარსულის გამო, ერთი უთუოდ, ყოველგვარი კამათის გარეშე ამ ბრძოლას უნდა შეეხოს.

1974 წლის 30 ოქტომბერი, კინშასა, ზაირი, მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში, 25 წლის ჯორჯ ფორმენი პრეტენდენტის, 32 წლის მუჰამედ ალის წინააღმდეგ.

განა შეიძლება ოდესმე დავიწყებას მიეცეს ეს ბრძოლა? განა შეიძლება გაქრეს განუმეორებელი აურა ამ შეჯახებისა? სანამ კრივი არსებობს, სანამ ცოცხალია თუნდაც ერთი ქომაგი, ეს არ მოხდება. ისტორია კინშასური ბრძოლისა სამყაროსთან ერთად თუ გაქრება.

„ბრდღვინვა ჯუნგლებში" — ასე უწოდა დიდი ბრძოლებისთვის სახელის დარქმევას ჩვეულმა საკრივო მედიამ. კინშასა, ყოფილი ლეოპოლდვილი, ბელგიური კონგოს ძველი დედაქალაქი. აქამდე არასოდეს ყოფილა, რომ შავ კონტინენტზე მძიმეწონოსანთა საჩემპიონო ორთაბრძოლა გამართულიყო. ის სხვა დრო იყო, დიდი შერკინებები მხოლოდ კაზინოქალაქებს როდი ერგებოდათ. მათი მასპინძელი ხშირად იყო სრულიად მოულოდნელი და ეგზოტიკური ადგილი. ალი — ფორმენის ლეგენდარული ჭიდილი კი არ ყოფილა ერთი, მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკური დასასრული ორი დიდი მოკრივის მისწრაფებებისა. ამ ჩხუბის წინაისტორია თავად ბედისწერამ განსაზღვრა.

მუჰამედ ალი, ბიჭი, რომელსაც ადრე კასიუს კლეი ერქვა, ძნელი გზით მიდიოდა კინშასამდე. წყალში გადაგდებული ოლიმპიური მედალი, ორი სკანდალური ჩხუბი სონი ლისტონთან, კენ ნორტონის მუშტით გატეხილი ყბა, სამხედრო სამსახურზე



ალი ფულს ითვლის

უარის თქმა, ციხე, 46-თვიანი უმოქმედობა, შემდეგ — უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი. ყოველივე ამის შუაში კი ორი ორთაბრძოლა დიდ ფილადელფიელ ცაციასთან, ჯო ფრეზერთან. ერთი მარცხი და ერთი გამარჯვება, თუმცა არავითარი ტიტული, რადგან მარცხსა და გამარჯვებას შორის ამოზრდილიყო უზარმაზარი ხორცის საკეპი მანქანა, დაუნდობელი ჯორჯ ფორმენი, რომელმაც მაიამიში უსულოდ დასცა ფრეზერი და მსოფლიოს ჩემპიონობა იპყრო, და კიდევ ერთი კაცი, კენ ნორტონი, რომელსაც ალიც მოერია და ფორმენიც. ასე რომ, ორი მებრძოლი ერთმანეთისკენ მიდიოდა მტკიცე და ულმობელი ნაბიჯით.

ალი — სილამაზე და ხიბლი არათუ იმ დროისა, არამედ საერთოდ კრივისა. დიადი მოკრივე, მისივე სიტყვებით, „პეპელასავით მოფარფატე და ბზიკივით მკბენარი", სწორუპოვარი და ენამწარე შოუმენი და საზოგადოებრივი ფიგურა.

ფორმენი — სამხრეთელი ცხოველი, უმძლავრესი მოკრივე, მთაკაცი. დაუნდობელი ხელისა და ქცევის ახალგაზრდა კაცი. თითქოს რინგზე მოწინააღმდეგის მოკვლის სურვილით ანთებული.

არა, ასეთი რამ არ ყოფილა არც მანამდე, არც შემდეგ.

კინშასა, 1974, 30 ოქტომბერი. თუმცა, ეს ამბავი ღირს იმად, რომ წინაისტორიაზე დაიხარჯოს. ამიტომ მონათხრობი უფრო გრძელი იქნება.

ჭიდილი არა მხოლოდ ორი დიდი მოკრივისა, არამედ ორი დიდი მწვრთნელისა. ანჯელო დანდი დიკ სედლერის წინააღმდეგ.



ალი მისებურად ექაჩება ფორმენს

### დონი

აბა ვინ არ იცნობს სუპეროლრაშ დონ კინგს? ლეგენდარული პრომოუტერი, გაქნილი და ვერაგი კაცი, სწორუპოვარი კრივის მენეჯერი, დიდების დარბაზის წევრი, ადამიანი, რომლის შიშითაც გოლიათები თრთიან (ნიუიორკელმა მესვეტემ ჯეკ ნიუფილდმა როგორღაც წიგნი დაწერა: „მხოლოდ ამერიკაში. ცხოვრება და ყაჩაღობანი დონ კინგისა". როდესაც ნიუფილდი მასალებს კრეფდა ამ წიგნისთვის, მოკრივეებს ელაპარაკებოდა. ბევრი მათგანი შეშინებული იყო და უარს ეუბნებოდა. მძიმეწონოსანი ტიმ ვიზერსპუნი კი საერთოდაც პისტოლეტით შეიარაღებული გამოცხადდა მესვეტესთან, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო).

მოკლედ, დონ კინგი. ის ციხიდან 1971 წელს გამოვიდა. მკვლელობისთვის მისჯილი ვადა მოიხადა და ფულის კეთებას მიჰყო ხელი. ძველი რეკეტირი და შემწერი იყო, ფულის კეთება არ უჭირდა. ერთი ხანობა ფირმა „ვიდეო ტექნიკს ინტერნეშენალის" ვიცე-პრეზიდენტი იყო და ჰოლივუდში ფეხის მოკიდებას ლამობდა, მაგრამ კინოპროდიუსერობაში ფეხი არ ჩაუვიდა და კრივის პრომოუშენი დაიწყო.

სწორედ კინგს დაუჯდა ჭკუაში ალისა და ფორმენის დაჯახება. მოკრივენი ყაბულს იყვნენ, მაგრამ დიდი ორთაბრძოლის გამართვისთვის ეს სრულიად არაფერს ნიშნავს. პრომოუტერი იმის პრომოუტერია, რომ მათი თანხმობა საქმედ აქციოს. საქმედ ქცევას კი ბევრი ფული სჭირდება. რეკლამა, საპრიზო ფონდი, ზუსტად შერჩეული ადგილი, სპონსორები, მედია და ა.შ. ამას ყველაფერს ფხა უნდა, კინგს კი ეს ფხა ზომაზე მეტი ჰქონდა.

საპრიზო ფონდი მანამდე არგაგონილი იყო — 10 მილიონი დოლარი. მაგრამ ამ ფულს შოვნა სჭირდებოდა. „აზრი ჩემი, ფული თქვენი" — გამოაცხადა კინგმა და ერთმა კლივლენდელმა მილიარდერმა კარლო ლომბარდომ თანხმობაც თქვა, ჰონორარის ფულს მე გავიღებო. კინგმა ჰოლივუდში ატეხა სირბილი ბობოლა სტუდიებში, ამ დიდი ბრძოლის შოუდ გადაქცევა თქვენს თავზე აიღეთო, მაგრამ კაპიკიც კი ვერავის გააღებინა. განზე დადგა განთქმული ინგლისური ტოტალიზატორი „ლედბროკიც". რატომ მოხდა ასე? ამის გამო დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. მთავარი კი ისაა, რომ ამის შემხედვარე ლომბარდო შეშინდა და კინგს უთხრა, ჩემი ფული მიმაქვსო.

მაგრამ კინგი ის კაცი არ არის, ყურები ჩამოეყარა. ბოლოს და ბოლოს, ოთხი წლის განმავლობაში ციხიდან ხელმძღვანელობდა ერთ ტოტალიზატორს. სპონსორი და ფინანსისტი კი ისეთი იშოვნა, რომ ყველას თმები დაუდგა ყალყზე. კინგმა ციურიხელი ფინანსისტები შეკერა. შვეიცარიის ბანკები! მეტი რაღა გინდა!

ფულმა ბევრი იმოგზაურა ალმაცერ ფირმებში და ბოლოს ჩიკაგოს ერთ-ერთ ბანკში დაჯდა საიდუმლო ანგარიშზე. შვეიცარიელმა ბანკირებმა არათუ ჰონორარი, შოუც უზრუნველჰყვეს და არც წაუგიათ.

კინგმა ავანსი გაუგზავნა მოკრივეებს და დიდი ბრძოლისთვის დაიწყო მზადება.

ახლა ადგილი იყო შესარჩევი.

დონი შვეიცარიელებს, „რასნელია ინვესტიმენტის" ხალხს უსმენდა.

### კინშასა

სად, სად უნდა გაიმართოს უდიდესი საკრივო ორთაბრძოლა?

რა თქმა უნდა, ნიუ იორკში, „მედისონ სკვერ გარდენში", მრავლისმნახველ ისტორიულ ალაგას, სადაც ყოველივე კრივით სუნთქავს. ეს ასეა, მაგრამ... ეშმაკმა დალახვროს, ნიუ იორკში ძალიან დიდი გადასახადებია. ჰონორარი კი იმხელაა, რომ კაცს მისი ნახევრის გამეტება გაუჭირდება. პრომოუტერსაც ერთიორად უძვირდება ყველაფერი და ვინ იცის, ეგებ დაენგრეს კიდეც ეს მისხალ-მისხალ ნაშენი საქმე.

კინგი მსოფლიოს რუკაზე დაატარებს თითს და ფიქრობს, იდეა კი კვლავ ციურიხიდან წამოვიდა.

აფრიკა! შავი აფრიკა! ორი ზანგი აფრიკაში შეეჭიდება ერთმანეთს! ასეთი რამ არც მანამდე მომხდარა და არც ამის შემდეგ მოხდება! ხმაური გარანტირებულია, [illegible]ება გარანტირებულია!

ქვეყნად ზა[illegible]რჩეული, ქალაქად ორმილიონიანი კინშასა. [illegible]ის ქვეყანაა, „რასნელია" რომ ბლომად ინვ[illegible]ციებს შედის და ამიტომ ყველა საეჭვო კითხვ[illegible] მოხსნილია.

კინგი და ციურიხელი მეფულეები თვალის დახამხამებაში აფორმებენ კონტრაქტებს: გრანდიოზული ტურისტული წარმოდგენა მზადდება. თუკი ვინმეს ბრძოლის საცქერლად უნდა წასვლა, აუცილებლად „პანამერიკენის" რეისით უნდა იფრინოს. ცხოვრებასა და კვებას მხოლოდ „ინტერკონტინენტალი" გაუძღვება. კინშასაში, ამ უზარმაზარ და მოუწყობელ ქალაქში პატარა ამერიკა შენდება. ოკეანის გაღმიდან მოფრინავს 27 ათასი კოლოფი ჩაი, 36 ათასი შეკვრა წვენიანის კონცენტრატი, 100 ათასი ტუბი მდოგვი, 15 ათასი რულონი საპირფარეშო ქაღალდი და აუწერელი რაოდენობის ტურისტული კერძები. კინგის სარეკლამო კამპანიაში ჩართულნი არიან არეტა ფრანკლინი, ჯეიმს ბრაუნი, სტივ უონდერი.

საზანგეთი საზანგეთში!

ზაირის ეშმაკი დიქტატორი მობუტუ სესე სეკო გახარებული იყო და აცხადებდა, ნახეთ, როგორი საჩუქარი მივუძღვენი ჩემს ხალხსო. ამასობაში კი კინგი და ციურიხელი ბიძები საფეხბურთო სტადიონს აშენებდნენ. ადგილების რაოდენობა 120 ათასამდე გაიზარდა, 6 ათასი ამათგანი კი საგანგებო და ვიპებისთვის განკუთვნილი იყო. გადაკეთდა ნ'გილის აეროპორტი, შეკეთდა სასტუმროები, საერთო საცხოვრებლები და სამხედრო ბაზები, რომლებიც ჯსევე ტურისტებისთვის იყო განკუთვნილი. ზაირმა პირდაპირი ტელერეპორტაჟისთვის კინოთეატრებში ახალი თანამგზავრული სისტემა მიიღო და 70 ქვეყანას დაუკავშირდა (ადრე მხოლოდ ერთი ჰქონდა).

ალი და ფორმენი კინშასაში ჩავიდნენ თავიანთი 34-34-კაციანი ამალებით და სარეკლამო კამპანიაში ჩაერთნენ. ალი მთლად გადაირია, ფორმენის ლანძღვა ლანძღვად, მაგრამ თავის საერთაშორისო ტელეგამოსვლებში ერთი ამბავი დაატრიალა, იმდენი ილაპარაკა აფრიკელ მეომრებზე, სამოქალაქო ომსა და კანიბალებზე, რომ კინგმა თავში შემოირტყა ხელი, ამ გიჟმაჟმა ტურისტები არ შემიშინოსო. ალი გააფრთხილეს და ეს საქმეც მოგვარდა, ოღონდ ეგ იყო, რომ ყაზარმებში ცხელი წყალი არ იყო და ტურისტთა დიდ ნაწილს ტანის ბანა უჩვეულოდ მოუხდებოდა.

აფრიკა! აფრიკა!

მოკრივენი გამალებით ემზადებოდნენ, მითუმეტეს, რომ უკვე დანიშნული იყო ბრძოლის თარიღი.

### 25 სექტემბერი

დიადი ჯახის თარიღად იმთავითვე გამოცხადდა 25 სექტემბერი. ბრძოლის დროდ გვიანი ღამე, უფრო კი, ნაშუაღამევი, 03 საათი. ორივენი ფორმენიცა და ალიც გამალებით ემზადებოდნენ. მაგრამ მოხდა ის, რაც საკმაოდ ხშირად ხდება: ვარჯიშისას ფორმენი დაშავდა.

20 სექტემბერს ფორმენის ბანაკიდან ამბავი მოვიდა: 34 წლის სპარინგ პარტნიორმა ბილ მაკმიურიმ მსოფლიოს ჩემპიონს წარბი გაუხეთქა იდაყვის კვრით. ექიმებმა ორსანტიმეტრიან ჭრილობას დახედეს და თქვეს, ფორმენი ერთ თვეს ვერ იჩხუბებსო.

აი, სკანდალი!

ალიმ, ჩვეულებრივ, დაცინვა დაიწყო:

— მე ვიცოდი, რომ მას წარბი გაუსკდებოდა. შეუძლებელი იყო, ასე არ დამართნოდა. სამი მილიონი გადამიხადოს და წავიდეს თავის გზაზე. მისი კრივი დამთავრებულია.

კინგი კინაღამ გადაირია. მილიონობით ფული ქარს მიჰქონდა. დონი წინააღმდეგი იყო ჩხუბის გადადების. საერთოდ, ყველა წინააღმდეგი იყო, მაგრამ ფორმენის მწვრთნელმა დიკ სედლერმა თავისი გაიტანა. ფინანსური პრობლემები ასე თუ ისე მოგვარდა და მოკრივენი კინშასაში დარჩნენ.

ჩხუბი ოქტომბრის ბოლოსთვის გამოცხადდა. ამან კი დიდად გაანაწყენა პრეზიდენტი მობუტუ, ასე გამოდის, რომ ჩემს ხალხს ვატყუებო. ეს ამერიკელები დიდი მშიშარა ხალხი ყოფილხართ, მიკერემოკერე და გამოუშვი რინგზე, აბა, ორსანტიმეტრიანი ჭრილობის მოშუშებას ერთ თვეს რატომ უნდა ველოდოთო.

მაგრამ ჭრილობა არავის მიუკერ-მოუკერია, ექიმებმა თქვეს, ასჯერ უკეთესია ბუნებრივად შეხორცდესო.

ასე გადაიდო ჩხუბი.

### ალის აზრები

მუჰამედ ალის კი, ამ სწორუპოვარ მოლაყბესა და შოუმენს დრო მიეცა. ისიც ადგა და გუდას მოხსნა პირი. საინტერესო ის იყო, რომ ალი გამაღიზიანებლად კი ლაპარაკობდა, მაგრამ სწორად ჰქონდა შეცნობილი ორთაბრძოლის არსი. რა ვუყოთ, რომ მისი შეხედულება ტრაბახის კორიანტელში იკარგებოდა?

ალი ამბობდა:

„ფორმენი სპილოა, მე — ქურციკი. სპილოს შეუძლია გაჭყლიტოს ქურციკი, მაგრამ საქმეც ეგაა, რომ ვერასოდეს იჭერს მას. დასდევს, დასდევს და არაქათგამოცლილი ეცემა. ესე იგი, ქურციკი იმარჯვებს. ბრძოლის პირველი სამი რაუნდი ძალიან ძნელი იქნება ჩემთვის. ბოლო სამი — ფორმენისთვის. მისი მიზანი ჩემი ხელში მოგდებაა. ჩემი მიზანი მისი დაღლა. სპილოს არასოდეს დაუჭერია ქურციკი. აქ ჩემი უკანასკნელი ბრძოლაა და ამიტომ ვამბობ, კინშასაში რომ მოვფრინავდი, ამცრეს. ის აცრები უფრო მტკივნეულია, ვიდრე ფორმენის დარტყმები. მე შემიძლია, პირველსავე რაუნდში დავაგდო ჯორჯი. ისე კი, მხიარულება მეშვიდე რაუნდში შეწყდება. მე მის გარშემო ვიფარფატებ და დარტყმებითა და მოძრაობით გამოვაშტერებ. ბოლოს ეგებ ნოკაუტიც იყოს, რადგან ის დაიღლება. რომც არ იყოს ნოკაუტი, ქულებით ვაჯობებ. ეგეთი კაცი თხუთმეტ რაუნდს ვერ იჩხუბებს".

ჩემპიონის მწვრთნელი სედლერი კი პასუხობდა:

„საქმე ის არ არის, იჩხუბებს თუ არა ფორმენი თხუთმეტ რაუნდს. საქმე ისაა, რამდენ რაუნდს გაძლებს ალი?"

ასე დაიწყო. 30 ოქტომბერი. კინშასას საფეხბურთო სტადიონი, ღამით, უფრო კი გამთენიისას.

დასასრულს მომდევნო ფურცელზე იხილავთ



ასეთი იყო ჯორჯ ფორმენი

დასაწყისი პირველ გვერდზე

„კრასნოიარსკიდან 3 თებერვალს დავბრუნდი, 5-ში კი ჩემპიონატი დაიწყო. დაღლილი ვარ და დასვენება გადავწყვიტე, თანაც ვთვლი, რომ საევროპისჩემპიონატო მზადებაში ეს ტურნირი არ წამადგება. დიდი პატივს ვცემ ჩემს ქომაგებსა და ჭიდაობის მოყვარულთ, მესმის, რომ მათ ჩემი ჭიდაობის ცქერა სურთ, მაგრამ მოჯობს, ამჯერად გავაწბილო ისინი, რათა სამომავლოდ უკეთესი საჩუქარი — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის მედლები ვუძღვნა." — მითხრა დათო პოლოსიანმა და დასძინა, დღევანდელ კვერცხს სახვალიო დედალი მირჩევნიაო.

კი ბედინეიშვილის ბრალი იყო, რომელმაც მეტად აქტიურად იჭიდავა, 6 ქულა აართვა მეტოქეს და ერთიც არ დაუთმო. ემზარის გამარჯვება უთუოდ სასიხარულოა, რადგან ეს ბიჭი მთელი წელი ტრავმებმა გატანჯა, ხერხემალი ძლივს მოირჩინა, რომ ვახტანგ ბალავაძის ტურნირის წინ ტვინის შერყევა მიიღო. როგორც იქნა, განიკურნა და დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია. 22 წლის ახალგაზრდას კი გეგმები მართლაც სერიოზული აქვს. „ათი თვეა, რაც არც ერთ ტურნირში არ მიასპარეზია, ამიტომ ამ გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჯერ ერთი, ჩემს ძალაში საკუთარი თავიც და სხვებიც დავარწმუნე და, მეოხმამაღლა აძლევს შენიშვნებს, უსწორებს, ასწავლის, მიუთითებს... ახლა კი მძიმეწონოსანთა ფინალურ ორთაბრძოლას ნოდარ მოდებაძის ომახიანი შეძახილები არ ახლდა: ფინალში მისი ვაჟები ალექსი და არჩილი შეხვდნენ ერთმანეთს. აბა, როგორია, შვილთაგან რომელიმე გამოარჩიო...

ამ შეხვედრას, ალბათ, აკლდა ის, სპორტულ ჟინს რომ უწოდებენ, რადგან ღვიძლი ძმები მართლაც არ გაიმეტებდნენ ერთმანეთს. თანაც, არც ერთია დამწყები მოჭიდავე და თავიანთი ასაკის შესაფერის ტიტულებსაც არ მოისაკლისებენ. თუმცა, არჩილ მოდებაძემ მაინც ეს მითხრა, თავი არ დაგვიზოგავს, ვიჭიდავეთ,

# კურტანიძეს და პოლოსიანს თავი ქუდში აქვთ სხვებს კი ჭიდაობა მოუწევთ

ტყუილი დაპირებები არ უყვარს დათოს. მკითხველს კი შევახსენებ: პოლოსიანმა არც შარშანდელ საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზა. სამაგიეროდ, ევროპის ჩემპიონატიდან ოქროს მედლით დაბრუნდა. ღმერთმა ქნას, წელსაც ასე მომხდარიყოს.

ორგანიზატორებმა ცდა არ დააკლეს, რომ ტურნირი მაღალ დონეზე გამართულიყო და აკი ასეც მოხდა, რაც შეეხება ჩემპიონატის სპორტულ დონეს, სატრაბახო არაფერი გვაქვს. რა გასაკვირია — როგორიც ცხოვრებაა, ჩვენი ჭიდაობაც ისეთია, თუმცა, ფალავნებმა თითო-ოროლა ისეთი ორთაბრძოლა გამართეს, ნებისმიერი რანგის ტურნირს დაამშვენებდა. ახლა კი თანმიმდევრულად მივყვეთ ფინალურ ორთაბრძოლებს.

*54 კგ.* ამ წონაში ჩვენი მოჭიდავეების ლიდერი დღემდე ქუთაისელი გოჩა კირკიტაძე იყო. შერჩება თუ იგი ნაკრებს, ამას მწვრთნელები გადაწყვეტენ, მაგრამ, ფაქტია, გოჩა ფინალში გასასვლელ შეხვედრაში გორელ გიორგი გაგიშვილთან დამარცხდა, მესამე ადგილს დასჯერდა და ეს სამომავლოდ უთუოდ პრობლემებს შეუქმნის ნაკრებში დამკვიდრებაში. ფინალში გაგიშვილს თანაქალაქელი შალვა მუზიაშვილი დახვდა. ბრძოლა მეტად დაძაბული და ილეთმრავალი გამოდგა, ოღონდ ხანმოკლე: წუთნახევარში გაგიშვილმა წმინდა გამარჯვება მოიპოვა და ოქროს მედლის პირველი მფლობელი გახდა.

რეც, საევროპისჩემპიონატოდ დიდად წამადგება საქართველოს პირველობაზე ასპარეზობა. იქამდე შორია, წავალ თუ არა ჩემპიონატზე, ვნახოთ, ამას მწვრთნელები გადაწყვეტენ, მე კი იმედს მაინც არ ვკარგავ. ევროპაზე ხუთეულში რომ მოვხვდე, კარგია, რადგან ამდენი ხნის უვარჯიშებელი მეტს იქნებ ვერც შევწვდე, ისე, არ გამოვრიცხავ, რომ მედლით დავბრუნდე." ემზარ ბედინეიშვილის ნიჭსა და შრომისმოყვარეობაზე ბევრი მსმენია, თავადაც დავრწმუნდი მის შესაძლებლობაში, მაგრამ ამ ბიჭს უიღბლობა მუდამ სდევს და ამიტომაც დიდი ჩემპიონატების მედალი დღემდე ვერ მოიხელთა. იმედია, წელს მაინც აინაზღაურებს დაკარგულის ნაწილს.

*76 კგ.* ალეკო კახნიაშვილმა შემტევი სტილი ირჩია მიხეილ ხურციძის დასამარცხებლად და კიდეც გაუმართლა. მართალია, დიდად არ გაურისკავს, მაგრამ თითო-თითო ქულა აგროვა და ძირითად დროში გასამარჯვებლად საკმაო 3 ქულაც მოაგროვა. ხურციძემ შეხვედრის მიწურულსღა შეძლო ერთი ქულის მოგება და შეხვედრაც ასე დასრულდა — 3:1 კახნიაშვილის სასარგებლოდ.

*85 კგ.* ამ წონის ფინალური შეხვედრა მეტად სწრაფი და ლამაზი გამოდგა. გოჩა ჩიხრაძესა და ზვიად ბიძიშვილს თავი არ დაუზოგავთ და მაყურებელიც ასიამოვნეს. ფავორიტად ჩიხრაძე ითვლებოდა და აკი გაიმარჯვა კიდეც: ორ წუთში ორი ქულა აართვა მეტოქეს, არც შემდეგ გაჩერებულა, ორს ორი მიუმატა, ბიძიშვილს კი მხოლოდ ერთი დაუთმო. ორთაბრძოლის მიწურულს ზვიადს შეხვედრის გადარჩენის მინიმალური შანსი მიეცა, მაგრამ ჩოქბჯენიდან სამქულიანზე ჩიხრაძის დატრიალება იოლი საქმე როდია და შეხვედრაც ასე დასრულდა — 4:1 გაიმარჯვა გოჩა ჩიხრაძემ.

როგორც მეტოქეებმა და არა როგორც ძმებმაო. ისე კი, ხალიჩაზეც არ დაგვივიწყებია, ძმები რომ ვიყავითო. ძმათა ჭიდილში არჩილ მოდებაძემ იმარჯვა — 3:1 და ჩემპიონატის ყველაზე პრესტიჟული წონის გამარჯვებულიც გახდა.

ამ ჩემპიონატმა, ტრადიციულად, ბევრი სიახლე შემოგვთავაზა, უმთავრესი თავსატეხი კი, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს **ზაზა თურმანიძეს** გასჩენია. საევროპისჩემპიონატო გუნდის დაკომპლექტებაში ეს ჩემპიონატი ბევრ რამეს შეცვლის.

**— ზაზა, ჩვენს და უცხოელ ფალავნებს ხომ არ შეადარებდი?**

— მოდი, ევროპულ და მსოფლიოს დონეს დროებით თავი დავანებოთ და ჩვენი ფალავნები თავიანთ წინამორბედებს შევადაროთ. ფაქტია, აშკარად ჩამორჩებიან ძველებს, მათი ოსტატობა და ტიტულები ახლოსაც ვერ მივა იმ მქუხარე სახელებთან, ჩვენი ჭიდაობის წარსული რომ ჰქვია. ეს არც მწვრთნელთა ბრალია და ახლანდელ თაობასაც უნიჭობას ვერ დავაბრალებთ. ამის მიზეზი ქვეყანაში არსებული სიდუხჭირეა, ის პრობლემები, რაც ზოგადად ქართულ სპორტს და, კერძოდ, ჩვენს ჭიდაობას გააჩნია.

**— გოჩა კირკიტაძე თავის წონაში პირველი იყო. მისმა დღევანდელმა მარცხმა რაიმე თუ შეცვალა?**

— გოჩამ სადავო შეხვედრა დათმო გიორგი გაგიშვილთან. ძლიერი მოჭიდავეა და ეს არაერთხელ დაუმტკიცებია. საერთოდ, ორი წონის გარდა, მოჭიდავეებს ნაკრებში დამკვიდრების ერთნაირი შანსი აქვთ.

**— ამ ორში, ალბათ, 58 და 97 კილოს გულისხმობ.**

— რა თქმა უნდა, დათო პოლოსიანსა და ელდარ კურტანიძეს განაღდებული აქვთ ნაკრებში ადგილი და ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა. ისინი მთელი თავით მაღლა დგანან თავიანთ კონკურენტებზე. დანარჩენ წონებში კი, ვიმეორებ, ყველას აქვს ნაკრებში მოხვედრის შესაძლებლობა.

**— უფრო კონკრეტულად?**

— დღევანდელი ჩემპიონატიც ერთ-ერთი შანსი იყო ნაკრებში დასამკვიდრებლად და თავად ნახე, ვინ როგორ გამოიყენა იგი. წინ მინიმუმ ორი ტურნირია — 13 თებერვალს ირანს ვეწვევით, თვის ბოლოს კი თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზებთ. აქ გამოვცდი ბიჭებს, შეკრებებზეც ბევრს ახლებურად შევხედავ და მერეღა გადავწყვეტ, ვინ წავიყვანო ევროპის ჩემპიონატზე.

**— ემზარ ბედინეიშვილი სამჯერ ზედიზედ გახდა საქართველოს ჩემპიონი და ფინალში სამჯერვე დამაჯერებლად სძლია დათო გაგიშვილს. ეს ბოლო, მესამე გამარჯვება ხომ არ ნიშნავს, რომ ემზარმა ნაკრებში მოიკიდა ფეხი?**

— ემზარ ბედინეიშვილი ტრავმებმა არ მოასვენა და ამის გამო მან ბევრი დაკარგა. თითქმის წელიწადია, არ უჭიდავია, ამიტომ გასახარია მისი წარმატება, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ბიჭია და უკვე დროა, თქვას თავისი სათქმელი. მას კვლავაც გამოვცდი, ტურნირებზეც ვაჭიდავებ და მერე ამ წონაშიც გავარკვევ ყველაფერს.



[illegible] ფოტო

ედუარდ ბოჭორიშვილისა და გოჩა გვრიტიშვილის ჭიდილის ეპიზოდი

*58 კგ.* დათო პოლოსიანს, თუნდაც გადაღლილს რომ ესპარეზა, ცხადია, სხვაგვარ ფინალს ვიხილავდით და ჩემპიონის ვინაობაც წინდაწინ გვეცოდინებოდა, მაგრამ რაკი ასე არ მოხდა, ფინალს ოთარ თუშიშვილმა და გიორგი ირემაძემ უწიეს. მეორე ოქროც გორელმა ირგუნა: თუშიშვილმა ქულა არ დაუთმო მეტოქეს, თავად ოთხი გაახერხა და გამარჯვებისთვის ძირითადი დრო იკმარა.

*63 კგ.* ირაკლი შველიძისა და კახა დობორჯგინიძის შერკინება ერთ-ერთი საინტერესო და დაძაბული იყო ამ ტურნირზე. ბიჭებს ძირითადი დრო არ ეყოთ საქმის გასარკვევად, კახამ 2 ქულის აღება მოახერხა 5 წუთში, ირაკლიმ — მხოლოდ 1-ის. დამატებითი სამი წუთი კი მართლაც საინტერესოდ წარიმართა: შველიძემ კი გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ მეტი ველარ შეძლო — გამარჯვებისთვის საჭირო მესამე ქულა კახა დობორჯგინიძემ მოიპოვა და ჩემპიონიც გახდა.

*69 კგ.* ჩინებული მწვრთნელისა და ჭიდაობის უებრო მცოდნის, გორელი ნუგზარ სხიერელის აღზრდილთაგან ხუთმა იჭიდავა ფინალში და მათგან სამი ჩემპიონი გახდა. ამ წონაში გიორგი გაგიშვილის ძმა, დათო და თბილისელი ემზარ ბედინეიშვილი შეებრძოლნენ ერთმანეთს. ძმის დარად ვერ იყოჩაღა დათომ და მხოლოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა, ეს

*97 კგ.* პოლოსიანისა არ იყოს, აქაც ელდარ კურტანიძეს რომ ესპარეზა, შარშანდელივით, ალბათ, ქულას არ დაკარგავდა და ისე გახდებოდა ჩემპიონი, მაგრამ რაკი ელდარი მისთვის უფრო მნიშვნელოვან საქმეს შესჭიდებია, ჩემპიონატის ფინალში მაყურებლებმა დათო ოთიაშვილი და შალვა ბილანიშვილი იხილეს. ოთიაშვილის უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო, პირველი ქულაც მან მოიპოვა და შეხვედრაც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. ოსტატობისა და აქტიურობის წყალობით დაამარცხა მეტოქე — 4:1.

*მძიმე.* წარსულში ცნობილი მოჭიდავის ნოდარ მოდებაძის ორი ვაჟი მამის კვალს გაჰყვა და მოჭიდავეობა ირჩიეს. ხშირად მინახავს, როცა ალექსი ან არჩილ მოდებაძეები ასპარეზობენ, ხალიჩის კუთხეში მდგომი ბატონი ნოდარი ემოციებს ძლივს იოკებს, თავის პირმშოებს

არაერთი საქმის მოგვარება ელით ზაზა თურმანიძეს, ნაკრების სხვა მწვრთნელებს და ჭიდაობის ფედერაციის თავკაცებს. იმედია, ამ პრობლემებს თავს გაართმევენ, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ქართველ ფალავნებსა და მათ მოამაგეთ სამომავლო გამარჯვებები ვუსურვოთ.

**ლევან ჯავახიშვილი**



გიორგი გაგიშვილი



ოთარ თუშიშვილი



კახა დობორჯგინიძე



ემზარ ბედინეიშვილი



ალეკო კახნიაშვილი



გოჩა ჩიხრაძე



დათო ოთიაშვილი



არჩილ მოდებაძე

54 კგ. 1. გიორგი გაგიშვილი; 2. შალვა მუზიაშვილი (ორივე — გორი); 3. გოჩა კირკიტაძე (ქუთაისი)

58 კგ. 1. ოთარ თუშიშვილი (გორი); 2. გიორგი ირემაძე (ქუთაისი); 3. გიორგი იანტბელიძე (თბილისი)

63 კგ. 1. კახა დობორჯგინიძე (თბილისი); 2. ირაკლი შველიძე (ყვარელი); 3. გოდერძი ხარებავა (სოხუმი)

69 კგ. 1. ემზარ ბედინეიშვილი (თბილისი); 2. დათო გაგიშვილი (გორი); 3. ზურაბ სახვაძე (თბილისი)

76 კგ. 1. ალეკო კახნიაშვილი (თბილისი); 2. მიხეილ ხურციძე (ვანი); 3. რეზო მინდორაშვილი (თბილისი)

85 კგ. 1. გოჩა ჩიხრაძე (გორი); 2. ზვიად ბიძიშვილი (თბილისი); 3. ზაზა ნოზაძე (თბილისი)

97 კგ. 1. დათო ოთიაშვილი (თბილისი); 2. შალვა ბილანიშვილი (ყვარელი); 3. ზაზა გოგიაშვილი (თბილისი)

მძიმე. 1. არჩილ მოდებაძე; 2. ალექსი მოდებაძე (ორივე — თბილისი); 3. ლევან ცაგურია (სოხუმი)

გუნდური

1. თბილისი; 2. გორი; 3. ქუთაისი

საკლუბო პირველობა

1. „მართვე"; 2. „შევარდენი"; 3. არმიის სპორტკლუბი




# ჭინქლი დღესვე გაირკვეს

გასრულდა გულისგამაწვრილებელი ლოდინი. შობა-ახალ წელს ნაბახუსევ და ქისა-დაცლილ ბრიტანელ ქომაგებს უწინ გაგანია იანვარში ხუთი ერის პირველობა ევლინებოდათ მხსნელად, მაგრამ საყოველთაო პროგრესის ამბავი ხომ მოგეხსენებათ და რაგბის სამყაროს სიამაყე და თვალ-მარგალიტი შეჯიბრი წლევანდლიდან თებერვალშიღა დაიწყება. მოკლედ, დოსტებით გუდა-ნაბადის აკვრა და რჩეულ მორაგბეთა მხარდასაჭერადა და ისევ და ისევ საქეიფოდ მეზობელ ქვეყანაში უიკ-ენდზე წაბრძანება ამიერიდან ცოტა მოგვიანებით მოუწევს რაგბზე გამოზრდილ საზოგადოებას, თუმც არა გვგონია, რომ ამით ხუთი ერის პირველობის სოციალურ ღირებულებას რამე დააკლდეს.

დიახ, ბოლო ათწლეულია შარავანდედით მოცული „ხუთი ერი" სპორტულზე მეტად საზოგადოებრივი ფენომენია. სამხრეთი ნახევარსფეროს ქვეყნებმა პროფესიონალიზმი ჩრდილოელებზე უცებ და უკეთ შეითვისეს. რაგბის მომგონთ იმდენადაც გაუსწრეს როგორც თამაშის დონით, ისე რაგბის მარჯვე მარკეტინგით, რომ „ხუთი ერი" დღესდღეობით ყოველმხრივ ჩამორჩება ახალი ზელანდია — სამხრეთი აფრიკა — ავსტრალიის ნაკრებთა „სამეულის სერიალს" და რეგიონთა ზე-12-ს. რაგბში ძირისძირამდე გაუთვითცნობიერებული მკითხველისთვის აქ შევნიშნავთ, რომ ზე-12 კალათბურთის ნბა-ისა და ფეხბურთის ევროპის ჩემპიონთა ლიგის ბადალია, „ხუთი ერი" ფეხბურთის „კოპა ამერიკისა" და კალათბურთის ევროპის პირველობის დონეზეღაა, „სამეულის" რანგის შეჯიბრი კი ვერარა ბურთაობას ჯერაც ვერ მოეძევება.

„ხუთი ერის" წამურდლვას თვით ბრიტებიც ალიარებენ. აკი ინგლისის ნაკრების ახალ მოძღვარ კლაივ ვუდვორდს უთქვამს, სამხრეთ ნახევარსფეროსთან ჩვენი ჩამორჩენა სინათლის წლებით იზომებაო. მედიაც ხომ სულ ამ აზრზე დგას. „ფრანს-პრესმა" მოსწრებულად შენიშნა, ჩრდილოელები ერთმანეთის ძალაზე იმით მსჯელობენ, თუ რამხელა სხვაობით წააგეს სამხრეთელებთანო. მას კვერს უკრავენ ლონდონის „ტაიმზისა" და „ტელეგრაფის" ბობოლა მწერლებიც, ვითაც ტურნირის ოდინდელი დიდების აღდგენის ორად-ორი გზა ესახებათ: ერთი, რომ XXI საუკუნეში ევროპის ანაც ჩრდილოეთი ნახევარსფეროს პირველობად გადაიქცეს და მეორეც, რომ კელტური ქვეყნები ისევ მომძლავრდნენ და ინგლისსა და საფრანგეთს ძველებურად გაეჯიბრონ.

ახლა კი რა გამოდის: 90-იან წლებში უელსმა, შოტლანდიამ და ირლანდიამ ინგლისს 24 შებმიდან ოდენ ოთხი (!) მოუგეს. შარშან პომებმა სამივე კელტი მეტოქე საზარელი ანგარიშით მოსრეს. ახლა ინგლისის ცვედან მეზობლებს ხელი იტალიამაც შეაჩვია: ამ ზამთარს უკვე ძლია ირლანდია და შოტლანდია, უელსს კი დღეს ეთამაშება სტუმრად, ჰლანეჰლის „სტრადი პარკზე". ამ მატჩის შედეგი ცხრილში კვლავაც არ ჩაითვლება, რაკი იტალია 2000 წლიდან ჩაებმება „ექვს ერში", რაგბის მამებზე ნოვატორი ბრიტი ჟურნალისტები კი სერიოზულად წერენ ევროპის პირველობის II ლიგაზე, რომელშიც რუმინეთი, საქართველო, ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია და გერმანია უნდა გაერთიანდნენ.



მორაგბეები „სტად-ფრანსის" შედევრობას რაში აქნევენ, თუ ზედ ვერ წაიბურთავეს

ეს სამომავლოდ, ახლა კი მორიგი „ხუთი ერის" სტარტზე შექმნილი ვითარება მიმოვიხილოთ. შარშან ჩემპიონი საფრანგეთი გახდა. „მამლები" 1 მარტს ტვიკნემში ინგლისთან უიმედოდ აგებდნენ 6:20, მაგრამ დასკვნით მეოთხედში სასწაული მოახერხეს და 23:20 გაიმარჯვეს. საფრანგეთმა პირველობა „დიდი სლემით" (ქულის დაუკარგავად) ჩაამთავრა.

მერე მოხდა აი რა: საფრანგეთმა ივნისში ორივე ტესტი წააგო ავსტრალიაში, ნოემბერში კი შინ ორჯერ დამარცხდა სამხრეთ აფრიკასთან. პარიზის „პარკ-დეპრენსთან" გამოსათხოვარ მატჩში ნაწვნევი 10:52 გვემა გალებმა ვერ გადაიტანეს და გუნდი გადაიხალისეს. ამაზე თქვა ზემოთხსენებულმა ვუდვორდმა, აფრიკამ მთავარი მეტოქე რომ დაგვინგრია, საქმე გაგვიფუჭა, რადგან ფრანგები გონზე მოვლენ და ახალ გუნდს დააყენებენო.

მართლაც, „მამლების" უფროსობამ: ჟო მაზომ, ჟანკლოდ სკრელამ და პიერ ვილპრემ შერცხვენილი შემადგენლობის ნახევარი დაითხოვეს. კაპიტნად დაინიშნა სათადარიგო კვაჰი რაფაელ იბანესი; 8 ნომრად ფრიადი მობურთალი და მოშვიდკაცე თომა ლივრმონი დააყენეს; 9 ნომრად აღადგინეს უწესო ფილიპ კარბონო, 10-ად „პატარა უფლისწული" თომა კასტენიედი; ერთ გარემარბად ზორბა ფილიპ ბერნა-სალი იხმეს, მეორედ კი სრულიად ახალბედა კრისტოფ დომინისი. სამაგიეროდ, გუნდში აღარ არიან ინგლისის პირველობაზე მოგლახავე ბებრები: ლაკრუა, სანტ-ანდრე, კაბანი და არც შინ დარჩენილი არაბი ექს-კაპიტანი ბენაზი. და კიდევ, ვეება და ზანტი მეორეხაზელი მერლი.

ფრანგების პირველი მეტოქე ინგლისია. თითქმის უდაოა, რომ ამ თამაშის გამარჯვებული ჩემპიონი გახდება. თუ მართლაც ასე მოხდა, მერე რაღას უყუროს გულშემატკივარმა? ჰოდა, „ტელეგრაფი" იმაზე ოცნებობს, რომ ხელი გამოილოს მომავალი მსოფლიო თასის მასპინძელმა უელსმაც, წელს ლონდონში, ფეხბურთის ტაძარ „უემბლიზე" რომ მართავს საშინაო შეხვედრებს, სამმა გუნდმა ქულები ტოლად დააგროვოს და ჩემპიონი ბურთების სხვაობით გამოვლინდეს. ერთი კია, გაზეთი შენიშნავს, ეს სათქმელადაა იოლი, მოსახდენად კი ძნელიო.

ირლანდიასა და შოტლანდიას აინუნშიც კი არავინ აგდებს. შოტლანდიამ იტალიასთან წაგების შემდეგ გადააყენა მწვრთნელი რიჩი დიკსონი, გუნდი კი ჩააბარა რაგბის კავშირის მწვრთნელთა გადიას, ბებერ ჯიმ ტელფერს. მას კვლავაც მიეხმარება იენ მაკგიკანი. შარშან ორივემ უსარდლა იმ „ლომებს", XX საუკუნეში ოდენ მეორედ რომ მოიგეს ტესტ-სერია სამხრეთ აფრიკაში.

### წლევანდელი განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 7.02 | სტად-ფრანსი | საფრანგეთი — ინგლისი |
| | ლენზდაუნ როუდი | ირლანდია — შოტლანდია |
| 21.02 | მარიფილდი | შოტლანდია — საფრანგეთი |
| | ტვიკნემი | ინგლისი — უელსი |
| 7.03 | უემბლი | უელსი — შოტლანდია |
| | სტად-ფრანსი | საფრანგეთი — ირლანდია |
| 21.03 | ლენზდაუნ როუდი | ირლანდია — უელსი |
| 22.03 | მარიფილდი | შოტლანდია — ინგლისი |
| 4.04 | ტვიკნემი | ინგლისი — ირლანდია |
| 5.04 | უემბლი | უელსი — საფრანგეთი |

ტელფერის ბიჭებს დღეს დუბლინში ძნელი თამაში ელით. ირლანდიას მაყურებელთა ფრიადი იმედი აქვს, რადგან საქმეში თვით „გინესია" ჩარეული. ფირმას დაუსპონსორებია ღონისძიება, მოსეირეთათვის 15 ათასი (!!) მეგაფონი დაურიგებია და სარეკორდოდ ხმამაღალი ღრიალის დაფიქსირებასაც აპირებს, რათა მერე თავის ცნობილ წიგნში შეიტანოს.

ნაკლები ქომაგობა არც პარიზშია მოსალოდნელი. იქ რაგბი პირველად იმართება კვირანახევრის წინ გახსნილ 80-ათასა „სტად-ფრანსზე", რომლის აგებაც 445 მილიონი US$ დაჯდა, მაგრამ მოედანს მიწისქვეშა გათბობა არა აქვს, ბალახმა ნაადრევად რომ არ იხაროს და ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის არ დაბერდეს.

ბოლო კვირაა, პარიზში თერმომეტრის სინდიყი ნულს ქვემოთ ჩასულა. მოიყინა ერის საამაყო სტადიონის მოედანიც. მისმა პატრონმა დახმარება საფრანგეთის რაგბის ფედერაციას თხოვა, ამან კი ინგლისიდან იხმო – კრიკეტის ოვალთა მოვლაში დაოსტატებული ფირმა, რომელმაც მოედანი საგანგებო შალითით დაფარა და მის ქვეშ თბილი ჰაერის ჰავლი მიუშვა. მოედანი გუშინწინ გალღვა და გუნდებმაც ზედ წაივარჯიშეს.

ინგლისი ვერსალში ჩამომხდარა. პირველი წვრთნაც იქ გამართა. ვუდვორდმა ზელანდიასთან 26:26 ფრეს მიმღწევი გუნდი სულ ოდნავ შეცვალა. რაკი მოკეთდა მულატი შუამარბი ჯერემი გასკოტი და ერთი კვირის წინ ევროპის თასის ფინალშიც რიგიანად ითამაშა, 12 ნომრად დეგლენვილის ნაცვლად იგი დააყენეს. კარგა ხანია მოჰბობინდა მაიკ კეტიც. 10 ნომრად ზელანდიასთან გრეისონმა ისახელა თავი. კეტი ამ ამპლუას მთლად ვერ ეთვისება. ჰოდა, ვუდვორდმა ნორჩი და ავანტურისტი მეტ პერი გაწირა, დეგლენვილს სკამზე გვერდით მიუსვა, 15 ნომერი კვართი კი ჩააცვა კეტს, რადგან მისი მობურთალობის ნიჭი პარიზის ბრძმედში ერთობ გამოადგება.

ნიკო ვეფხვაძე


ტელე-რადიო-კომპანია VII არხის შემწეობით

| | | |
|---|---|---|
| პირდაპირ: | ამაღამ | 19:00 -დან 23:00 -მდე |
| გამეორება: | ხვალ | 10:00 -დან 14:00 -მდე |

საქართველოს თარიღითა და დროით


## აფროსნობა

# ერიდეთ აისბერგებს, მეკობრეებს

ახლა კი არა, არამედ ბოლოსწინა, VIII სტადიაზე, მაისში რომ გაიმართება და ფლოტს ანაპოლისიდან (მერილენდი, აშშ) ატლანტის ოკეანის გადაცურვით ლაროშელში (საფრანგეთი) მიიყვანს.

იკითხავთ, მაისში მცურავ ყინულს ატლანტიკაში რა უნდაო. თავიდან თურმე ასევე გონებია „ვიტბრედის" ნაოსნობის დირექტორ იენ ბეილი-ვილმოტს, მაგრამ მერე საკითხს ჩაღრმავებია და განგაშის ზარიც დაურისხებია.

აფროსნები ამბობენ, ყინული მხოლოდ შამპანურს კი არ აცივებს, იახტებსაც ძირავსო. ამერიკელ და კანადელ სინოპტიკოსთა მონაცემებით, გაზაფხულზე მოწყვეტილი ყინულები სამხრეთულ დრეიფში ისე მოყვებიან, რომ „ვიტბრედის" მარშრუტს სწორედ VIII სტადიაზე გადაკვეთენ. ბეილი-ვილმოტი სვლაგეზში საკონტროლო წერტილების შემოღებას თავაზობს ნაოსნობის მონაწილეებს, თუმცკი კარგად მოეხსენება, რომ ამით უსაფრთხოების უზრუნველყოფის წილ ტაქტიკური ბრძოლის წარმოების შესაძლებლობასაც შეუზღუდავს.

საკონტროლო პუნქტების შემოღება სხვა მხრივაც სახლაფორთო ყოფილა. დირექტორი ეჭვობს, რომ მავანი მოყალთაბანდო სკიპერები ნავების ადგილმდებარეობის დასადგენ მოწყობილობას განგებ მოშლიან, რაც მერე პროტესტების ზვავს ააგორებს. აკი ასე მოხდა IV სტადიაზე, როცა „ტოშიბას" პატრონმა, ბებერმა ინტიგანმა დენის კონერმა თავისსავე გაზრდილ პოლ კეიარდს უჩივლა და მისი რამდენიმე ადგილით დაჯარიმება მოითხოვა.

ახლა მეკობრეთა ამბავიც ვთქვათ. მათ გადაყურას ელიან VI სტადიაზე (სან-სებასტიანი — ფორტ-ლოდერდეილი, ფლორიდა). ფლოტმა თუ კარიბეთს არ უგანა, მავანნი შეიძლება ხახაში ჩაუვარდნენ ნარკოტიკების გადამტანებს, თანამედროვე კატერებით რომ ალჭურვილან, არც ცეცხლმსროლი იარაღი აკლიათ და, რა თქმა უნდა, არც „ვილაც მოცლილ აფროსნებს" შეებუებიან.

მიხო ნინუა

უქარობა მოსაწყენი რამ ყოფილა



### ვიტბრედის VII გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

V სტადია. ოკლენდი (ზელანდია) — სან-სებასტიანი (ბრაზილია)

1 - 23 თებერვალი (6 670 მილი).

პოზიციები გრინვიჩის დროით 08:20 საათზე (გუშინ 06:00 საათზე)

| იახტა | დროშა | ქ | სკიპერი | 4-II | 5-II | 6-II |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტოშიბა | აშშ | 299 | პოლ სტენდბრიჯი (ბრიტ) | 6043.7 | +4.7 | 5459.6 |
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | 313 | გუნარ კრანცი | +10 | +6.4 | +12.6 |
| სილკ კატ | ბრიტანეთი | 258 | ლორი სმითი | +10.9 | +4.9 | +22 |
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | 372 | პოლ კეიარდი (აშშ) | +17.4 | +4.1 | +22.4 |
| მერიტ კაპ | მონაკო | 333 | გრანტ დოლტონი (ზელ) | +8 | +1.3 | +23.9 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 294 | დიი სმითი | +2.7 | 5799.5 | +24.1 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | 307 | კნუტ ფროსტადი | +23.3 | +45.4 | +95.7 |
| ი-ეფ ედუკეიშენ | შვედეთი | 100 | ქ-ნი კრისტინ გიუ (საფრ) | +27.3 | +47.3 | +98.9 |
| ბრიუნელსანერჯი | პოლანდია | 96 | როი პაინერი | +66.7 | +102.5 | +153 |

## სუმო

# ნასწავლი ტოკიცუკაძე

საგულისხმო სიახლეა იაპონიის პროფესიული სუმოს ასოციაციაში. ამ სპორტის სპეციფიკა ხომ მოგეხსენებათ: ზორზოხ რიკიშებს საკადრისი განათლების მისაღებად არა ცალიათ – სიყრმითვე წონის აკრეფას ცდილობენ და ბღლარძუნის ხელოვნებას ეწაფებიან.



ამის გამო ყოფილა, რომ ყველას, ვისაც კი ასოციაციისთვის აქამდე უმეთაურია, უნივერსიტეტი რაა, კოლეჯიც კი არ ქონდა დამთავრებული. ყოფილი იოკოძუნა სადანოიამაც, პრეზიდენტობისას შო საკაიგავად რომ უხმობდნენ და 6-წლიანი სამსახურის შემდეგ 1 თებერვალს გავიდა პენსიაზე, ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა.

სულ სხვაა ასოციაციის ახალი მეთაური ტოკიცუკაძე (ერისკაცობაში კაცუო უჩიდა). იგი ახლა 60 წლისაა, პროფესიულ სუმოში 1961 წელს მივიდა, 1968 წლამდე ჭიდაობდა და ოძეკობაც 13 ბაშოს შემდეგ მიიღო, თუმცკი მერე ერთხელაც ვერ გახდა ფალავანი და ამად აღარც იოკოძუნობაზე წარუდგენიათ.

ტოკიცუკაძე ოძეკი იუტაკაიამა იყო. მან ტოკიოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი გაასრულა, პრეზიდენტად არჩევამდე კი სუმოს სასწავლებელს უძღვებოდა.

ალექსი ჯიშიაშვილი

საქართველოს სუმოს დარბაზის პასუხისმგებელი კომისარი


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე, ზაალ გიგინეიშვილი, ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება: გიო აზვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29